

178 /  
990/2

საქართველოს იურისტთა კავშირი

# სახელმწიფო და სამართალი

990

ნ ო მ ე რ შ ი ა:

წინ არჩევნების



პროვნილი მოქრობა ფრანგი დიპლომატის თვლით



პუსტავ რაღბრუნი

CIVITAS AC IUS

**სარედაქციო საბჭო:**

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანზორ ბაბიანი, ოთარ გონაძე,  
შოთა გორგოძე, გივი ინჯიკიძე, აკაკი კაკანაძე, ოთარ კაციტაძე,  
თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, დურგიშხან ლორია,  
გიორგი ნაღარეიშვილი, ნოდარ ნაბიერიძე, ვახტანგ რაჭმაძე, ზურაბ რატიანი,  
ზრიგოლ როინიშვილი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უბრაყელიძე,  
აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, რევაზ ურციანი, თამაზ შავგულიძე,  
ვიქტორ შარაშენიძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, რამზეს ჩალაუჭი,  
ირაკლი ჩიქოვანი, სერგო ჯორჯინაძე.

მთავარი რედაქტორი  
**თევდორე ნინიძე**

**სარედაქციო კოლეგია:**

ანგი არსენაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ბელა ბერძენიშვილი (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე), ოთარ ბამცალიძე, როლანდ ბილიბაშვილი, ავთანდილ  
დემეტრაშვილი, ვალერიან ედიშერაშვილი, გიხეილ გეგელია, გზია ლეკვიშვილი,  
ალექსი კაკაუაშვილი, თემიშტაჯ სიღამონიძე, ალექსანდრე ტალიაშვილი,  
ჯონი ხიტუკიანი, რუსუდან შველიძე, ჯონი ჯალაღანი.

ტექნიკური რედაქტორი **ბულნარა გოსიკაშვილი.**

# სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

9 საქმეგბარი  
1990

## საძიებელი

### პოეზია

წინ არჩევნებია! . . . . . 3

### ატხუალური ინტერვიუ

საფიროს რეალური ბარანტიები . . . . . 6

### ოფიციალური მასალა

კონვენცია ასოციაციის თავისუფლების და ორგანიზაციის უფლების  
დაცვის შესახებ . . . . . 12

### სუვერენიტეტისათვის

სალომე ქართველი — საქართველოს ვიწრო ბილიკი . . . . . 18

### თეორიის საკითხები

ავთანდილ კობახიძე — კონფისკაციის ცნება და სახეები . . . . . 26

### პრაქტიკა

მარიამ ქოსაშვილი — მეტი უზრუნველება სამართლის პროცესებში . . . . . 36

### კანონის კომენტარი

აკოლონ ფალიაშვილი — ბანაჩენის აღსრულების პროცესუალური საკითხები 39

### ჩვენი პუბლიკაცია

გუსტავ რადგრუხი — თქვენ, ახალგაზრდა იურისტებო! . . . . . 49

### გართული ჩვეულებითი სჯული

ავთანდილ წულუკიანი — სვანური გვი-მედიატორული სასამართლო . . . . . 60

### უცხოური იურიდიული ქრონიკა

მოსამართლე, პროკურორი, პოლიტიკა და ფული . . . . . 76

ადამიანი და განადგილები — კრესა და მართლმსაჯულება . . . . . 79

<b>Позиция</b>	
Вперед! выборы!	3
<b>Актуальное интервью</b>	
Нужны реальные гарантии!	6
<b>Официальный материал</b>	
Конвенция о свободе ассоциации и защите прав организаций	12
<b>К суверенитету</b>	
Саломэ Картвели — Узкая тропа Грузии	18
<b>Вопросы теории</b>	
Автандил Кобахидзе — Понятия и виды конфискации	26
<b>Практика</b>	
Мариам Косашвили — Больше внимания пропаганде права	36
<b>Комментарий</b>	
Аполлон Палиашвили — Процессуальные вопросы исполнения приговора	39
<b>Наша публикация</b>	
Густав Радбрух — Вы, молодые юристы!	49
<b>Грузинское обычное право</b>	
Автандил Цулукиани — «Бче»-медиаторный суд в Сванетии	60
<b>Зарубежная юридическая хроника</b>	
Судья, прокурор, политика и деньги	76
Адемхайд Брандт — Пресса и правосудие	79



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაეცა წარმოებას 9.08.90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.10.90 წ.  
 ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. № 1798. ტირაჟი 24.000.

# ნიმ არჩევნება!

585561

ბასული აგვისტოს თვე საქართველოში აღსავსე იყო საგულისხმო პოლიტიკური მოვლენებით. მათი მიუკერძოებელი განხილვა და შეფასება მომავლის საქმეა. პირუთვნელი ისტორიკოსი ამ მოვლენებში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის წარმატებებსაც გამოარჩევს და შეცდომებსაც, რომლებსგანაც თავისუფალი ჯერ არავინ ყოფილა. ახლა ექვცარეშეა წარმატების ორი პირობა: პირველი, მოძრაობის სილიადე უპირველეს ყოვლისა თავად მოძრაობაშია და მეორე, მოძრაობის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ყოველი პოლიტიკური აქტი, რომელიც გზას გაუხსნის ხალხის სუვერენიტეტის გაცხადებას და დამკვიდრებას.

ხალხის ნების წარმოსაჩენად სამართლებრივ აზროვნებას ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტიტუტი შეუქმნია: არჩევნები და რეფერენდუმი. ისტორიამ იცის პარადოქსებიც, როცა ეს ინსტიტუტები ხალხის ინტერესების საპირისპიროდ გამოყენებულა. „ხალხს ვერ მოისყიდი, მაგრამ მას ხშირად ატყუებენ“ — წერდა რუსო. თანამედროვეობამ გააქრო ერთპარტიულობის დიქტატის პირობებში არჩევნების დემოკრატიულობის ილუზია. თუმცა ისიც ცნობილია, რომ მრავალპარტიული არჩევნებიც ყოველთვის არ ყოფილა დემოკრატიული წყობილების წანამძღვარი. ჰიტლერი ხელისუფლებასთან მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მივიდა, ხოლო ფრანკომ ძალაუფლება რეფერენდუმის წესით განიმტკიცა. ამდენად, არჩევნები საბედისწერო პოლიტიკური აქტია და მის გონივრულად წარმართვას ერისა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

გასულ თვეში საქართველომ ხალხის სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. 18 აგვისტოს, გვიან ღამით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეტყვამეტე მოწვევის მეტექვსმეტე სესიამ, ცხარე დებატების შემდეგ, მიიღო კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“. ეს კანონი საქართველოს ისტორიაში მეორედ, ხოლო საბჭოთა წყობილების პირობებში პირველად, თავისუფალ, მრავალპარტიულ არჩევნებს გვპირდება. როგორც იქვეა, საქართველოს აქვს მრავალპარტიული არჩევნების შორეული, ამჟამად მხოლოდ ისტორიის საკუთრებად ქცეული გამოცდილება. იმ დროს, როცა საქართველოს დამფუძნებელ კრებას ირჩევდნენ, მთვლემარე ეროვნულ შეგნებას სოციალურ-კლასობრივი ინტერესები დაეპატრონა, რამაც თავი იჩინა არჩევნების შედეგებში. ეხლა სხვა დროა. თუ მაშინ პროპორციული საარჩევნო სისტემა ერთადერთ წარმატებულ ფორმად მიიჩნიეს და პარტიულმა პრინციპებმა უპირატესობა მოიპოვა, დღეს, არაერთი ფაქტორის გათვალისწინებით, სისტემების ცალსახა არჩევანი არ შედგა და ახალი საარჩევნო კანონი პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების ერთგვარ კომპრომისზე, შერეულ საარჩევნო სისტემაზე შეჩერდა.

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

უცხოეთის დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებამ ცხადყო, ცალკე აღებულ როგორც მაჟორიტარულ ისე პროპორციულ სისტემას გააჩნია როგორც ღირსეული, ისე ჩრდილოვანი მხარეები. თუ პროპორციული არჩევნები ხელისუფლების უზენაეს ორგანოში წარმოაჩენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძალების მთელ სპექტრს, მაჟორიტარული სისტემის ცენტრში პიროვნება და ამომრჩეველს მისი ნების გამომხატველი დეპუტატის „ახლოთ განჩხრეკის“ მეტი შესაძლებლობა ეძლევა. პროპორციული სისტემის პირობებში ამომრჩეველი ამ თავისუფლებას ერთგვარად მოკლებულია. თუ მაჟორიტარული სისტემა უპირატესობას საზოგადოების უმრავლესობის ნებას ანიჭებს და უმცირესობის ნებას ერთგვარად უგულვებელყოფს, პროპორციული სისტემა უმცირესობასა და უმრავლესობას შორის პოლიტიკურ თანხმობას ამკვიდრებს.

არჩევნების შერეული სისტემა, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმა დააწესა, უნიკალური როდია. რამდენიმე ათეული წელია, რაც მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების მსგავსი სინთეზი წარმატებით გამოიყენება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საქართველოში შერეული საარჩევნო სისტემის შემოღებას სრულიად თავისებური პოლიტიკური წანამძღვრები აქვს. ამ სინთეზში განხორციელდა ერთგვარი შეთანხმება ოფიციალურ ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს შორის. მეორე მხრივ, იგი ავსებს იმ ხარვეზებს, რაც ცალ-ცალკე ოფიციალური ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ მაჟორიტარულ სისტემას და ჭერჭერობით არცთუ ისე მყარად ფორმირებულ პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ.

ამჟამად, როცა საქართველოში პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ფორმირების პროცესშია და მათი პოლიტიკური პროგრამები მეტწილად იდეოლოგიურ მოთხოვნებს შეიცავენ, არსებითი მნიშვნელობა ალბათ მაინც დეპუტატის პიროვნებას მიენიჭება. პარტიების თუ ბლოკების წარმატებებს არსებითად მათი ლიდერების პიროვნული ავტორიტეტი უფრო განსაზღვრავს, ვიდრე პოლიტიკური პროგრამა. ამიტომ პიროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით გამორიცხებული როდია, მომავალი პარლამენტი ზუსტად არ შეესაბამებოდეს ამომრჩეველთა ინტერესს. პროპორციული არჩევნებისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომლის გასწორებაც მომავალ საარჩევნო კანონში უპრიანი იქნება. ეს მაშინ მოხდება, როცა პარლამენტში ნათლად გამოიკვეთება თითოეული პოლიტიკური პარტიის სახე, მისი წევრების პოლიტიკური და ინტელექტუალური თვისებები. ასეთ პირობებში მართებულად გვესახება ხმის მიცემის არსებული წესი შეივისოს პრეფერენციების წესით, როცა პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ ხმის მიცემისას ამომრჩეველს შესაძლებლობა ექნება პარტიულ სილაში შემოხაზოს იმ კანდიდატის გვარი, ვისაც მოცემულ პარტიაში უპირატესობას ანიჭებს. პრეფერენციების წესი უფრო აკონკრეტებს ამომრჩევლის ნებას და პროპორციულ საარჩევნო სისტემას ერთგვარ ანონიმურობას აცლის.

არ შევუდგები იმ ამოცანების დეტალიზებას, რომლებიც უზენაესმა საბჭომ უნდა შეასრულოს. მას აკისრია უდიდესი ისტორიული მისია — მომავალმა უზენაესმა საბჭომ უძველესი სახელმწიფოებრივი წარსულის მქონე საქართველო უნდა გამოიყვანოს დაქვემდებარებული პროვინციის მდგომარეობი-

დან და ცივილიზებული მსოფლიოს სრულუფლებიან წევრად, ისტორიის და მოუკიდებელ სუბიექტად აღადგინოს.

ბლექსტონი პარლამენტს ერის ღირსების, კეთილშობილებისა და ძალის განსახიერებას უწოდებდა. თუ ცნობილი ინგლისელი იურისტის ამ მოთხოვნებით ვინმემღვაწელებთ, ცხადი უნდა იყოს ის პასუხისმგებლობა, რაც ერთი მხრივ, უზენაესი საბჭოს მომავალ წევრებს და მეორე მხრივ, თითოეულ ამომრჩეველს ეკისრება. საქართველო ღირსი უნდა იყოს იმ პარლამენტის, რომელსაც ოქტომბრის თვეში აირჩევს!

მეტისმეტად რთული ამოცანაა...

პარლამენტს სერიოზული ამოცანები დაეკისრება წმინდა სამართალშემოქმედებითი თვალსაზრისითაც. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მან უნდა მიიღოს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია. ამ ურთულესი მისიის განხორციელებაში თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს ქართველმა იურისტებმა. პოლონელებმა, ამ რამდენიმე წლის წინათ, ერის წინაშე მდგარი იურიდიული პრობლემების გადასაწყვეტად პოლონური წარმოშობის იურისტების საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიეს. ჩემი აზრით, ცუდი არ იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველი იურისტების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მომავალი კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად. ეს ამოცანა ალბათ საქართველოს იურისტთა კავშირმა უნდა იკისროს.

## რედაქტორი

P. S. „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში არის ერთი შეუსაბამობა. კერძოდ, კანონის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ „ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს“. განსხვავებული წინააღმდეგობა კანონის ორგოცდამეთორმეტე მუხლი. აქ ნათქვამია, რომ „საქართველოს უზენაეს საბჭოში დეკლარატორი არჩევნების დროს ამომრჩეველი ერთ ბიულეტენში შემოხაზავს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის ნომერს, რომელსაც აქლავს ხმას, ხოლო მეორეში — იმ დეკლარატორის კანდიდატის ნომერს, რომელსაც აქლავს ხმას“. ბამოდის, რომ თითოეულ ამომრჩეველს ერთი კი არა, ორი ხმა აქვს.

ახლა ვნახოთ როგორ ითვლის შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში ხმების ოდენობას ცნობილი დასავლეთ-გერმანელი იურისტი კონრად ჰესე:

«Каждый избиратель имеет два голоса (§ 4, физ.). Один голос он подает за одного кандидата в избирательном округе, где выборы проходят по системе относительного большинства (§ 5, физ.). Второй голос он может подать за земельный список, представлять который имеют право политические партии». Конрад Хессе. Основы конституционного права, М., Юр. лит., 1981, стр. 285.

მართალია, ჩვენი საარჩევნო კანონით, გერმანულსაგან განსხვავებით, პარტიულ სიბზასაც და მაჟორიტარული წესით საარჩევნო დეკლარატორსაც კანონი ერთი საარჩევნო ოლქიდან ეუბება, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, ხმების ოდენობას არ ცვლის. ამიტომ კანონის მესამე მუხლი ალბათ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ორგოცდამეთორმეტე მუხლთან.

თ. ზ.

## საჭირო რეალური ბარანტიები

შურნალი აბრკალავს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საპარტლბაზოვი დოკუმენტების კუბლი-კაციას. მოგავალ ნომრებში გკითხვალ ბაიციწობა დოკუმენტებს, რომლებიც პირველად გამოქვეყნდება კართულ ენაზე. ახლა, როცა თვალნათლივი საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების პრიორიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, მიგვაჩნია, რომ ამ კუბლიკაციებზე ხელი უნდა შეუწყონ საქართველოში თანამედროვე კულტიკური და იურიდიული კულტურის ფორმირებას.

ზართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ ბაეტიანეაბული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის საგართალშემოქმედებით საქმიანობაში წლების განმავლობაში უშუალოდ მონაწილეობა ჩვენი თანამეაბულე, საქართველოს სსრ მიცინირებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტორი, პროფესორი ლევან ალექსიძე. ბატონი ლევანი ჩვენი შურნალის სარდაქცოო საბჭოს წევრიცაა. ვაქვეყნებთ ჩვენი შტატბაოში კორესპონდენტის ნუბზარ სხირტლაძის და შურნალის სპეცკორესპონდენტის ზაირბარტიაშვილის საუბარს ბატონ ლევან ალექსიძესთან.

— პირველი კითხვა შედარებით ზოგადი ხასიათის იქნება, რა როლი ითამაშა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობამ, კერძოდ, განმუხტვის ფაქტორებმა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი აღიარებისა და დაცვის თვალსაზრისით?

სახელმწიფოს მზადყოფნა — იკისროს ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის კონკრეტული ვალდებულებანი, მხარი დაუჭიროს ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას — მისი პოზიციის გულწრფელობისა და კეთილსინდისიერების ობიექტური მაჩვენებელია. ცხადია, სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებების დაცვაზე, არც სხვა სახელმწიფოებისა და მათი მოქალაქეების უფლებებს ცნობს. ეს კი, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე.

ადამიანის უფლებებზე სერიოზული ზრუნვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ უკვე გადაიტანა პიტლერული ტოტალიტარიზმის საშინელება, ადამიანის უფლებების გათელვა. ისტორიული მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელშიც პირველად იქნა აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის საჭიროება. ამ წესდების ფუნდამენტური დებულებები აისახა 1948 წლის დეკემბერში გენერალური ასამბლეის III სესიაზე მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც ადამიანის უფლებების შესახებ პაქტის წინამორბედი იყო.



— რით იყო განპირობებული პაქტების შემუშავება?

— საქმე ისაა, რომ დეკლარაციას რეკომენდაციული, არასავალდებულო ხასიათი აქვს; იგი სახელმწიფოებს იურიდიულ მოვალეობას არ აკისრებს, ამიტომ, გენერალურმა ასამბლეამ დაავალა თავის ორგანოებს შეემუშავებინათ პაქტი ადამიანის უფლებების შესახებ. პაქტის მზადების პროცესმა (რომელიც მოგვიანებით ორ პაქტად გაიყო) 18 წელი გასტანა. ამ ხნის განმავლობაში დაიღო რამდენიმე უფრო ვიწრო საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა შესახებ. ისეთები, როგორცაა კონვენცია გენოციდის აკრძალვის შესახებ 1948 წელს, კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ 1953 წელს, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აკრძალვის შესახებ 1965 წელს და სხვა.

ადამიანის უფლებების თაობაზე კონვენციები მიიღეს საერთაშორისო სპეციალურმა ორგანიზაციებმა, უპირველეს ყოვლისა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (შრომის პირობების, სამუშაო და დასვენების დროის ხანგრძლივობის, მოზარდთა შრომის დაცვის და სხვა). მაგრამ ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებს წარმოადგენენ პაქტები ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1960 წელს.

— ცნობილია, რომ თავდაპირველად ვარაუდობდნენ ადამიანის უფლებათა შესახებ ერთი პაქტის შემუშავებას, რით იყო გამოწვეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება ორი პაქტის მომზადების თაობაზე?

— პაქტების შემუშავება მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში წარიმართა. დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ ყურადღება გაემახვილებინათ ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის ტრადიციულ უფლებებსა და თავისუფლებებზე, ამავე დროს, აშკარად არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა ადამიანისათვის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს. სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირი და ბევრი განვითარებადი ქვეყანა ასეთ თვალსაზრისზე იდგა — არ არსებობს პოლიტიკური უფლებები სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გარეშე და გადაჭრით მოითხოვდნენ მათ აღიარებას; მწვავედ სვამდნენ საკითხს ერის თვითგამორკვევის უფლების შესახებ, დასავლეთი მზად არ იყო იმისათვის, რომ ელიარებინა ადამიანთა შრომის, დასვენების, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების და სხვა უფლებები და წინა პლანზე აყენებდნენ პოლიტიკურ უფლებებს და ამტკიცებდნენ, რომ თუ პიროვნებას არ ექნება აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, ფუფუნებაშიც რომ ცხოვრობდეს, მაინც მონად დარჩებაო. კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ იმას, რომ პაქტში შეეტანათ ერის თვითგამორკვევის უფლება. მაგრამ სოციალისტური ქვეყნების მოთხოვნას მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ. ამის შემდეგ დასავლეთმა ერთგვარ მანევრს მიმართა და მიაღწია იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოიტანა გადაწყვეტილება ორი პაქტის მიღების თაობაზე. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. ამასთან ისინი ესწრაფვოდნენ პირველის დაჩქარებული შემუშავებისაკენ, მეორეს კი აშკარა საბოტაჟს უწყობდნენ.

— რით აიხსნება ის გარემოება, რომ არცერთმა დიდმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ არ მოახდინა ამ პაქტების რატიფიკაცია, ხოლო აშშ-მ და საფრანგეთმა ხელიც კი არ მოაწერეს მას?

— ეს მთლად ასე არ არის. ამ პაქტებს, აშშ-ს გარდა ყველა ქვეყანას (მსხვილმა კაპიტალისტურმა) გაუკეთა რატიფიკაცია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ისინი საკმაოდ დიდხანს იკავებდნენ თავს, მანამ, სანამ არ დაინახეს, რომ ეს გააკეთა საბჭოთა კავშირმა. თავშეკავება იმით იყო გამოწვეული, რომ დასავლეთში ძალიან მწვავედ იდგა და დგას სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. ამ ქვეყნების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ ძალიან ბევრი საჩივრები ექნებოდათ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. აკი გამართლდა კიდევ მათი ვარაუდი, უამრავი საჩივრები შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამის თაობაზე. განსაკუთრებით უჩივიან გფრ-ს, სადაც ემიგრანტი მუშები ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან.

რაც შეეხება აშშ-ს, მისი წარმომადგენლები ამბობენ, რომ შეუძლებელია ამერიკა შეუერთდეს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც შეუსაბამოა მის კონსტიტუციასთან; პაქტში ასახული უფლებები კი ცილდებიან აშშ-ს კონსტიტუციაში აღნიშნულ უფლებების ზღვარსო. ამასთან იეიწყებენ, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია სრულიად საპირისპირო პოზიცია — ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ მოვალეობებთან.

— ათეული წლების განმავლობაში ითვლებოდა, რომ სოციალისტური ქვეყნებისათვის პაქტების ძირითად დებულებათა მოთხოვნები „დიდი ხნის განვლილი ეტაპია“. ჩვენი საზოგადოების განახლების პროცესმა ახლებურად, კრიტიკული თვლით შეგვაფასებინა ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა. როგორი ვითარებაა ამ სფეროში რეალურად?

— უნდა გითხრათ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირმა ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში ამ უფლებების დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროს თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით უხეშად ირღვეოდა ეს უფლებები. ჩვენთან ცდილობდნენ წინ წამოეწიათ მიღწევები სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის სფეროში, მამვე დროს ნაკლები ყურადღება ექცეოდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. დასავლეთის ჩრდილოვანი მხარეების მხილებით გატაცებულებმა, სოციალიზმი იდეალურ, უნაკლო საზოგადოებად გამოაცხადეთ. მსოფლიო პროგრესული საზოგადოების ყოველგვარი ცდა, მიეთითებინათ ჩვენი ქვეყნის მიერ ჰუმანიტარულ სფეროში ხელმოწერილი ხელშეკრულებების შესრულებაზე, ქვეყნის შინაგან საქმეებში ჩარევად ითვლებოდა. სულ ცოტა ხნის წინათ ადამიანის უფლებების შესახებ საკითხის განხილვის წინადადებაც კი (განსაკუთრებით ისეთისა, როგორიცაა: გადაადგილების, ემიგრაციის, საკუთარი აზრის გამოთქმის და სხვ) მტრულ, პროვოკაციულ მოქმედებად აღიქმებოდა. ფაქტობრივად ადამიანები „სულიერ მონებად“ იყვნენ ქცეულნი. პოლიტიკური უუფლებობა, პრაქტიკულად, თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ასეთ ვითარებაში ადამიანის რეალურ უფლებებზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო. დღეს უკვე თამამად ვლაპარაკობთ ამ „აკრძალულ თემებზე“. სსრ კავშირმა ადამიანის უფლებების დაცვაში დიდი ნახტომი გააკეთა, პროგრესი სახეზეა, ადამიანის უფლებების დაცვა მიმდინარე განახლების პროცესის განუყოფელი და არსებითი თვისებაა.

— შემთხვევითი არაა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მონაწილე ყველა ქვეყანას შორის სსრ კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა წარმოადგინა ადამიანის უფლებების კომიტეტის

სხდომაზე რიგით მესამე, პერიოდული ანგარიში, წინა ანგარიშებისაგან განსხვავებით ის ძალზე კრიტიკული იყო და არ ისახავდა თვითპროპაგანდის მიზნებს. როგორ შეფასებას აძლევთ მას?

— ჩვენ ზოგ შემთხვევაში ზედმეტად კრიტიკულები ვართ. ასე მოხდა ამჯერადაც. მიუხედავად ამისა, მე მიმაჩნია, რომ სწორ პოზიციაზე ვდგავართ. ჩვენი წარმომადგენლების ადრინდელი გამოსვლები წმინდა პროპაგანდისტული ხასიათისა იყო. ამის სრულიად საპირისპიროა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის იაკოვლევის ანგარიში.

— ბატონო ლევან, თავის დროზე, საბჭოთა კავშირი აწერდა რა ხელს საერთაშორისო ხელშეკრულებებს ჰუმანიტარულ საკითხებზე, არ უზრუნია იმაზე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები დაუყოვნებლივ შეეტანა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, რამდენად შეესაბამება ჩვენი კანონმდებლობა აღნიშნულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და რა არის კიდევ გასაკეთებელი ამ მიმართებით?

— უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ ბევრი რამ უკვე გაკეთდა. მრავალი ნორმა ისახა ჩვენ კანონმდებლობაში, მაგრამ დამაფიქრებელია შემდეგი ფაქტორი: ჩვენთან კანონმდებლობა ფორმალურია, არ გაგვაჩნია ადამიანის დაცვის რეალური გარანტიები. არსებობს ისეთი საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები, რომლებიც თავის დროზე სსრ კავშირის მიერ უფლებებელყოფილ იქნა. მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ბილს თან ახლავს ფაქულტატური ოქმი, რომლის მიხედვითაც ინდივიდს უფლება ეძლევა, თავისი შელახული უფლებების დასაცავად მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციას. უჩივლოს თავისი ქვეყნის მთავრობას. დღემდე ეს ოქმი რატომღაც არცერთმა დიდმა სახელმწიფომ არ აღიარა, მათ შორის არც სსრკ-მ. ჩემი აზრით, ჩვენ აუცილებლად უნდა შევეუერთდეთ მას, ამისათვის კი დიდი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო. უნდა შევიმუშაოთ ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი. პირველი ნაბიჯები ამ გზაზე უკვე იღებება, ამის მაგალითია კანონი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ, აუცილებელია აგრეთვე სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა, სასამართლო უნდა იქცეს ადამიანის უფლებების დაცვის ნამდვილ გარანტად. ძლიერი კონტროლი უნდა დაწესდეს თვით საერთაშორისო ასპარეზზეც, ამასთან, ყველა სახელმწიფომ თვითონ უნდა უზრუნველყოს ადამიანების უფლებების დაცვა ქვეყნის შიგნით.

— რამდენადაც ვიცი, სსრ კავშირი უარყოფს ინდივიდის სუბიექტობას საერთაშორისო სამართალში. როგორია ამ საკითხში სოციალისტური კონცეფცია?

— მართალი ბრძანდებით, ჩვენ არ ვაღიარებთ ინდივიდის სუბიექტობას საერთაშორისო სამართალში, რადგან ჩვენთან სუბიექტი ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების ან ჩვეულების ნორმების შექმნაში, შეასრულოს ეს ნორმა და დაიცვას ის კოლექტიურად ან საკუთარი ძალით. ინდივიდს კი ეს ნიშნები არ გააჩნია. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარვყოფთ ადამიანის უფლებას მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციას თავისი ინტერესების დასაცავად.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებებს პრიორიტეტი უნდა ჰქონდეთ ეროვნულ კანონმდებლობაზე?

— დიახ, ჩვენ დიდი ხანია ვაღიარებთ ამას. საერთაშორისო სამართალს რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული, პრიმატი უნდა ჰქონდეს ეროვნულ კანონმდებლობაზე.

— აშშ ხომ უარყოფს ამ თვალსაზრისს?

— ეს სწორი არ არის. დღეს ამერიკის პროგრესული ელემენტები უკვე ამ პოზიციის წინააღმდეგ გამოდიან.

— ცნობილია, რომ საქართველო არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, რესპუბლიკას ხელი არ მოუწერია ჰუმანიტარულ დარგში არცერთ საერთაშორისო შეთანხმებაზე. ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირის მიერ ხელმოწერილი ყველა შეთანხმება მოქმედებს თუ არა საქართველოშიც?

— რა თქმა უნდა. პაქტების დებულებები ფედერაციის ყველა წევრზე ვრცელდება, ამაზე სპეციალური მუხლიც კი არსებობს. დღეს, როდესაც მიმდინარეობს სამართლებრივი სისტემის რეფორმა და კანონმდებლობის გადასინჯვა, ჩვენ ამ ხელშეკრულებების არსებობას არ უნდა ვივიწყებდეთ. სამწუხაროა, რომ ჰუმანიტარულ საკითხებზე საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების უმრავლესობა არაა ნათარგმნი ქართულ ენაზე და ქართველი ხალხი მოკლებულია შესაძლებლობას მშობლიურ ენაზე გაეცნოს მათ. მისასალმებელია, რომ თქვენმა ყურნალმა დაიწყო ფართო საზოგადოებისათვის ამ დოკუმენტების გაცნობა, ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის ამაღლებას.

— ბატონო ლევან, ამ ბოლო დროს მიტინგებზე ხშირად გაისმის მოწოდება, რომ ჩვენმა ქვეყანამ, მთელი რიგი საკითხების განხილვისას, უარი უნდა თქვას საერთაშორისო სამართლის ნორმებზე, რომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების ნორმებით, რამდენად მართებულია ასეთი პოზიცია?

— საკითხის ასე დაყენება, რა თქმა უნდა, არასწორია. საქართველოს ძალიან ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით. ქართველმა ერმა სწორედ საერთაშორისო სამართლის ნორმებით უნდა ისარგებლოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისას. მაგრამ არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლის გადაწყვეტის დროსაც რესპუბლიკამ მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონი უნდა გამოიყენოს. მაგალითისათვის ავიღოთ მესხეთელი თურქების ჩამოსახლების საკითხი. აქ ჩვენ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით ვერ ვისარგებლებთ, ეს ეროვნული, შიდასახელმწიფოებრივი ნორმების საფუძველზე უნდა მოხდეს. უფრო მეტიც, ავტონომიის საკითხებიც კი შიდასახელმწიფოებრივია. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის პოზიცია ასეთია: არ უნდა შეიბღალოს პატარა ერების სოციალურ-კულტურული და ეროვნული ინტერესები, თორემ ისეთი სახელმწიფოებრიობის არსებობას, როგორც, მაგალითად, ჩვენთან აფხაზეთი ან ოსეთია, საერთაშორისო სამართალი არ ითხოვს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით მთავარია ეროვნულ-კულტურული ავტონომია, რაც შეეხება სახელმწიფოებრიობის შექმნას, ეს იმ სახელმწიფოს ნებასურვილია, რომლის ტერიტორიაზეც ესა თუ ის პატარა ერები ცხოვრობენ.

— უკანასკნელ ხანს ბევრს ლაპარაკობენ იურიდიულ გარანტიებზე, ცხადია, ყველაზე დიდი გარანტია ადამიანის უფლებების დაცვისა სამოქალაქო აქტიურობაა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ახალ, ზოგჯერ სხვადასხვა

**პოლიტიკური ელფერის მქონე ადამიანის უფლებების დაცვა ჩაუფლებიად-  
მი, საჭიროა თუ არა მათთან თანამშრომლობა?**

— რასაკვირველია, მათთან ჩვენ რაც შეიძლება ფართო და ქმედითი თანამშრომლობა უნდა დავამყაროთ, რადგან დღევანდელ ეტაპზე სახალხო დიპლომატია ყველაზე უფრო ეფექტიანია. ამიტომ, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, როგორი მიმართულებისაც უნდა იყოს ის, მწვანეთა მოძრაობა იქნება ეს, ჰელსინკის ჯგუფი თუ სხვა, ფართოდ უნდა ვითანამშრომლოთ. ისინი გადიან საერთაშორისო ასპარეზზე და აახლოებენ საქართველოს მსოფლიოსთან, აძლევენ ზუსტ ინფორმაციას საქართველოზე.

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დიდი სამართალშემოქმედებითი საქმიანობა გასწია. შემუშავებულია ადამიანის უფლებების დაცვის მთელი სისტემა კონვენციების, დეკლარაციების, რეზოლუციების ფართო კომპლექსის სახით. დღეისათვის საერთაშორისო ორგანოების ყურადღება მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვის ახალი სახეობების შემუშავებაზე. რა უფლებების ფორმირებაა მოსალოდნელი მომავალში?

— უპირველეს ყოვლისა ესენია მშვიდობიანი განვითარების, კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობით სარგებლობის, ჯანსაღი გარემოს დაცვის და სხვა უფლებები, რომლებიც დღის წესრიგში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დააყენა. ასე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მომავალშიც დიდი სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ელის.

— თუ არსებობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ პაქტების შესრულებას?

— უამრავი ასეთი ორგანიზაცია არის. ესენია — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, ადამიანის უფლებათა კომისია, ეროვნული უმცირესობის დაცვისა და რასობრივი დისკრიმინაციის აღაგმვის ქვეკომისია, ადამიანთა უფლებების კომიტეტი; არსებობს აგრეთვე პაქტებთან დაკავშირებით შექმნილი კომიტეტები, რომლებიც სათანადო კონვენციის საფუძველზე მოქმედებენ. ერთი სიტყვით, ოცამდე ორგანოა, რომელიც კონტროლს უწევს ქვეყნებს შორის ურთიერთ-თანამშრომლობას.

— გზადლობთ საინტერესო საუბრისათვის. ვიტოვებთ უფლებას მომავალშიც მოგმართოთ ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების კომენტარებისათვის.

# კონვენცია ასოციაციის თავისუფლების და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ\*

1948 წლის 9 ივლისი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, მოწვეული სან-ფრანცისკოში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ და 1948 წლის 17 ივლისს შეკრებილი თავის ოცდამეთერთმეტე სესიაზე

ადგენს მიიღოს კონვენციის სახით რიგი წინადადებები ასოციაციის თავისუფლების და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, რომლებიც სესიის დღის წესრიგის მეშვიდე პუნქტს შეადგენს.

**ითვალისწინებს**, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პრეამბულა იმ საშუალებათა შორის, რომლებსაც შეუძლიათ შრომის პირობების გაუმჯობესება და მშვიდობიანობის დაცვა, აღიარებს გაერთიანების თავისუფლების პრინციპს,

**ითვალისწინებს** ფილადელფიის დეკლარაციას, რომელმაც კვლავ გამოაცხადა, რომ მუდმივი პროგრესისათვის აუცილებელი პირობებია სიტყვის თავისუფლება და ასოციაციის თავისუფლება.

**ითვალისწინებს**, რომ შრომის საერთაშორისო კონფერენციამ თავის ოცდამეთათე სესიაზე ერთსულოვნად მიიღო პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საერთაშორისო რეგლამენტაციას,

**ითვალისწინებს**, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის მეორე სესიაზე გამოხატა მხარდაჭერა ამ პრინციპებისადმი და სთხოვა შრომის საერთაშორისო ბიუროს ყოველი ღონე იხმაროს ერთი ან რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის მიღებისათვის,

**იღებს** ათას ცხრაას ორმოცდარვა წლის ივლისის თვის მეცხრე დღეს ქვემოთ კონვენციას, რომელსაც დაერქვა 1948 წლის კონვენცია ასოციაციის თავისუფლების და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ.

\* ძალაში შევიდა 1950 წლის 4 ივლისს. 1989 წლის 1 იანვრისათვის 99 მონაწილეა. კონვენციის რატიფიცირება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა 1956 წლის 6 ივლისს. სსრ კავშირის სარატიფიკაციო სიგელი დეპონირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორთან 1956 წლის 10 აგვისტოს. სსრკ-სათვის კონვენცია ძალაში შევიდა 1957 წლის 10 აგვისტოს.

## ასოციაციის თავისუფლება

### მუხლი 1

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლის მიმართ ეს კონვენცია ძალაში შევიდა, ვალდებულია იღებს განახორციელოს ქვემოთ დებულებანი.

### მუხლი 2

მშრომლებსა და მეწარმეებს უფლება აქვთ ყოველგვარი განსხვავების გარეშე შექმნან ორგანიზაციები საკუთარი არჩევანის შესაბამისად წინასწარი ნებართვის გარეშე, აგრეთვე, შევიდნენ ამგვარ ორგანიზაციებში ერთადერთი პირობით — დაემორჩილონ ამ ორგანიზაციათა წესდებებს.

### მუხლი 3

1. მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ გამოიმუშაონ წესდებები და ადმინისტრაციული რეგლამენტები, თავისუფლად აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები, მოახდინონ აპარატის და მოღვაწეობის ორგანიზაცია და ჩამოაყალიბონ მოქმედების პროგრამა.

2. სახელმწიფო ორგანოები თავს იკავებენ ყოველგვარი ჩარევისაგან, რომელიც შეზღუდავს ამ უფლებას ან ხელს შეუშლის მის კანონიერად განხორციელებას.

### მუხლი 4

მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციები ადმინისტრაციული წესით არ იშლება და დროებით არ იკრძალება.

### მუხლი 5

მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ შექმნან ფედერაციები და კონფედერაციები, უფლება აქვთ შეუერთდნენ მათ; ყოველ ასეთ ორგანიზაციას, ფედერაციას ან კონფედერაციას უფლება აქვს მშრომელთა და მეწარმეთა საერთაშორისო ორგანიზაციებში შევიდეს.

### მუხლი 6

2, 3 და 4 მუხლების დებულებანი შეეხება მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებს, ფედერაციებს და კონფედერაციებს.

### მუხლი 7

მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებისათვის, მათი ფედერაციებისა და კონფედერაციებისათვის იურიდიული პირის უფლებათა მინიჭება არ უნდა დაემორჩილოს პირობებს, რომელნიც ხელს უშლიან 2, 3 და 4 მუხლის დებულებათა გამოყენებას.

## მუხლი 8

1. ამ კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებისას მშრომელთა, მეწარმეთა და მათი შესაბამისი ორგანიზაციები, ისევე როგორც სხვა პირნი ან ორგანიზებული კოლექტივები, იცავენ კანონიერებას.
2. ეროვნული კანონმდებლობა არ ეხება ამ კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიებს, და ამგვარად, გამოიყენება რათა არ დაირღვეს ისინი.

## მუხლი 9

1. ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს, რამდენად გამოიყენება ამ კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები შეიარაღებული ძალების და პოლიციის მიმართ.
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 19-ე მუხლის მე-8 პუნქტის პრინციპების თანახმად ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ კონვენციის რატიფიცირება არ განიხილება შელახვად არსებული კანონებისა, სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებებისა, ჩვეულებებისა და შეთანხმებებისა, რომლებიც შეიარაღებულ ძალებს და პოლიციას ანიჭებენ ამ კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიებს.

## მუხლი 10

ამ კონვენციაში ტერმინი „ორგანიზაცია“ აღნიშნავს მშრომელთა და მეწარმეთა ყოველგვარ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მშრომელთა ან მეწარმეთა ინტერესების უზრუნველყოფა და დაცვა.

## ნაწილი II

### ორგანიზაციის უფლებების დაცვა

## მუხლი 11

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლის მიმართაც ეს კონვენცია ძალაში შევიდა, ვალდებულია იღებს მიიღოს აუცილებელი და შესაბამისი ზომები, რათა მშრომელთა და მეწარმეთა უფლება ორგანიზაციის შექმნისა, განხორციელდეს თავისუფლად.

## ნაწილი III

### სხვადასხვა დებულებანი

## მუხლი 12

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლში მითითებული ტერიტორიების მიმართ, რომლებიც შეიცვალა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 1946 წლის შესწორებითი აქტის თანახმად ამ მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტებში მითითებული ტერიტორიების გარდა, ორგანიზაციის ყოველი წევრი კონვენციის რატიფიცირების შემდგომ



შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს სარატიფიკაციო დოკუმენტთან ერთად ან რატიციფიცირების შემდგომ შესაძლო უმოკლეს ვადაში უგზავნის განცხადებას მითითებით:

- a) ტერიტორიებისა, რომელთა მიმართ კონვენცია გამოყენებული იქნება ცვლილებების გარეშე;
- b) ტერიტორიებისა, რომელთა მიმართ კონვენცია გამოყენებული იქნება ცვლილებებით და დაურთავს ამ ცვლილებათა დეტალების აღწერას;
- c) ტერიტორიებისა, რომელთა მიმართ კონვენცია არ გამოიყენება, ამ შემთხვევაში აღნიშნული უნდა იყოს კონვენციის არგამოყენების მიზეზები;
- d) ტერიტორიებისა, რომელთა მიმართ ახორციელებს თავისი გადაწყვეტილების რეზერვირებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის a და b ქვეპუნქტებში მითითებული ვალდებულებანი ითვლება სარატიფიკაციო დოკუმენტის განუყოფელ ნაწილად და მათ თანაბარი შედეგები მოსდევთ.

3. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია მომდევნო განცხადებით უარი თქვას წინა განცხადებაში ამ მუხლის პირველი პუნქტის b, c და d ქვეპუნქტების შესაბამისად გაკეთებული შენიშვნებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ.

4. ორგანიზაციის ყოველ წევრს შეუძლია პერიოდებში, როდესაც შესაძლებელია ამ კონვენციის დენონსირება მე-16 მუხლის დებულებათა თანახმად, გენერალურ მდივანს გაუგზავნოს ახალი განცხადება, რომელიც ცვლის ნებისმიერი წინანდელი განცხადების პირობებს ან აცნობებს არსებულ მდგომარეობას გარკვეულ ტერიტორიებზე.

#### მუხლი 18

1. როდესაც ამ კონვენციაში მითითებული საკითხები შედის მეტროპოლიის გარეთ არსებული ტერიტორიის ხელისუფალთა კომპეტენციაში, ამ ტერიტორიის საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელ ორგანიზაციის წევრს შეუძლია ამ ტერიტორიის მთავრობის თანხმობით შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს განცხადება ტერიტორიის სახელით კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების აღების შესახებ.

2. განცხადება კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს შეიძლება გაუგზავნოს:

- a) ორგანიზაციის ორმა ან მეტმა წევრმა ტერიტორიის სახელით, რომელიც მათ გამგებლობაშია;
- b) ნებისმიერმა საერთაშორისო ხელისუფლებამ, რომელიც პასუხისმგებელია ტერიტორიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე ან ამ ტერიტორიის მიმართ მოქმედი ნებისმიერი სხვა მოქმედი დადგენილების საფუძველზე.

3. ამ მუხლის წინა პუნქტების თანახმად შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილ განცხადებებში მითითებული უნდა იყოს მოცემულ ტერიტორიაზე კონვენციის დებულებები სრულდება უცვლელად თუ ცვლილებებით; თუ კონვენციის დებულებები გამოყენებული უნდა იყოს ცვლილებებით, დაზუსტებული უნდა იყოს ისინი.

4. ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრს ან წევრებს, ან საერთაშორისო



ხელისუფალთ შეუძლიათ ახალი განცხადებით მთლიანად ან ნაწილობრივ უკუაღიარონ თქვან წინა განცხადებებში მითითებული ცვლილებების გამოყენების უფლებაზე.

5. ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრს ან წევრებს, ან საერთაშორისო ხელისუფლებას პერიოდებში, როცა კონვენცია შეიძლება დებონირებულ იქნას მე-16 მუხლის დებულებათა თანახმად, შეუძლია შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს განცხადება, რომლითაც ცვლის წინა განცხადების ნებისმიერ პირობას და აცნობებს ამ კონვენციის გამოყენების მდგომარეობას.

**ნაწლი IV**

**დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 14**

ოფიციალური დოკუმენტები ამ კონვენციის რატიფიცირების შესახებ გვგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს სარეგისტრაციოდ.

**მუხლი 15**

1. ეს კონვენცია ეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა სარატიფიკაციო დოკუმენტები რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. იგი ძალაში შედის თორმეტი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა გენერალურმა დირექტორმა მოახდინა ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო დოკუმენტების რეგისტრაცია.

3. მოგვიანებით, ორგანიზაციის ყოველი წევრისათვის კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო დოკუმენტის რეგისტრაციიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ.

**მუხლი 16**

1. ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, მისი თავდაპირველად ძალაში შესვლის დროიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ უფლება აქვს მოახდინოს კონვენციის დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი სადენონსაციო აქტით. აქტის რეგისტრაციას ახდენს გენერალური დირექტორი, დენონსაცია ძალაში შედის დოკუმენტის რეგისტრაციიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, თუ წინა მუხლში მითითებული ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში არ გამოიყენებს ამ მუხლში მითითებულ დენონსაციის უფლებას, კონვენციის მონაწილე ხდება მომდევნო ათი წლის განმავლობაში. კონვენციის დენონსირება შეიძლება ამ მუხლში მითითებული დებულების თანახმად ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.

**მუხლი 17**

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი აცნობებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს მის მიერ მიღებული

ორგანიზაციის წევრთა სარატიფიკაციო დოკუმენტების სადენონსაციო გან-  
ცხადებებისა და აქტების რეგისტრაციის შესახებ.

2. გენერალური დირექტორი აცნობებს ორგანიზაციის წევრებს მიღებუ-  
ლი მეორე სარატიფიკაციო დოკუმენტის რეგისტრაციის შესახებ და მათ  
ყურადღებას ამახვილებს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღზე.

**მუხლი 18**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი გა-  
ერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაერთიანებული  
ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის თანახმად რეგისტრაციისათ-  
ვის აწვდის სრულ ცნობებს მის მიერ წინა მუხლების დებულებათა თანახ-  
მად რეგისტრირებული სარატიფიკაციო დოკუმენტების, სადენონსაციო გან-  
ცხადებებისა და აქტების შესახებ.

58561

**მუხლი 19**

ყოველ საჭირო შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის შრომის  
საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო, გენერალურ კონფერენცი-  
ას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ და გადაწყ-  
ვეტს, ჩართოს თუ არა კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგში საკითხი  
კონვენციის სრული ან ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

**მუხლი 20**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას,  
რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ცვლის ამ კონვენციას და თუ ახალ  
კონვენციაში არ არის გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:

a) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ხდება ახალი, შესწორებული  
კონვენციის რატიფიცირება ავტომატურად, მე-16 მუხლის დებულებისაგან და-  
მოუკიდებლად ამ კონვენციის დენონსაციით, იმ პირობით, რომ ახალი კონვენ-  
ცია უკვე შესული უნდა იყოს ძალაში;

b) ახალი, შესწორებული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ეს კონ-  
ვენცია დახურულია ხელმოსაწერად ორგანიზაციის წევრებისათვის.

2. ეს კონვენცია ფორმისა და არსის მხრივ ყოველი შემთხვევისათვის  
ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრთათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი  
რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, შესწორებული კონვენციის  
რატიფიცირება.

**მუხლი 21**

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ.

„შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები“,  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამომცემი, მ., 1956,  
გვ. 51-55.

არაოფიციალური თარგმანი შეასრულა ეპა სუხვათაშვილმა.

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სალომე ქართველი არის სტატიის ავტორის, ფრანგი დიპლომატის, დედითა და მამით ქართველის ფსევდონიმი, რომლის გამოყენება მისთვის აუცილებელი ხდება სამსახურაბრივ-დიპლომატიური ეთიკის გამო. ავტორი ქართული პრესით, თავის მოგებულთა სამოგებლოში სტუმრობისა და ქართველებთან მუდმივი კონტაქტების წყალობით ჩინებულად იცნობს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. სტატია, რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო პოლიტოლოგიურ ორგანოში — „ჯორნალ იმინტერნეშინალ ეკონომიკ“ (1989, № 4) დაწერილია 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებზე, მაგრამ მასში გამოთქმულ ანალიტიკურ მოსაზრებებზე და პროგნოზებს კვლავაც არ დაუპარბავთ ატუალოვა.

ირაკლი კანკოვილი.

სალომე ქართველი

## საქართველოს პირი გილიკი

საქართველოს „გამოღვიძებამ“, ეროვნული დაძაბულობის გამოვლენის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო გვიან იჩინა თავი, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. სადაც გამწვავებულია ეროვნული ურთიერთობები. საქართველოში თავდაპირველად სიმშვიდე სუფევდა და ეროვნული მღელვარების მხოლოდ ცალკეული ნიშნები მოასწავებდნენ ახალ პოლიტიკურ სიტუაციას — საბჭოეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფრონტაციას. დღეს ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, რითაც გორბაჩოვის ეპოქაში საბჭოეთის ამ განაპირა მხარის აფეთქების ახალი ანუ „მეორე სტადია“ დაიწყო.

ვერ ვიტყვი, რომ სსრკ-ს ამ მხარეში ნაციონალიზმი ახალი მოვლენაა. XIX საუკუნეში კავკასიაში რუსეთის შემოჭრისადმი ქართველთა წინააღმდეგობის ისტორიას რომ თავი დავანებოთ, საქმარისია იმის გახსენება, რომ საბჭოთა სისტემაში არსებობა საქართველომ

ველომ კომუნისტურ სამყაროში პირველი სრულიად ეროვნული მასშტაბის აჯანყებით დაიწყო, 1924 წლის აჯანყება სტალინის (იგი ქართველი იყო) პირადი ბრძანებით სისხლში იქნა ჩახშობილი და მისმა სასტიკმა მეთოდმა თვით ლენინის მკაცრი კრიტიკა გამოიწვია.

ნაციონალიზმის ახალი საფეხური საბჭოეთის განმგებლობაში მყოფ საქართველოში დაიწყო 1956 წელს სტუდენტთა ამბოხების სახით, რასაც აგრეთვე ასობით მსხვერპლი მოჰყვა. საბჭოეთის პროპაგანდისტულმა მანქანამ მოახერხა, რომ ეს მოვლენა პროსტალინისტურ დემონსტრაციად წარმოედგინა, თუმცა სინამდვილეში ეს იყო ქეშმარიტი ეროვნული დემონსტრაცია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ცეცხლსასროლი იარაღი გამოყენებულ იქნა სწორედ მაშინ, როდესაც სტუდენტებმა მოისურვეს ხელთ ეგდოთ ცენტრალური ტელეგრაფი და გამოეცხადებინათ მოწოდება საქართველოს

დამოუკიდებლობისა და ნეიტრალური სტატუსის მოთხოვნით. უნგრეთის 1956 წლის აჯანყებისაგან განსხვავებით, საბჭოთა ხელისუფლებამ იარაღი გამოიყენა არა ეროვნული არმიის მქონე მოსახლეობის, არამედ შეუთარაღებელი ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ უნგრეთის მსგავსად, ეს ამბოხება პროსტალინისტური ხანის „დათბობის“ და ეროვნული მოძრაობის ხელისშემწყობი ვითარების — ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების შედეგი იყო. ამავე ხელისუფლებამ შეუთარაღებელ სტუდენტებთან სასტიკად ანგარიშსწორების გასამართლებლად სტალინისტური ტერმინი — „გარდუევალი აუცილებლობა“ გამოიყენა.

### ჩვენნი თავი ჩვენადვე გვეუფნოდეს

1956 წლის მწარე გაკვეთილმა დააფიქრა ქართველები. ამიერიდან ქართველთა მსჯელობას ამგვარ საკითხებზე ლაიტმოტივად გასდევს შემდეგი აზრი: „ჩვენ ძალიან პატარა ერი ვართ (3 მილიონ 500 ათასი), რომ უაზროდ გავიღოთ მსხვერპლი“.

პირველი დისიდენტური ჯგუფი საქართველოში არსებითად 1970-იან წლებში შეიქმნა. კერძოდ, საბჭოთა სისტემის ცენტრში შექმნილი ჰელსინკის შეთანხმებათა სამეთვალყურეო კომიტეტების მსგავსად, 1976-1977 წლებში საქართველოშიც ჩამოყალიბდა ამგვარი ჯგუფი. ამას წინ უძღოდა, ერთი მხრივ, 1972-1973 წლებში არალეგალური ეროვნული მოღვაწეობა ისეთი სიმბოლური აქციების სახით, როგორც იყო საბჭოთა ძეგლების დამხობა ანდა იერიში თბილისის ოპერის შენობაზე და მეორე მხრივ, საუნევერსიტეტო ინტელიგენციის ფრთხილი და ფარული მეცადინეობა საკუთრივ უნივერსიტეტის ფარგლებში ეროვნული გადარჩენისათვის. საქართველოში ადა-

მიანის უფლებებისათვის ბრძოლა ყოველთვის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ეროვნული მემკვიდრეობისა (შეიქმნა ჯგუფები ეკლესიების აღსადგენად) და ენის დასაცავად (საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ქართველ მწერალთა ყრილობაზე რევაზ ჯაფარიძის სიტყვა, რომელშიც მთელი სიცხადით იყო დაგმობილი რუსიფიკაციის პროცესი, ეს სიტყვა პირველად 1988 წელს გამოქვეყნდა!).

ასე და ამგვარად გორბაჩოვამდე და „პერესტროიკამდე“, ჯერ კიდევ 1978 წელს ქართველები ქუჩებში გამოვიდნენ თავიანთი კონსტიტუციური უფლებების, კერძოდ, თავიანთ რესპუბლიკაში ქართული ენის ოფიციალური სტატუსის დასაცავად. დემონსტრაცია წარმატებით დაგვირგვინდა და ენის სტატუსი შენარჩუნებულ იქნა;

ამ დროიდან მოყოლებული ქართველების ყურადღება მიპყრობილი იყო ენისა და ეროვნული კულტურის დაცვისაკენ და ასე, ყოველგვარი აურზაურის გარეშე, ეროვნული მოთხოვნების დამცველ დისიდენტთა ჯგუფი ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობად იქცა. ფაქტობრივად ეს მოხდა 1988 წელს. იმ დროს, როდესაც „ეროვნული საკითხის“ სპეციალისტები გაოცებას გამოხატავდნენ იმ სიმშვიდის გამო, რომელიც სუფევდა საქართველოში, ბალტიის რესპუბლიკების გამოკვეთილ აქტიურობასა და ამიერკავკასიის დანარჩენი ორი რესპუბლიკის მღელვარებასთან შედარებით, ილია ჭავჭავაძის ხანგრძლივი საიუბილეო ზეიმის დროს დაიწყო ჭეშმარიტი „ნაციონალური გამოღვიძება“. ილია ჭავჭავაძემ ლიბერალი, იგივე იყო საქართველოსათვის, რაც იქნებოდა საფრანგეთისათვის ყორესის ნაციონალისტური ვარიანტის შერწყმა ვიქტორ ჰიუგოსთან, ან რაც გარიბალდი იყო იტალიისათვის. მისი იუბილე მოასწავებდა ეროვნულ საწყისებთან მიბრუნებას და ეროვნული სტრატეგი-

ის შემუშავებს. თავის დროზე მეფის რუსეთისაგან ილია ჭავჭავაძის მიერ საქართველოს გამოსახსნელად შემუშავებული სტრატეგიის კვლად. საქართველოს ინტელექტუალურმა ელიტამ ჩამოაყალიბა შესაძლებელ და აუცილებელ ეროვნულ მიზანდასახულობათა ერთგვარი კატალოგი. გადაწყდა, რომ უკომპრომისო ლეგალური ბრძოლა არის ის ვიწრო ბილიკი, რომელმაც საქართველო დამოუკიდებლობის გზაზე უნდა გაიყვანოს, თვეების მანძილზე საქართველოს პრესის ერთგვარ საერთო დევიზად იქცა სიტყვები — ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუნდოდეს.

ეროვნული ფსიქოლოგიური დრამა განკუთვნილი იყო არა მსოფლიოს ყურადღების მისაპყრობად, არამედ შინაგანი ინტერესებისათვის. იგი მიზნად ისახავდა ეროვნული წარსულის გაცნობიერებას, გარკვეული ისტორიული თარიღების, აკრძალული თემებისა და „დაკარგული“ ადამიანების გაცნობას (მრავალ ქურნალში გაჩნდა საგანგებო რუბრიკები — „ჩვენი მემკვიდრეობა“, „დავიწყებული სახელები“). ყოველივე ამან თავის კულმინაციას მიიღწია 1987 წლის ივლისს, როდესაც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ილია ჭავჭავაძე, აწ უკვე — ილია მართალი, ერთადერთი ადამიანი, ვისი კანონიზირებაც მოხდა კომუნისტურ სამყაროში!

### ბადარჩინა და ბათავისუფლება

ამ ეროვნულმა თვალსაზრისმა პირველი გამოვლენა პოვა 1987 წელს, როდესაც წამოიჭრა ტრანსკავკასიური რკინიგზის საკითხი. ეს ამბავი არაბალია, ძველია. ჭერ კიდევ ცარიზმის დროს იყო შექმნილი ტრანსკავკასიის რკინიგზის ოთხი პროექტი. რუსეთის ეს ძველი ჩანაფიქრი კვლავ აღორძინდა, როდესაც პოლიტიკურად მიიღო გადაწყვეტილება ამ რკინიგზის გაყვანის თა-

ბაზე, რამაც მთელი ქართველი ხალხის გულისწყრომა გამოიწვია. არქეოლოგები პროტესტს აცხადებენ ამ ჭერაც გამოუკვლეველი და უზარმაზარი მნიშვნელობის უძველესი მხარის ინტენსიური ათვისების წინააღმდეგ; ეკონომისტებს საეჭვოდ მიაჩნიათ კოლოსალური ხარჯების გაღება ალტერნატიული შესაძლებლობების შესწავლის გარეშე; ისტორიკოსები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ რკინიგზა გადაკვეთს იმ რეგიონს, სადაც განლაგებულია უძველესი ქართული ეკლესიები; ეთნოგრაფები ამ ჭერ კიდევ იზოლირებული რეგიონების ხელყოფის წინააღმდეგი არიან, სადაც შემორჩენილია უძველესი ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები; დემოგრაფიული პრობლემების ექსპერტებმა, რომლებიც შემფოთებული არიან დემოგრაფიული დისბალანსით მკვიდრი მოსახლეობის — ქართველების საზიანოდ, ხმა აღიმალეს ქართული კულტურის უძველეს მხარეებში უცხო მუშანგლის შემოსვლის აღსაკვეთად; არქიტექტორებს აფიქრებთ მშენებლობის კონსტრუქციული მხარე, რაც ჭერარნახული რეკორდების გადამეტებას გულისხმობს (გვირაბების სიგრძე აღემატება მონზლანის ქვეშ გათხრილი გვირაბის სიგრძეს და თანაც ერთობ უფრო მალაა ზღვის დონიდან; ნავარაუდევია აგრეთვე გრძელი აკვედუკების აგება). და ბოლოს, რაც არა ნაკლებ საგულისხმოა. ეკოლოგებმა განგაში ატეხეს, რომ დაირღვევა კავკასიონის ბუნებრივი გარემო და იმატებს ზვავების ჩამოწოლის საშიშროება (ამ ერთი წლის წინათ საქართველოს თავს დაატყდა არნახული ზვავები) და დაბინძურდება ის წყაროები, რომლებითაც დედაქალაქი მარაგდება სასქელი წყლით.

თუ წინა წლებში ქართველებმა წააგეს ბრძოლა არა ნაკლებ სახიფათო და რესპუბლიკის ეკონომიკისათვის ფაქტობრივად არაფრისმოძვემი ორი

უზარმაზარი კაშხალის — ენგურჭესისა და ჟინვალჭესის მშენებლობის წინააღმდეგ, ამჯერად მტკიცედ გადაწყვიტეს, თავისი გაეტანათ. თითქოს კიდევაც მიღწიეს მიზანს; ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ შეაჩერა მშენებლობა საგანგებო კომისიის მიერ სათანადო დასკვნების მიღებამდე. მაგრამ საბოლოოდ რაგორ გადაწყდება საკითხი, ამის თქმა ძნელია. ჯერ ერთი, ცენტრის მიერ დამტკიცებული მშენებლობის გეგმა არც არავის გაუუწყმებია და არც შეუჩერებია; გარდა ამისა, მოსკოვის ტელევიზიამ ამას წინათ გადმოსცა რეპორტაჟი, რომლის თანახმად ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა გეგმაზომიერად მიმდინარეობს (მართალია, ლაპარაკი იყო კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეზე, რომელიც ქართველებს არ ეკუთვნის).

ამ აშკარა და უადრესად დისციპლინირებული ბრძოლის პარალელურად, სტუდენტებმა გააჩაღეს აგრეთვე ერთობ სპეციფიკური კამპანია, რომელიც საკმაოდ საზიფათოა, რამდენადაც სამხედრო საიდუმლოებას უკავშირდება. ისინი მოითხოვენ: გადატანილ იქნას საბჭოთა არმიის პოლიგონი, რომელიც აზიანებს ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთ შედევრს — დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს. აქაც იქნა მოპოვებული სანახევრო გამარჯვება: პოლიგონი მართლაც გადაიტანეს, მაგრამ ასიოდე მეტრის მოშორებით. ასე რომ, პრობლემა კვლავაც არაა მოგვარებული.

ეროვნული გამოღვიძების ამ ცალკეული ფაქტების ფონზე კიდევ უფრო მკვეთრად მოჩანს ის პრობლემები, რომლებიც არ დამდგარა ყურადღების ცენტრში. ტერიტორიულ საკითხებს აქ განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან, თუმცაღა მოსკოვმა საქართველოს დიდძალი ტერიტორიები დააკარგვინა. დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხების შედეგად და რუსეთ-

თურქეთის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის 1921 წელს თურქეთს საჩუქრად მიერთვა საქართველოს სამხრეთი ყარსიდან ბათუმამდე (12.000 კვ. კმ). 1922 წელს აზერბაიჯანს გადასცა ისტორიული მხარე — საინგილო (3.500 კვ. კმ), ხოლო სომხეთმა მიიღო ბორჩალოს მხარე. სტალინის დროში რუსეთმა მიიკუთვნა შავი ზღვის სანაპიროს ზოლი ცნობილი კურორტის — სოჭის ჩათვლით. მთლიანად ეს დანაკარგი უდრის 20.000 კვ. კმ-სს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს, რაც ლუქსემბურგის ეკვივალენტურია. ყოველივე ეს საქართველომ დაკარგა არა რაიმე კონფლიქტის გამო. არამედ უბრალოდ მოსკოვის ხელისუფლების დიქტატის შედეგად. გარდა ამისა, წლების განმავლობაში ხდება საზღვრების უმნიშვნელო შეცვლა, მაგრამ ყოველთვის საქართველოს საზიანოდ და არა სასარგებლოდ, ასე, მაგალითად, იალბუჯის მთა, რომელიც 1949 წლის რუკებზე ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე იყო. ამჟამად საზღვრის გადაღმავა!

საზღვრების გადანაწილება საბჭოთარი ეპოქის ნიშან-თვისებაა, რაც ცარიზმის დროს არ მოხდებოდა, ვინაიდან გაუქმებული იყო ერის სტატუსი, ხოლო საქართველო სამეფო გუბერნიად იყო გარდაქმნილი. მაგრამ საზღვრები არ ასახავენ იმ დემოგრაფიულ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ XIX საუკუნის მანძილზე. ეს ცვლილებები ცხადყოფენ, რაოდენ მცდარია ის ფართოდ გავრცელებული (განსაკუთრებით ყარაბახის კონფლიქტის დროიდან) თვალსაზრისი, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია თუნდაც ოდნავ მაინც შეცვალოს რესპუბლიკების საზღვრები იმ შიშის გამო, რომ ამას მოჰყვება დაუსრულებელი ჯაჭვური რეაქცია და მრავალი ადამიანის საცხოვრებელი ადგილის შეც-

ვლა. მაგრამ განა თვით საბჭოთა ძალაუფლებამ არ შეუწყო ხელი ისტორიაში ეროვნებათა მანამდე არნახულ გადაადგილებას?! (სტალინის დროს დეპორტირებულ იქნა მრავალი მცირერიცხოვანი ხალხი, სულ ცოტა ორი მილიონი ადამიანი). განა საბჭოთა ხელისუფლების ნებით არ მოხდა ტერიტორიული გადანაწილება, რესპუბლიკების საზღვრების შეცვლა, ანდა არსებული რესპუბლიკების ფარგლებში ახალი ავტონომიების შექმნა თუ გაუქმება?! ეს ხელისუფლება, სრულიად განუკითხავად, ყოველთვის ბოროტად იყენებდა თავის შესაძლებლობებს და ამიტომაც არის, რომ რესპუბლიკები, რომელთაც არ შეუძლიათ მისი არც შეცვლა და არც წინააღმდეგობის გაწევა, ამ ხელისუფლებას მათ თავზე აღმართულ დამოკლეს მახვილად აღიქვამენ.

### ამიერკავკასიის კონტაქსტი

იმ დროს, როდესაც საქართველო ძალებს იკრებდა საბრძოლველად, 1988 წლის დამდეგს მის საზღვრებს მიღმა, სომხეთში, ვითარება ერთობ დაიძაბა, და მით უფრო საკვირველია ის გარემოება, რომ ამ დრომდე სომხეთი ეროვნული ბრძოლის იმავე გზას მიჰყვებოდა, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოსთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთი იმ რესპუბლიკათაგანი იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა 1978 წლის 14 აპრილის მოძრაობას რესპუბლიკების კონსტიტუციებში ეროვნული ენის სტატუსის დასაცავად. საქართველოს მსგავსად, დისიდენტურ ჯგუფებს სომხეთშიც ნაციონალისტური იერი დაჰკრავდა. მაგალითად, 1986 წელს თბილისსა და ერევანში ერთდროულად გაიმართა დემონსტრაციები ავღანეთში წვევამდელების გაგზავნის საწინააღმდეგოდ. 1987 წლის დამლევაამდე სომხეთი და საქართველო პარალელური გზით მიდიოდნენ: ქართველები ამიერ-

კავკასიის რკინიგზის გაყვანის წინააღმდეგ იბრძოდნენ, სომხები ატომური ელექტროსადგურის გაუქმებას მოითხოვდნენ და ა. შ.

მაგრამ მოულოდნელად ეს პარალელური გზები სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. სომხების მოთხოვნებმა ეკოლოგიიდან ტერიტორიულ საკითხებზე გადაინაცვლეს. როგორც ცნობილია, ამგვარ მოთხოვნებს აზერბაიჯანელთა მწვავე რეაქცია მოჰყვა. მუსულმან აზერბაიჯანელებსა და ქრისტიან სომეხთა შორის ქართველების სიმპათიები ერთმორწმუნე ერის მხარეზე გადაიხარა, მით უმეტეს, რომ ქართველ მოსახლეობას აზერბაიჯანში არასოდეს არ ეპყრობოდნენ მაინცდამაინც კარგად. მაგრამ ეს სიმპათია არ გადაზრდილა პოლიტიკურ მხარდაჭერაში.

იმის შემეყურენი, რაც მათი საზღვრების მიღმა ხდებოდა და რაც ამ ორომტრიალში ჩატრევის საფრთხესაც ქმნიდა. ქართველები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სომხების მოთხოვნები არარეალისტურია. მიზანს ვერ მიაღწევენ და მხოლოდ საბოლოოდ გადაიკიდებენ მუსულმან ხალხებს, რითაც დაირღვევა კავკასიის ერთიანობა და დაიკარგება სამი ერის ერთ მუშტად შეკვრის ის შანსი, რომელიც ხელიდან არ გაუშვებს ბალტიისპირეთის ერებმა.

თავიანთი ისტორიული გამოცდილებით ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან ქართველებს ყოველთვის აკვირვებს ის მიაშიტობა, რომლითაც სომხები თავიანთი ინტერესების დაცვას რუსეთს მიანდობენ ხოლმე. ყველა პრეცედენტს, მათ შორის სომეხთა გენოციდს თურქეთში, უნდა დაერწმუნებინა სომხები იმაში, რომ რუსების მხრიდან ფარული დაიმედების მიუხედავად, კრიტიკულ მომენტში კონკრეტული დახმარება არასოდეს მიუღიათ. გარდა ამისა (შესაძლოა ეს ქვეცნობიერად ხდებოდა), სომხეთსა და საქართველოს ორი რამე ამორებს: სტრატეგიული ანგარიში, და ის



გარემოება, რომ სომხეთს არა აქვს რუსეთის ინტერვენციის გამოცდილება. ჭერ ერთი, საქართველოს სომხეთისაგან განსხვავებით, არ მოეპოვება დიასპორა; ქართველთა ხსოვნაში ღრმად არის აღბეჭდილი ის რეპრესიები, რაც მოჰყვა XIX და XX საუკუნეებში მოწყობილ აჯანყებებს; საქართველო ვერ დაადგება თავგანწირული ბრძოლის გზას; ამასთანავე, მან შეძლო ეროვნული ცნობიერების გაღვივება და ხალხის კონსოლიდაცია მიზანდასახული მოქმედებისათვის. გარდა ამისა, მართალია, სსრკ-ს სხვა რესპუბლიკების მსგავსად, არც სომხეთისათვის ჩაუვლია გვერდით ტერიტორიის პოლიტიკას, მაგრამ სომხეთის ისტორიული გამოცდილება დაკავშირებულია არა ოკუპაციასთან რუსეთის მხრიდან, არამედ უპირველესად — ძალადობასთან მუხტულმანი ხალხებისაგან.

ამ მიზეზების გამო ამ ორმა ერმა განსხვავებული სტრატეგია აირჩია. მართალია, ერთობ ეტაპობრივი გზით, საქართველო უდავოდ დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვის, რაც წარმოუდგენელია საბჭოთა კავშირის ფედერალური სტრუქტურის ფარგლებში. მისგან განსხვავებით, სომხები უწინარესად დაინტერესებული არიან იმ ტერიტორიების დაბრუნებით, რომლებიც დაპყრობილი აქვს თურქეთს; მათ შესაძლებლად მიაჩნიათ ამ ტერიტორიების შეერთება საბჭოთა სომხეთთან. ერთეულების გამოკლებით, სომხებს დამოუკიდებლობის მოპოვება შეუძლებლად და სახიფათოდაც მიაჩნიათ მეზობლად მყოფი თურქეთის, აზერბაიჯანისა და პომეინისტური ისლამური აღორძინების კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ბოლოდროინდელი ანტირუსული ტალღა უნდა მივიჩნიოთ სომხეთის ეროვნული ცნობიერების არა ღრმა ფესვების მქონა ტენდენციად, არამედ ერთობ ზედაპირულ მოვლენად.

აღნიშნული ისტორიული ფაქტორე-

ბის გამო ამ ორ ერს შორის 25 საუკუნოვანი კეთილმეზობლობისა და თითქმის უკონფლიქტო ურთიერთობის მიუხედავად, საქართველოსათვის უდავოდ უფრო მისაღები აღმოჩნდა ის სტრატეგია, რომელიც შორეულ ჩრდილოეთში ბალტიისპირეთის ერებმა აირჩიეს. თუ მანამდე საორიენტაციო მოდელს პოლონეთი წარმოადგენდა, ახლა მისი ადგილი ბალტიისპირელებმა დაიკავეს.

გასულ სექტემბერს დაწყებულმა დემონსტრაციებმა ამჟამად მრავალათასიანი მიტინგებისა და მსვლელობების სახე მიღო. როდესაც დაიწყო რეპრესიები, მოშიმშილეთა თავდაპირველმა რიცხვმა ოთხმოცმა — მალე რეაასს მი აღწია; ისინი მოითხოვდნენ კონსტიტუციაში არა მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გავლის პარაგრაფის შენარჩუნებას, არამედ, აგრეთვე, იმ კონსტიტუციური შესწორებების გაუქმებას, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. შიშს გამოთქვამენ, რომ მოსკოვი დათმობს აისბერგის ზედა, ანუ ხილულ ნაწილს, მაგრამ სინამდვილეში გაზრდის ცენტრალიზებული ეკონომიკური პოლიტიკის პრეროგატივას. ეს მიზანი ნათლად გამოსჭვივის კონსტიტუციური შესწორებების მოსკოვის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში.

### კონსტიტუციური ხრიკები

ეროვნული მოძრაობის თავკაცები ქართული პრესის ფურცლებზე იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ამჟამინდელი მემენტი ეროვნული წინააღმდეგობის ახალ სტადიას წარმოადგენს. წინ გრძელი გზაა გასავლელი. შეიქმნა ვითარება, როდესაც გარეგნული გამოვლინება არ ემთხვევა მოვლენის რეალურ ხასიათს; ხელისუფლების მოჩვენებითი შესუსტების მიღმა შესაძლოა იმალება

მტკიცე გადაწყვეტილება — ხელიდან არ გაუშვას ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სადავეები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოური ოფიციალის ერთიანობას.

ხალხის უმრავლესობამ დაიკმაყოფილა თავისი პრინციპები იმით, რომ საბჭოთა დროშის ნაცვლად ეროვნული დროშა ააფრიალა და საშუალება მიეცა წმამალა გამოხატოს ეროვნული გრძნობები; სხვაგვარად, სიტყვიერი და ვიზუალური სიმბოლოებით დაკმაყოფილდა. მაგრამ უფრო გონიერი ნაწილი არ მოტყუვდა და ნათლად ხედავს, რომ მარქსისტულ გამოთქმას თუ ვიხმართ, სტრუქტურაში ცვლილებები არ მომხდარა და ადრინდელი ძალაუფლებრივი ურთიერთობები უცვლელი დარჩა.

ერთადერთი რაც შეიცვალა — და ეს უმნიშვნელო ფაქტორი როდია — გახლავთ ის, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი პროგრესული ცვლილებების ზეგავლენით რესპუბლიკების ხელისუფლება მიხვდა, რომ ამიერიდან აღარ შეიძლება მოსახლეობის მოთხოვნების სრული იგნორირება, რესპუბლიკების ხელისუფალნი თანდათან კარგავენ რეალურ ძალაუფლებას მას შემდეგ, რაც წარსულს ბარდება ძმაცაცობის, ნაცნობობისა და პრაქტიკულად ავტონომიური პარტიული ბიუროკრატის ბატონობის ნეტარი ყამი. გავიხსენოთ შუა აზია ან საკუთრივ საქართველო: შევარდნაძის ხელისუფლება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პატიაშვილის. მეორე მხრივ, რესპუბლიკების ხელისუფალნი, ერთგვარი კანონიერების შთაბეჭდილების შესაქმნელად, იძულებული არიან გარკვეული ანგარიში გაუწიონ მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნებს. მაგრამ ეს თამაში დიდხანს ვერ გასტანს. საბოლოოდ ცენტრალური ხელისუფლება შეახსენებს ყველას, თუ ვის ეკუთვნის რეალური ძალაუფლება და ვინ არის რესპუბლიკების ნამდვილი ბატონ-პატრონი.

1956 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველი მდივანი მყავანაძე იმ დროს მომხდარი ამბებისათვის ისევე არ დაზარალებულა, როგორც ცუდი არაფერი დამართვია პირველ მდივანს ორახელაშვილს 1924 წელს. ახლა კი რა ხდება?! როგორც სომხეთში, ასევე აზერბაიჯანში ხელმძღვანელობა გადადგა, ვინაიდან ასეთი არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან ხალხისაგან სრული გაუცხოება ანდა წესრიგისა და კანონიერების განუხრელი დაცვა. ამ მაგალითის კარანახით საქართველოს ხელმძღვანელობამ თვეების მანძილზე რა ხერხებს არ მიმართა მოსახლეობასთან დიალოგის მისაღწევად და გარკვეული ნდობის მოსაპოვებლად. იგივე ითქმის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებზე, სადაც პარტიული ხელმძღვანელობა ეროვნული მოთხოვნების თვალსაზრისით ზოგჯერ წინ უსწრებს ხალხს.

რაც შეეხება ეროვნული საკითხის მომავალს კავკასიაში ერთობ ძნელია რაიმეს წინასწარმეტყველება, ვინაიდან სიტუაცია გამუდმებით იცვლება ყოველდღიურად. მაგრამ რამდენიმე პიპოთეზური მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ჯერ ერთი, სომხეთ-აზერბაიჯანის საკითხი დარჩება მოუგვარებელი, ცვალებადი ძალით მუდმივმოქმედ კონფლიქტად, რომელიც გამწვავდება ყოველ ისეთ მომენტებში, როდესაც მომძლავრდება და დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა ბალტიისპირელებისა და ქართველების ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები.

მეორე, ცენტრალური ხელისუფალნი მოსკოვში წავლენ დაუყოვნებლივ და აშკარა დათმობებზე და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეურიგდებიან ძალაუფლების განაწილებას რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან. ამ საკით-

ხში მეტ სიცხადეს შემოიტანს ცვლილებები პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, რომელიც ჯერჯერობით არ ამეღვენებს მისწრაფებას ძალაუფლების გადაცემისაკენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისათვის.

მესამე. მოსალოდნელია ნაციონალისტური ექსტრემიზმის ზრდა. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება თუ მას თავის გადარჩენა სურს, დაყოფისა და ბატონობის ტრადიციულ ხერხს მიმართავს. ხელისუფლება ყოველნაირად შეუწყობს ხელს ეროვნებათა მხრიდან საპირისპირო თვალსაზრისთა წამოყენებას ისეთი ვითარების შესაქმნელად, როდესაც ეს თვალსაზრისები დაუპირისპირდება და დაასუსტებს ერთმანეთს, რაც ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალებას მისცემს ყველას თვალში გამართლებული გამშველებლისა და არბიტრის მომგებიანი როლი შეასრულოს.

და ბოლოს, ეროვნული მოძრაობის (საბჭოთა კავშირის ყველა პერიოდში ყველაზე უფრო ძნელად მოსაგვარებელი პრობლემის) ამ ძნელბედობის ქამს, მოსკოვს, რაგინდ პარადოქსულად უნდა ჟღერდეს ეს, როგორც ჩანს ნაციონალისტური ექსტრემიზმი და ძალადობა უფრო ურჩევნია, ვიდრე ნაკლებად რადიკალური და უფრო კარგად ორგანიზებული ისეთი მანიფესტაციები, რომელთაც შესაძლოა მოჰყვეს პერიფერიული ჯგუფების ინტერესთა კოალიციური დაპირისპირება ცენტრისადმი, ერების გათიშვა და დისკრედიტაცია ფანატიკური ნაციონალიზმის ბოროტის სულის აღზევების გზით, როგორც ჩანს, ერთადერთ კარტად რჩება გორბაჩოვისა და მის მემკვიდრეთა ხელში.

ინგლისურიდან თარგმნა ირაკლი კენჭოშვილმა.

ავთანდილ კობახიძე

## კონფისკაციის ხევა და სახეები

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა კონფისკაციის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ კონფისკაცია როგორც სასჯელი არ უნდა გამოიყენებოდეს.<sup>1</sup> ავტორთა უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ კონფისკაცია საჭირო ზომაა და შენარჩუნებული უნდა იქნეს.<sup>2</sup> საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკაც ამ თვალსაზრისს იზიარებენ. ასეთივე აზრი გამოიხატა სსრ კავშირში საკუთრების შესახებ ახალ კანონშიც, რომელმაც შესაძლებლად ჩათვალა კონფისკაციის გამოყენება ჩადენილი დანაშაულისათვის სანქციის სახით.<sup>3</sup> ეს კიდევ უფრო საჭიროს ზღის კონფისკაციის ცნების დაზუსტებას.

კონფისკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ჩამორთმევას. იურიდიულ ლიტერატურაში კონფისკაციის ქვეშ იგულისხმება ქონების იძულებითი და უსასყიდლო ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ ინსტიტუტს იცნობდა უძველესი სამართლის სისტემები. უმთავრესად იგი გამოიყენებოდა როგორც ქონებრივი სასჯელის სახე. ამ სახით იყო იგი გათვალისწინებული რომის სამართალში, რეგოლუციამდელი რუსეთის კანონმდებლობაში და სხვა კანონთა სისტემებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კონფისკაციის გამოყენება აღიარებული იქნა პირველივე დეკრეტებითა და კოდექსებით.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობითაც საკმაოდ ფართოდ არის აღიარებული ქონების კონფისკაციის გამოყენება, როგორც სანქცია სამართალდარღვევისათვის. მიუხედავად ამისა, არც დარგობრივ კანონმდებლობაში და არც იურიდიულ ლიტერატურაში არ არის მოცემული კონფისკაციის ცნების ზოგადი, სრული განმარტება, რომელიც ამოწურავს როგორც ამ ცნების ზოგად შინაარსს, ისე სამართლის ცალკეულ დარგში ამ ინსტიტუტის გამოყენების თავისებურებებს. ეს გარემოება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, რადგან თეორიულ სიზუსტეს რომ თავი დავანებოთ, პრაქტიკა მოითხოვს სამართლის კონკრეტულმა დარგმა სანქციის კონკრეტულ თავისებურებას გაუსვას ხაზი, სრულად ასახოს ამ სანქციის მოცემულ დარგში გამოყენების ყველა დამახასიათებელი ნიშანი და თავისებურება.

<sup>1</sup> См.: Иванов В. Н. Должно ли сохраняться конфискация имущества, как вид уголовного наказания, Сов. гос. и право, 1958, № 9, с. 100—101; Цветинович А. А. Дополнительные наказания в советском уголовном праве, Калининград, 1980, с. 41-43.

<sup>2</sup> См.: Коряковцев В. В., О совершенствовании применения конфискации имущества, Правоведение, 1989, № 4, стр. 75-78.

<sup>3</sup> იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1970 წლის 14 მარტი.

თუ ამ გაგებით მივუდგებით საკითხის შესწავლას, დავინახავთ, რომ არც კონფისკაციის ცნების ზოგადი განმარტებები, რაც მოცემულია იურიდიულ და ენციკლოპედიურ ლექსიკონებში თუ გამოცემებში და არც სისხლის სამართლის საკანონმდებლო აქტებში ფორმულირებული კონფისკაციის კონკრეტული განმარტებები, სრულყოფილი არ არის.

იურიდიული ლექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს კონფისკაციას: „ქონების კონფისკაცია ეს არის სასჯელი სისხლის სამართალში, რაც გამოიხატება მსჯავრდებულის მთლიანი ან ზუსტად განსაზღვრული იმ ქონების იძულებით და უსასყიდლო გასხვისებაში სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელიც მას ეკუთვნის პირად საკუთრებაში ან საერთო წილად საკუთრებაში“.

აღნიშნული განმარტება ცალმხრივია, რადგან ეხება მხოლოდ კონფისკაციის სისხლის სამართალში გამოყენებას, მაშინ, როცა ეს ზომა გამოიყენება როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ისე, როგორც ზოგადი ნორმა, რომელიც მიმართულია არა კონკრეტული სამართალდამრღვევი პირების მიმართ, არამედ როგორც საერთო სამართლებრივი აქტი, რომელიც ეხება პირთა გარკვეულ წრეს. ასეთი იყო მაგალითად, კონფისკაციის სახით ჩატარებული ნაციონალიზაცია. გარდა ამისა, ამ განმარტებაში აღნიშნული ინსტიტუტის არც სისხლის სამართალში გამოყენება არის სრულად მინიშნებული, რამდენადაც იქ ნათქვამია კონფისკაციაზე, როგორც მხოლოდ სასჯელზე. საერთოდ არ არის მოხსენიებული დანაშაულის იარაღის და დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების კონფისკაცია, მაშინ, როცა, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საკმაოდ ხშირად გამოიყენება სისხლის სამართალში კონფისკაციის ეს სახე. ამასთან, ეს განმარტება არაზუსტია იმიტომაც, რომ კონფისკაცია ჩათვლილია როგორც სასჯელის სახე, ფაქტობრივად კი იგი არის დამატებითი სასჯელის სახე. იურიდიული სიზუსტე მოითხოვს, რომ ამ ინსტიტუტის განმარტებაში სწორად იყოს მინიშნებული მისი როგორც გამოყენების სფერო, სამართლებრივი არეალი, ისე დამახასიათებელი ნიშნები და თვისებები.

კონფისკაციის ცნების განმარტება შედარებით უკეთესად არის მოცემული „საბჭოთა ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ და „იურიდიულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, თუმცა არც ეს განმარტებებია სრული. სახელდობრ, ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით „ქონების კონფისკაცია არის მოქალაქის კუთვნილი მთლიანი ქონების ან მისი ნაწილის იძულებითი უსასყიდლოდ ჩამორთმევა სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემით. საბჭოთა სისხლის სამართალში დამატებითი სასჯელის ერთ-ერთი სახე. გამოიყენება აგრეთვე როგორც ადმინისტრაციული სახდელის ზომა“<sup>4</sup>. გარდა იმისა, რომ ამ განმარტებაშიც არაფერია ნათქვამი სისხლის სამართალში კონფისკაციის გამოყენებაზე დანაშაულის იარაღებისა და დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების მიმართ, რატომღაც თითქოსდა სპეციალურად არის გამოტოვებული კონფისკაციის გამოყენება სამოქალაქო სამართალში. სადაო არ არის, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში არათუ გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია, არამედ არც თუ იშვიათი მოვლენაა მისი გამოყენება სასამართლოების პრაქტიკაშიც.

იურიდიული ენციკლოპედიური ლექსიკონი კონფისკაციას განმარტავს როგორც „ქონების იძულებით უსასყიდლო ჩამორთმევას სახელმწიფო საკუთ-

<sup>4</sup> «Юридический словарь», М., 1953, с. 285.

<sup>5</sup> «Советский энциклопедический словарь», М., 1984, с. 623.

რებაში გადაცემით როგორც სანქციას სამართალდარღვევისათვის<sup>6</sup>. აღნიშნული განმარტების ავტორია ს. მ. კორნეევი. მართალია, განმარტებაში სწორად არის გათვალისწინებული ამ სანქციის გამოყენება ყოველგვარი სამართალდარღვევისათვის (სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული), მაგრამ არაფერია ნათქვამი კონფისკაციის, როგორც ზოგადი ინსტიტუტის გამოყენებაზე. ასევე დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების კონფისკაციაზე.

არასრულყოფილად უნდა ჩაითვალოს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოცემული კონფისკაციის განმარტება. იქ ნათქვამია, რომ კონფისკაცია არის „მოქალაქის პირადი ქონების იძულებით უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებად გადაცემა. საბჭოთა სისხლის სამართალში ქონების კონფისკაცია გამოიყენება როგორც დამატებითი სასჯელი მხოლოდ სახელმწიფო დანაშაულისა და მძიმე ანგარებითი დანაშაულისათვის, თანაც მართოდენ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (საქართველოს სსრ სსკ 34-ე მუხლი). კონფისკაცია როგორც სისხლის სამართლებრივი სასჯელი უნდა განეხილავთ იმ საგნების კონფისკაციისაგან, რომლებიც გამოყენებული იყო დანაშაულის ჩასადენად ან შექმნილი იყო დანაშაულებრივი გზით. ამ საგნების კონფისკაცია უნდა მოხდეს ყველა შემთხვევაში იმისდა მიუხედავად კონფისკაცია დაედო თუ არა პირს სასჯელად. ქონების კონფისკაცია შეიძლება ადმინისტრაციული წესითაც (მაგ. კონტრაბანდული საქონლის კონფისკაცია)<sup>7</sup>.

აღნიშნულ განმარტებაში სავსებით სწორად არის მინიშნებული დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების კონფისკაციაზე, რაც ზემოთნახსენებ განმარტებებში არ არის, მაგრამ გაუგებარია რატომ არ არის მასში მითითებული კონფისკაციის სამოქალაქო სამართალში გამოყენების შესახებ, არაზუსტად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ამ განმარტებაში გატარებული აზრი, რომ სისხლის სამართალში კონფისკაცია გამოიყენება მხოლოდ მძიმე ანგარებითი დანაშაულისათვის. ფაქტობრივად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით არაერთი არამძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის კონფისკაცია გათვალისწინებული (საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 150-ე მუხლი და სამეურნეო დანაშაულთა მთელი რიგი სახეები).

ასევე ცალმხრივია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოცემული კონფისკაციის ცნების განმარტება. იქ ნათქვამია: „ქონების კონფისკაცია არის პირადი საკუთრების მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებითი, უსასყიდლო ჩამორთმევა სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემით. სისხლის სამართალში ქონების კონფისკაცია არის დამატებითი სასჯელის ერთ-ერთი სახე; საბჭოთა სამართლის მიხედვით გამოიყენება მხოლოდ დამატებით სასჯელად. შეიძლება დაინიშნოს სახელმწიფო და ანგარებითი დანაშაულისათვის მსჯავრდებისას კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს შეუძლია კონფისკაცია უყოს ქონებას (მთლიანად ან მის ნაწილს) მისი შექმნის მართლზომიერების მიუხედავად... დაიშვება მსჯავრდებულის მხოლოდ პირადი ქონების კონფისკაცია. ქონების კონფისკაციის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელისაგან უნდა განეხილავთ მსჯავრდებულისაგან იმ საგნების

<sup>6</sup> «Юридический энциклопедический словарь», М., 1987, с. 193.

<sup>7</sup> იხ. ქსე, ობ., 1980, ტ. 5, გვ. 651.

ჩამორთმევა. რომლებიც ნივთიერ მტკიცებებს წარმოადგენენ (მათ შორის დანაშაულის იარაღის); გარდა ამისა, სახელმწიფო შემოსავალში კონფისკაცი-  
აქმნილი უნდა იქნეს დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფული თუ სხვა ფასე-  
ულობანი. კონფისკაციისაგან უნდა განვასხვაოთ აგრეთვე გადასაზღვლი, რაც  
მიექცევა მსჯავრდებულის ფულსა და ქონებაზე დანაშაულით მიყენებული ზა-  
რალის ასანაზღაურებლად“<sup>8</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ ძირითადად ლაპარაკია კონფისკაციის გამოყენება-  
ზე სისხლის სამართალში და საერთოდ არ არის მოხსენიებული კონფისკაცია  
სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში. ნებისმიერი ცნების ასეთი  
ცალმხრივი განმარტება, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ანალოგიური უზუსტობით ხასიათდება საკუთრების შესახებ ახალ კანონ-  
ში მოცემული კონფისკაციის ცნება. კანონის 33-ე მუხლის მეორე პუნქტის  
მესამე აბზაცში ნათქვამია: „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რეს-  
პუბლიკების საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქო-  
ნება შეიძლება ჩამოერთვას მესაკუთრეს სასამართლოს, სახელმწიფო არბიტ-  
რაჟის ან სხვა კომპენტენტური სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის)  
გადაწყვეტილებით ჩადენილი დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევისათვის  
სანქციის სახით (კონფისკაცია)“<sup>9</sup>. შეიძლება ითქვას, რომ აქ სავსებით სწო-  
რად არის გამოტოვებული კონფისკაციის გამოყენება ზოგადად, არასამარ-  
თალდამრღვევი პირების მიმართ. რამდენადაც სამართლებრივ სახელმწიფოში  
ქონების ასეთი ჩამორთმევა არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ რამდენადაც საკითხი  
ეხება კონფისკაციის ცნებას საბჭოთა სამართლის მიხედვით, უნდა მოვიხსე-  
ნოთ მისი ის სახეც, რომელიც გამოიყენებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირ-  
ველ წლებში. კერძოდ, ზოგადი სახის კონფისკაცია მიმართული არა კონკრე-  
ტული სამართალდამრღვევი პირების მიმართ, არამედ პირთა გარკვეული წრის  
მიმართ. სხვა საკითხია თუ რამდენად გამართლებულია კონფისკაციის ეს სა-  
ხე და სწორია თუ არა მისი გამოყენება. გარდა ამისა, საკუთრების ახალ კა-  
ნონში მოცემულ კონფისკაციის ცნებაშიც არ არის მითითებული კონფისკა-  
ციის ის სახე, რომელიც გამოიყენება არა როგორც სანქცია სამართალდარღვე-  
ვისათვის, არამედ როგორც ე. წ. სპეციალური კონფისკაცია — დანაშაულის  
იარაღისა და დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების ჩამორთმევა.

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა შემთხვევაში განმარტებაში საერ-  
თოა სამი ძირითადი დამახასიათებელი ნაკლი: 1. არაფერია მათში ნათქვამი  
ზოგადი სახის კონფისკაციაზე, ნაციონალიზაციის ერთ-ერთ სახეზე, რაც  
სწორი არ არის, რომელიმე ცნების ზოგადი განმარტება უნდა მოიცავდეს  
ყველა იმ სფეროს, რასაც ის ეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს განმარტება  
ცალმხრივი დარჩება. კონფისკაცია, რომ მართო სანქციის სახით არ გამოი-  
ყენება სამართალდამრღვევი პირების მიმართ, ეს ისტორიული ფაქტია, არა  
მართო საბჭოთა ქვეყნის სინამდვილეში. ბურჟუაზიულ რევოლუციებს არც-  
თუ იშვიათად ახლდა მემამულეთა, ფეოდალთა მიწების კონფისკაცია, ხოლო  
საბჭოთა სახელმწიფოში კი მის შექმნის გარიყრაჟზე მთელი ეკონომიკა კერძო  
მესაკუთრეთა ქონების კონფისკაციის საფუძველზე ყალიბდებოდა. არც ერთი  
ეს დეკრეტი არ იყო სანქცია სამართალდარღვევისათვის, ყველა იყო ზოგადი  
აქტი, რომელიც არაერთი პირის ქონების კონფისკაციას ითვალისწინებდა; 2.

<sup>8</sup> См.: БСЭ, 3-е изд., М., 1979, т. 13, с. 238.

<sup>9</sup> იხ. ვახეთი „კომუნისტი“. 1990 წლის 14 მარტი.

თითქმის ყველა ეს განმარტება ეხება მხოლოდ კონფისკაციას სისხლის სამართალში, არასწორად უვლის გვერდს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ამ ინსტიტუტის გამოყენებას. ამასთან, არც ერთ ამ განმარტებაში, გარდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისა და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისა, არ არის მოხსენიებული სრულად სამართლის ამ დარგში კონფისკაციის გამოყენება, არაფერია მათში ნათქვამი დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების ჩამორთმევის შესახებ; 3. დღემდე მოცემულ კონფისკაციის თითქმის ყველა განმარტებაში მითითებულია, რომ საქმე ეხება პირადი ქონების ჩამორთმევას. ესეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს განმარტებები ეხება მხოლოდ სისხლის სამართალს, ვინაიდან აქ ხდება კონფისკაციის დროს მხოლოდ მსჯავრდებულის პირადი ქონების ჩამორთმევა. რაც შეეხება სამოქალაქო სამართალში ქონების კონფისკაციის გამოყენებას, აქ არ არის გამორიცხული, რომ ეს კონფისკაცია შეეხოს იურიდიული პირის ქონებასაც. ეს აზრი გამომდინარეობს საკუთრების შესახებ ახალი კანონის ზემოთ მოხსენიებული 33-ე მუხლის შინაარსიდანაც, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს კონფისკაციას სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებითაც. სახელმწიფო არბიტრაჟი კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ ორგანიზაციათა შორის დავებს იხილავს, ე. ი. მას შეუძლია მხოლოდ ორგანიზაციის კუთვნილი ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღოს. ეს შემთხვევითი როდია. თანამედროვე პირობებში, ეკოლოგიური პრობლემების არსებობისას, როცა ასე მწვავედ დგას რადიქტიულ და ქიმიურ ნივთიერებათა არაკანონიერად გამოყენების საშიშროება, რამაც შეიძლება დიდი საფრთხე შეუქმნას ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. დღის წესრიგში დგება საკითხი არა მარტო ამ სფეროში დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, არამედ ორგანიზაციათა, იურიდიულ პირთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ეს კი მოითხოვს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა ახლებურად მოწესრიგებას, კანონმდებლობაში ახალი ნორმების შემოღებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება იურიდიულ პირთა ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკოლოგიურ საშიშროებასთან დაკავშირებული მოქმედებისათვის. ვიცით, რომ თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს ქიმიზაციის სამართლებრივი რეგულირების ახალ-ახალ ფორმებს<sup>10</sup>.

ამავე აზრის სასარგებლოდ მიუთითებს ახლახან მიღებული კანონი „მოქალაქეთა ეროვნული თანასწორობისა და სსრ კავშირის ტერიტორიის მთლიანობის ძალადობრივი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, რომლის მეორე მუხლის მეხამე აბზაცში ნათქვამია, რომ მოქალაქეთა გაერთიანება, რომლის მოღვაწეობა აკრძალულია სასამართლოს მიერ, დაიშლება, მისი ქონება კი გადაეცემა სახელმწიფოს.<sup>11</sup> ე. ი. დასაშვებად არის მიჩნეული პირთა გაერთიანების ქონების კონფისკაცია.

იმისათვის, რომ სწორად ავხსნათ კონფისკაციის იურიდიული ბუნება, განვსაზღვროთ მისი ზუსტი ცნება, საჭიროა ზაზი გაგუსვათ მის განმასხვავებელ ნიშნებს სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან.

კონფისკაცია თავისი სამართლებრივი შედეგით ახლოსაა ნაციონალიზა-

<sup>10</sup> См.: Синдаров К. О., Правовое регулирование отношения по химизации сельскохозяйственного производства. — Автореферат канд. диссертации. Ташкент, 1989.

<sup>11</sup> იხ. გაზეთი „იზვესტია“, 1990 წლის 6 აპრილი.



ციასთან, მუნიციპალიზაციასთან და რეკვიზიციასთან. ყველა დასახელებულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ქონების იძულებითი ჩამორთმევა, მაგრამ თითოეულ მათგანს მაინც ახასიათებს განმასხვავებელი თავისებურება.

კონფისკაცია, როგორც ითქვა, ქონების იძულებითი, თანაც უსასყიდლო ჩამორთმევაა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ნაციონალიზაცია ნიშნავს ქონების იძულებით ჩამორთმევას სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემით, მაგრამ ნაციონალიზაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით (კონფისკაცია, რეკვიზიცია, სეკვისტრი). როგორც სავსებით სწორად მიუთითებს პროფ. ს. ჯორბენაძე „რევოლუციურმა პრაქტიკამ წაშალა არსებითი ზღვარი, კონფისკაციას, რეკვიზიციასა და სეკვისტრს შორის“<sup>12</sup>, მაგრამ „სოციალისტური სახელმწიფოს ხელში ნაციონალიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო კონფისკაცია“<sup>13</sup>.

ნაციონალიზაციის თავისებურება ისიცაა, რომ ეხება ქონების განსაკუთრებულ სახეს, წარმოების საშუალებებს, მიწას, ფაბრიკა-ქარხნებს. ბანკებს და სხვას. გარდა ამისა, როგორც საერთო წესი, ნაციონალიზაცია გულისხმობს ამ ქონების გამოსყიდვას სახელმწიფოს მიერ. ამ საერთო წესისაგან განსხვავებით ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განხორციელდა პროლეტარული ნაციონალიზაცია. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტებით უმთავრესად უსასყიდლოდ იქნა ნაციონალიზებული მიწა, ფაბრიკები, ქარხნები, ბანკები და წარმოების სხვა საშუალებები. ამიტომ ეს ფაქტობრივად კონფისკაცია იყო, რამდენადაც კერძო მესაკუთრეებს იძულებით, უსასყიდლოდ ჩამოერთვათ თავიანთი კუთვნილი ქონება და გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში. ე. ი. ეს იყო კონფისკაციის თავისებური სახე, ზოგადი კონფისკაცია, მიმართული არა კონკრეტული სამართალდამრღვევი პირების მიმართ, არამედ პირთა გარკვეული წრის, მსხვილი მესაკუთრეების მიმართ. ეს არ იყო სანქცია სამართლის რომელიმე ნორმის დარღვევისათვის, იგი იყო სოციალისტური სახელმწიფოს რევოლუციური ღონისძიება. რომელიც ითვალისწინებდა კერძო საკუთრების ექსპროპრიაციას და მბრძანებელი ეკონომიკური მწვერვალების სახელმწიფოს ხელში თავმოყრას.

ასევე შეიძლება ითქვას მუნიციპალიზაციის შესახებ. მუნიციპალიზაცია ნიშნავს თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობის სახით კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და შენობების ჩამორთმევას და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას. ეს ღონისძიებაც საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და ფაქტობრივად იყო კონფისკაციის ზოგადი სახე, ვინაიდან სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა უსასყიდლოდ მესაკუთრეთა ქონება.

განსხვავებული შინაარსი აქვს რეკვიზიციას. ეს არის ქონების იძულებითი ჩამორთმევა, მაგრამ კონფისკაციისაგან განსხვავებით იგი ყოველთვის სასყიდლიანია, ე. ი. გარკვეულ ანაზღაურებას გულისხმობს და ამასთან ხორციელდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, რეკვიზიციით მხოლოდ მაშინ შეიძლება დაისვას ქონების იძულებითი ჩამორთმევის საკითხი, როცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს ამას. ამასთან უნდა ანაზღაურდეს ამ ქონების ღირებულება.

<sup>12</sup> ს. მ. ჯორბენაძე, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, თბილისი, 1963, გვ. 250.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 248.

თავისი დანიშნულებით კონფისკაცია ახლოს დგას ჯარიმასთან. კონფისკაცია, როგორც დამატებითი სასჯელი, ისევე როგორც ჯარიმა, არის ქონებრივი სანქცია, რაც გამოიყენება გარკვეული სამართლებრივი ნორმის დარღვევისათვის, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ჯარიმა ინიშნება კონკრეტულად განსაზღვრული თანხის სახით, კონფისკაცია კი უმთავრესად ეხება დამრღვევის მთლიან პირად ქონებას, ან მის ნაწილს, ან მთლიანად ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს, მიუხედავად იმისა, თუ რა ღირებულებიანია ის. კონფისკაცია დამატებითი სასჯელია, ჯარიმა უმთავრესად ძირითად სასჯელად გამოიყენება.

იურიდიული ბუნებით კონფისკაცია ძალზე ახლოსაა ე. წ. „უსაფუძვლო გამდიდრებასთან“. უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება, როცა ის მიღებულია არა გარიგებით ისეთი მოქმედების შედეგად, რაც შეგნებულად ეწინააღმდეგება სოციალისტურ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, თუ მისი კონფისკაცია არ უნდა მოხდეს, ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში. ე. ი. აქაც, ისევე როგორც კონფისკაციის დროს, სახეზე გვაქვს ქონების იძულებითი წესით ჩამორთმევა უსასყიდლოდ და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, მაგრამ პირველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მხოლოდ იმ ქონების დაბრუნება თუ ჩამორთმევა. რომელიც უკანონოდ მიიღო პირმა, ხოლო კონფისკაციის დროს ხდება საერთოდ ამ პირის კუთვნილი ქონების ჩამორთმევა.

ზოგჯერ ერთმანეთისაგან განასხვავებენ ქონების კონფისკაციასა და ფულის თუ სხვა ფასეულობის სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხვას, რაც ფაქტობრივად სწორი არ არის. ფულის (ფასეულობის) სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხვა იგივე კონფისკაციაა, მაგრამ კანონმდებელი ამ განსხვავებულ ტერმინებს ხმარობს იმისათვის, რომ პრაქტიკულად არ გართულდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. როცა ხდება ფულის თუ სხვა ფასეულობის ჩამორთმევა, კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფო შემოსავალში მოხდეს მათი ჩაირიცხვა, ხოლო როდესაც ჩამორთმეული უნდა იქნეს სხვა ქონება, განაჩენში (განჩინება, გადაწყვეტილება, დადგენილება) ჩაიწერება ამ ქონების კონფისკაციის შესახებ, რადგან შემდეგში უნდა მოხდეს ამ ქონების რეალიზაცია და მისი ღირებულების სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხვა ანდა უშუალოდ ამ ქონების გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში რომელიმე ორგანიზაციის სახელზე.

სამართლის დარგების მიხედვით ქონების კონფისკაცია ყველაზე მეტად გამოიყენება სისხლის სამართალში. ამიტომ ჩვენც ყურადღებას გავამახვილებთ სისხლის სამართლის მიხედვით კონფისკაციის ცნების სიზუსტეზე. ამას ისიც განაპირობებს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაშიც და ამ დარგების სამართლებრივ ლიტერატურაშიც კონფისკაციის ცნების განმარტება შეესატყვისება იმ შინაარსს, რა გამოყენებაც აქვს ამ ინსტიტუტს აღნიშნულ დარგებში. კერძოდ, სამოქალაქო სამართალში კონფისკაცია გამოიყენება როგორც სანქცია სამართალდარღვევისათვის და ამის შესაბამისადაც არის ის განმარტებული როგორც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში (31-ე მუხლი), ისე მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში თუ ცივილისტურ ლიტერატურაში. ადმინისტრაციულ სამართალში კი კონფისკაცია გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახე და მდგომარეობს იმ საგნების სახელმწიფო საკუთრებად უსასყიდლოდ ჩამორთმე-

ვაში, რომელიც სამართალდარღვევის იარაღი ან უშუალოდ ობიექტი იყო. ამის შესახებ სწორად არის მინიშნებული როგორც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საფუძვლების მე-12 და მე-16 მუხლებში, ისე მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში (საქ. სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე და 29-ე მუხლები).

რაც შეეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და სამეცნიერო ლიტერატურაში კონფისკაციის ცნების მოცემულ განმარტებას, ჩვენი აზრით, მას ესაჭიროება სერიოზული დაზუსტება და შევსება.

ვინაიდან სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებში კონფისკაციის ცნების განმარტება პირდაპირ არის გადატანილი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებიდან და კოდექსებიდან, ჩვენც დავკმაყოფილებით კანონთა ამ კრებულებში მოცემული განმარტებების ანალიზით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 30-ე მუხლის შესაბამისად „ქონების კონფისკაცია მდგომარეობს სახელმწიფო საკუთრებად მსჯავრდებულის იმ ქონების მთლიან ან ნაწილობრივ იძულებით უსასყიდლოდ ჩამორთმევაში, რომელიც მის პირად საკუთრებას შეადგენს. ქონების კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით. ანგარებითი დანაშაულისათვის კი — აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. ქონების კონფისკაციის გამოყენების წესი, იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია თვით მსჯავრდებულისა და მის კმაყოფაზე მყოფ პირთათვის და არ ექვემდებარებიან კონფისკაციას, აგრეთვე კონფისკაციაქმნილი ქონებიდან მსჯავრდებულის ვალდებულებებზე პრეტენზიების დაკმაყოფილების პირობები და წესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლი ფაქტობრივად იმეორებს ქონების კონფისკაციის იმ განმარტებას, რაც ზემოთ მითითებულ საფუძვლებშია მოცემული. იქ ნათქვამია: „ქონების კონფისკაცია მდგომარეობს სახელმწიფოს საკუთრებად მსჯავრდებულის პირადი საკუთრების მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებით უსასყიდლო ჩამორთმევაში. ქონების ნაწილის კონფისკაციის დროს სასამართლომ უნდა აღნიშნოს თუ ქონების რომელი ნაწილის კონფისკაცია ხდება, ან ჩამოთვალოს საკონფისკაციო საგნები.“

არ შეიძლება კონფისკაცია იმ საგნებისა, რაც აუცილებელია მსჯავრდებულისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის, თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნუსხისა.

ქონების კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის აგრეთვე იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით.

ქონების კონფისკაციის დროს სახელმწიფო პასუხს არ აგებს მსჯავრდებულის ვალებსა და ვალდებულებებზე, თუ ისინი წარმოიშვნენ მას შემდეგ, რაც მოკვლევის, გამოძიების ორგანოებმა ან სასამართლომ მიიღეს ზომები ქონების დაცვისათვის და თუ ეს მოხდა ამ ორგანოების თანხმობის გარეშე.

იმ პრეტენზიების მიმართ, რომელთა დაკმაყოფილება ხდება კონფისკაცი-  
ბული ქონების ანგარიშზე, სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ აქტივის ფარ-  
გლებში. ამასთან პრეტენზიების დაკმაყოფილების რიგითობის მიმართ დაცუ-  
ლი უნდა იქნეს წესები, რომლებიც დადგენილია „საქართველოს სსრ სამო-  
ქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით“.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლებში ძირითადად ლაპარაკია ქონების კონ-  
ფისკაციის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის შესახებ და მისი შეფარ-  
დების წესსა და პირობებზე. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის ეს მუხლი  
მოცულობით საკმაოდ სრულია, იგი არასრულყოფილია. გარდა იმისა, რომ  
მუხლის ტექსტს ლაკონურობა და დალაგება აკლია, მასში ისევე, როგორც  
ზემოთ აღნიშნულ ლექსიკონებში, მითითებული არ არის დანაშაულის იარა-  
ღისა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციის შესახებ,  
რაც არასწორია, რადგან კონფისკაციის ეს სახე საკმაოდ ხშირ შემთხვევებში  
არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით და პრაქტიკაშიც  
ფართოდ გამოიყენება. ეს სისხლის სამართლის კოდექსის ხარვეზად უნდა  
ჩაითვალოს. მართალია, ეს მუხლი ეხება კონფისკაციას, როგორც დამატე-  
ბით სასჯელს, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ რამდენადაც იგი მოთავსებულია სისხ-  
ლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, ამავე მუხლში უნდა იყოს მი-  
თითებული სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი კონფისკაციის ზოგა-  
დი ნიშნები და შემდეგ განიმარტოს თუ რას გულისხმობს ქონების კონფის-  
კაცია, როგორც დამატებითი სასჯელის სახე, როგორ გამოიყენება იგი და რა  
ბედი უნდა ეწიოს იმ ქონებასაც, რაც დანაშაულის იარაღად არის მიჩნეული,  
ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად ჩაითვლება.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ქონების  
კონფისკაციის როგორც ზოგადი ცნება, ისე მისი, როგორც სისხლის სამართ-  
ლებრივი სანქციის განმარტება; აგრეთვე განვსაზღვროთ კონფისკაციის სა-  
ხეები. კონფისკაციის ზოგადი განმარტება შეიძლება ჩამოყალიბდეს ასეთნაი-  
რად: „ქონების კონფისკაცია არის სახელმწიფოს სასარგებლოდ პირის მთლი-  
ანი ქონების ან მისი ნაწილის იძულებითი, უსასყიდლო ჩამორთმევა, რაც  
ხორციელდება როგორც სანქცია სამართალდარღვევისათვის ან ზოგადი სა-  
ხელმწიფოებრივი დონისძიება პირთა გარკვეული ჯგუფის მიმართ, ანდა დანა-  
შაულის იარაღის თუ დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების ჩამორთმე-  
ვის სახით“, ხოლო სისხლის სამართლის მიხედვით კონფისკაცია შეიძლება გან-  
ვმარტოთ ასე: „ქონების კონფისკაცია არის მსჯავრდებულის ქონების ან და-  
ნაშაულის ჩამდენი პირის კუთვნილი დანაშაულის იარაღის ანდა დანაშაულებ-  
რივი გზით მოპოვებული ფულისა და ფასეულობების იძულებითი უსასყიდლო  
ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ“. სისხლის სამართლისათვის დამახა-  
სიათებელი ასეთი ზოგადი განმარტების შემდეგ საქართველოს სსრ სსკ 34-ე  
მუხლში უნდა მიეთითოს როდის და როგორ გამოიყენება კონფისკაცია  
როგორც დამატებითი სასჯელი და ბოლოს უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ დანა-  
შაულის იარაღის, აგრეთვე დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების ბედი  
გადაწყდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის  
77-ე მუხლის შესაბამისად.

კონფისკაციის ცნების განმარტების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გამოვეყოთ მისი სახეებიც. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება კრიტიკულად არ შევე-  
ხთ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ კონფისკაციის კლასიფიკაცი-  
ას. იმის გამო, რომ ჩვეულებრივ, როცა ამ ინსტიტუტს ეხებოდნენ, გულისხმობ-  
დნენ კონფისკაციის გამოყენებას სისხლის სამართალში, გვთავაზობენ კონფის-  
კაციის ასეთ სახეებს; 1. ზოგადი, როგორც დამატებითი სასჯელი და 2.  
სპეციალური, როგორც დანაშაულის იარაღის ან დანაშაულებრივი გზით შე-  
ძენილი ქონების კონფისკაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა სამართლის მიხედვით კონფისკა-  
ციის ზოგადი სახე არის არა სანქცია სამართალდარღვევისათვის (დამატე-  
ბითი სასჯელი), არამედ ზოგადი ნორმა, სამართლებრივი აქტი, რომელიც მი-  
მართულია პირთა გარკვეული ჯგუფის მიმართ და არა რომელიმე კონკრეტუ-  
ლი პირის მიმართ, რომელმაც სამართლის ესა თუ ის ნორმა დაარღვია.  
სამართლის ამა თუ იმ დარგის კონკრეტული ნორმის დარღვევი პირის მი-  
მართ გამოიყენება არა კონფისკაციის ზოგადი ნორმა, არამედ სამართლის  
ცალკეული დარგის კონკრეტული ნორმა (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრა-  
ციული). ამისდა მიხედვით შეგვიძლია განვასხვავოთ კონფისკაციის შემდეგი  
სახეები;

1. ზოგადი კონფისკაცია, როგორც საერთო სამართლებრივი აქტი, მიმარ-  
თული პირთა გარკვეული ჯგუფის ქონების ჩამორთმევისაკენ და 2. კონკრეტუ-  
ლი კონფისკაცია, როგორც სანქცია სამართლის ამა თუ იმ ნორმის დარღვე-  
ვისათვის, რომელიც მიმართულია მხოლოდ ამ სამართალდარღვევი პირების  
მიმართ.

ამის მიხედვით კონკრეტული კონფისკაცია არის სამი სახის:

1. კონფისკაცია სისხლის სამართალში; 2. კონფისკაცია სამოქალაქო სა-  
მართალში; 3. კონფისკაცია ადმინისტრაციულ სამართალში.

თავის მხრივ კონფისკაცია სისხლის სამართალში იყოფა შემდეგ სახე-  
ებად: ა) კონფისკაცია როგორც სასჯელის სახე; ბ) დანაშაულის იარაღის კონ-  
ფისკაცია და გ) დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების კონფისკაცია.

კონფისკაციის ცნების ზუსტი განმარტება, მისი სახეების სწორად გან-  
საზღვრა აუცილებელია განსაკუთრებით დღეს, როცა მიმდინარეობს ბრძოლა  
სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის, ცხოვრების ყველა სფეროს სა-  
მართლებრივი რეგლამენტაციისათვის.

## მეტი ყურადღება სამართლის პროპაგანდას

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე საზღვარს მიღწევა, რომ „ენეგატიურ მოვლენათა განვითარების შედეგად რესპუბლიკაში მართლწესრიგის და კანონიერების დაცვისათვის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის, აქედან გამომდინარე საზოგადოების, ერის ზნეობრიობის დაცვის სფეროში კრიზისული სიტუაცია, საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენ მივუახლოვდით იმ ზღვარს, რომლის შემდგომ საზოგადოებრივი ორგანიზმის დეგრადირების პროცესი უკვე უმართავი ხდება. ხალხს ეს ყველაფერი საჭაროდ, დაუფარავად, პირდაპირ უნდა ვუთხრათ. ეს საკითხი სცილდება ე. წ. წმინდა „სამართალდაცვის“ სფეროს და პოლიტიკური პრობლემის დონემდე აღის, კერძოდ, უკავშირდება რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის განვითარებას, საკმაოდ აქტიურად და უაღრესად უარყოფითად ზემოქმედებს მასზე“.

აქედან გამომდინარე კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის საქირთა ვადმიერთო სამართლის პროპაგანდა.

სამართლებრივი აღწერა ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია მოქალაქეთა ფორმირებისათვის, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, მადლმოქალაქეობრივი და სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საქირთა დაშუარდეს მკიდრო კავშირი სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

ცნობილია, რომ დღეს რესპუბლიკაში რთული ოპერატიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება შექმნილი. იზრდება დანაშაულობათა რაოდენობა, რაც ხშირ შემთხვევებში კანონის მოთხოვნილების შეუსრულებლობის, აღმინისტრაციული ორგანოების რიგი მუშაკების უპრინციპობის და დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების მიზეზია. ამას ისიც ემატება, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი შეიარაღებულია ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით.

ასეთ პირობებში საქირთა მეტი ყურადღება დაეთმოს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეს. საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკები გარკვეულ მუშაობას ეწევიან კანონმდებლობის პროპაგანდის საქმეში. ამ მხრივ პირად მაგალითს უჩვენებენ რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელები. საპროკურორო და საგამოძიებო დარგის სხვა მუშაკები. ისინი მშრომელბთან შეხვედრამდე წინასწარ ეცნობიან თუ რა საკითხებით ინტერესდებიან და რა ამოცანები აქვთ დასახული წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურებებს. ეს კი ლექციურ პროპაგანდას მეტ ეფექტს აძლევს, ამაღლებს მსმენელთა ინტერესს.

აღსანიშნავია პროკურატურის მუშაკთა მიერ გაწეული სხვა სამართალდამრდებლობითი ღონისძიებები — პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოსვლები.

საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს პროკურატურის მუშაკთა მიერ ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები რუბრიკით „პროკურატურა იტყობინება“, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობა ოპერატიულად ეცნობა პროკურატურის მიერ ჩატარებული კანონიერების შესრულების შემოწმების და გამოძიებით დამთავრებულ საქმეთა შედეგებს, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ მასალებს.

სამართლებრივ სახელმწიფოს ჩამოყალიბების ამოცანების შესაბამისად მართლწესრიგისა და კანონიერების მდგომარეობისა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობის თაობაზე საზოგადოებრიობის ინფორმირებისა და მისი სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ამასწინათ რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ

საწყისებზე შეიქმნა საქართველოს სსრ პროკურატურის ინფორმაციისა და სამართლის პროპაგანდის ცენტრი 21 კაცის შემადგენლობით. ცენტრის ძირითადი ამოცანაა რესპუბლიკის პროკურატურის შესაბამის სამსახურებთან ერთად კოორდინაცია გაუკეთოს ცენტრალური აპარატის სხვადასხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფილებებს, ასევე პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს, რათა უფრო თანმიმდევრული და სისტემური ხასიათი მიეცეს სამართლის პროპაგანდას, მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას, მათ ინფორმირებას დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობისა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე. მტკიცე კავშირი მყარდება პროკურატურის ორგანოებსა და რესპუბლიკის შრომით კოლექტივებს შორის.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა, მათ შორის სამართლის მიზანმიმართულმა პროპაგანდამ გამოიღო ზოგიერთი დადებითი შედეგი. მაგალითად, თბილისის პოლიმერიულ ნაკეთობათა ქარხანაში და რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ წინა წლებში ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის უხეშ დარღვევებს, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტებს. მას შემდეგ, რაც ქ. თბილისის სამგორის რაიონისა და ქ. რუსთავის პროკურორებმა შეფხობა აიღეს ამ საწარმოებზე, მოეწყო დიალოგები სამართლებრივ საკითხებზე, მოქალაქეთა მიღება უშუალოდ ამ საწარმოებში. პროკურორების დახმარებით გააქტიურდა საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობა კრებებსა და სემინარებზე, ასევე ამხანაგური სასამართლოებისა და სახალხო კონტროლის ჩგუფის მუშაობა. ზოგიერთი თანამდებობის პირს, ვისი უშუალო უნიციატვივობითაც ხდება დარღვევები, დაეკისრა დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა. ყოველივე ამის შემდეგ ზემოთ ხსენებულ საწარმოებში მდგომარეობა გამოსწორდა, ამაღლდა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, შემცირდა წუნდებული პროდუქციის გამოშვება, რეკლამაციები და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტები.

საჭიროა აღნიშნული პრაქტიკა განახორციელონ რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის პროკურატურებმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ შრომით კოლექტივებზე, სადაც მშრომელთა უმეტესობას ახალგაზრდობა შეადგენს. უფრო მიზანდასახული და დიფერენცირებული იქნება ღონისძიებების გატარება თუ სამართალდამცველ ორგანოებსა და საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად შეიქმნება, ახალგაზრდებისათვის სამართლებრივი სწავლების ლექტორიუმები, ფაკულტეტი, სკოლა, სადაც კანონიერების განმტკიცების მიზნით ჩატარდება საუბრები, მოხსენებები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, ლოთობის, ალკოპოლიზმის, ნარკომანიის, ციციხლასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ჭერ კიდევ დიდი ხარვეზებია ძნელად აღსაზრდელ მოზარდებსა და მათ მშობლებთან მუშაობის საქმეში. არ ტარდება საჭირო ზომები მათ მიმართ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასა და სწავლას, ეტანება სპირტიან სასმელებს და სხადის ანტისაზოგადოებრივ დანაშაულობებს. არ არის უზრუნველყოფილი კავშირი პედაგოგიურ კოლექტივებთან, არასრულწლოვანთა კომისიებსა და ინსპექტორებთან, საზოგადოებრივ აღმზრდელებთან, შეფებთან, დამრიგებლებთან. სამეურნეო და ხელმძღვანელ მუშაკებთან შეხვედრის დროს პროკურორებმა უნდა გამახვილონ ყურადღება სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შესრულებაზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილებზე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საჭიროა დამყარდეს სათანადო კავშირი პროკურატურის ორგანოებისა და საწარმოს იურისტებს შორის, რომლებიც ფლობენ ვითარებას კონკრეტულ საწარმოში და შეუძლიათ აქტიურად იბრძოლონ სამართალდარღვევების წინააღმდეგ.

სამართლის პროპაგანდის ამაღლების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ჭერ კიდევ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურატურები სამართალდარღვევებთან ბრძოლაში სისტემატურად არ იყენებენ ადგილობრივ პრესას, რადიოს; საწარმოს მრავალტარაჟიან გაზეთს. მათი გამოკვეყნებული სტატიები ხანდახან მშრალი, არაფრის მთქმელი და უინტერესოა. უმრავლესობა შეეხება სისხლის სამართლის თემატიკას, მათში ნაკლებად არის გაშუქებული სამართალდარღვევების გამოშვები მიზეზები და პირობები, არ იგრძნობა მკითხველისათვის აღმზრდელი მნიშვნელობის სერიოზული საკითხების ანალიზი, იშვიათია პუბლიკაციები, რომლებიც შექმნილია მკითხველთა წერილების საფუძველზე, ასევე ნაკლებია ამა თუ იმ კანონის კომენტარები. ვფიქრობთ, დადებით შედეგს გამოიღება პროკურატურის მუშაკთა და ჟურნალისტთა საქმიანი შეხვედრები, პრესკონფერენციები, დიალოგები

„მრავალ მაგიდასთან“. ხარვეზებით ხასიათდება ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის პროკურორის მუშაობა. სამართალდამზრდელით საქმიანობაში ჩატარებული ღონისძიებები ზოგჯერ უინტერესოა. ვინაიდან ლექციები ტარდება სტიქიურად. წინასწარ არ ხდება შესწავლა იმ სამართალდარღვევებისა, რასაც ადგილი აქვს წარმოება-დაწესებულებებში. სუსტად მიმდინარეობს კანონის პროპაგანდა მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, მაღალმთიან რაიონებში, მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ცალკეული პროკურორები ადგილებზე არ უხამებენ სამართლებრივი პროპაგანდის საკითხს შექმნილ ოპერატიულ ვითარებას. მაქსიმალურად არ იყენებენ სასამართლო ტრიბუნას. როგორც მოქალაქეთა საჩივარ-განცხადების შესწავლამ ცხადყო, უფრო აქტიურ პროპაგანდას საჭიროებს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების, ბუნების დაცვის, საქორწინო-საოჯახო, საბინაო, ადმინისტრაციული, საკოლმეურნეო, საპენსიო კანონმდებლობის განმარტება.

სამართლის პროპაგანდის ორგანიზაციის დონის ამაღლებისათვის, მისი გამოყენების ეფექტიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერთა აზრს. მეცნიერი იურისტები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კანონის პროპაგანდის მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

კანონიერების შემდგომი განვითარების, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების და სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა ვალია კანონმდებლობის დრმა ცოდნა და მათი სწორი გამოყენება. კანონის სუსტ ცოდნას ბშირად მივყევართ სერიოზულ დარღვევებამდე. რაც იწვევს სისხლის სამართლის საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის სამართლებრივი საბრალდებო დასკვნით გაგზავნილი სისხლის სამართლის საქმეებიდან დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა საქმეთა 2,8 პროცენტი, გაუქმდა შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეთა დადგენილებების 27,1 პროცენტი.

უკიდურესად მოუხერხებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რადგან მასში შეტანილი არ არის უამრავი დამატებები და ცვლილებები. ამდენად საქიროა დაჩქარდეს მისი უმოკლეს ვადაში ახალი რედაქციით გამოცემა.

კანონი, წესრიგი და დისციპლინა დემოკრატიის აუცილებელი ატრიბუტებია და ვტიქრობთ, უნდა დაჩქარდეს საყოველთაო იურიდიული სწავლების დაწყება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა რანგის მუშაკთა სათანადო სამართლებრივ ცოდნას, რაც ესოდენ აუცილებელია იმ ამოცანების დროულად გადასაწყვეტად, რომლებიც დასახულია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის.

**მარია მონაშვილი,**

საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე,  
იუსტიციის უფროსი მრჩეველი.



აპოლონ ფალიაშვილი

## განაჩენის აღსრულების პროცესუალური საკითხები

განაჩენი არის სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების მეტად მნიშვნელოვანი პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც გამოაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს სახელმწიფოს სახელით. ყოველი განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული, მოტივირებული და სამართლიანი<sup>1</sup>.

განაჩენის აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებს განაჩენის გამომტანი სასამართლო, განაჩენის ზუსტ და განუხრელ შესრულებაზე უმაღლეს ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურა<sup>2</sup>, ხოლო საზოგადოებრივ კონტროლს კი სახალხო დეპუტატობის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიები. აღნიშნულმა ორგანოებმა უნდა მიაღწიონ, რომ ყოველთვის და ყველგან უზრუნველყოფილ იყოს განაჩენის სწრაფად და ზუსტად აღსრულება.

განაჩენის აღსრულება რეგლამენტირებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ოცდამეთერთმეტე თავით (მუხლები 368-381). საპროცესო კანონი ძირითადად შეესაბამება პრაქტიკასა და თეორიას, მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რომელიც მოითხოვს დამატებით რეგლამენტაციას, საპროცესო კანონში ცვლილებების შეტანას ან რედაქციის გაუმჯობესებასა და დაზუსტებას<sup>3</sup>.

1. განაჩენის აღსრულების სტადიის ცნება და ფარგლები. განაჩენის აღსრულება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადია, ფართო და რთული ცნებაა. იგი მოიცავს არა მარტო პროცესუალურ საკითხებს, რაც დაკავშირებულია განაჩენის აღსასრულებლად მიქცევასთან, არამედ სხვა ისეთ საკითხებსაც, რაც დაკავშირებულია განაჩენის აღსრულების კონტროლთან და განაჩენის აღსრულების დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტასთან.

<sup>1</sup> Мартынич Е. Г., Основы формирования приговора в советском уголовном процессе, Кишинев, 1989; Пастухов М. И., Оправдание подсудимого, Минск, 1985.

<sup>2</sup> იხ. ა. ფალიაშვილი, საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბილისი, 1970; Спиридонов Б. М., Прокурорский надзор в стадии исполнения приговора, М., 1983; Белякин Н. М., Самсонов В. З., Сафонов А. П., Прокурорский надзор за соблюдением законов в исправительно-трудовых учреждениях, М., 1984.

<sup>3</sup> Стручков Н. А., Союзный закон об исполнении наказания. «Советское государство и право», 1990, № 1, с. 60-67; Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР (Теоретическая модель), М., 1989, с. 281-284.

პროცესუალისტთა ერთ ჯგუფს განაჩენის აღსრულების ცნება და ფარგლები მეტად შეზღუდულად ესმით. ისინი თვლიან, რომ განაჩენის აღსრულების ცნება მოიცავს მხოლოდ განაჩენის მიქცევას აღსასრულებლად<sup>4</sup>.

ვ. ი. შვეცოვს მიაჩნია, რომ განაჩენის აღსრულება უნდა იყოს განხილული, როგორც სისხლის სამართლის პროცესის განსაკუთრებული წარმოება<sup>5</sup>.

ი. დ. პერლოვი იხილავს რა განაჩენის აღსრულების ცნებისა და ფარგლების საკითხს აღნიშნავს, რომ იგი მოიცავს: განაჩენის აღსასრულებლად მიქცევას, განაჩენის აღსრულებაზე კონტროლს, პროკურორის ზედამხედველობას განაჩენის აღსრულების კანონიერებაზე და სასამართლოს მიერ იმ პროცესუალური საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც აღმოცენდებიან განაჩენის აღსრულების დროს.

აღნიშნული მოსაზრება შედარებით გაბატონებულია პროცესუალურ ლიტერატურაში და მას მხარს უჭერს პროცესუალისტთა უმრავლესობა მცირეოდენი ცვლილებებითა და დაზუსტებით<sup>6</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის აღსრულების სტადია იწყება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან<sup>7</sup> ან გამამართლებელი განაჩენის გამოცხადების დღიდან და მთავრდება იმ დროს, როდესაც სასამართლო მიიღებს სასჯელის აღმსრულებელი ორგანოდან წერილობით ცნობას, რომ სასჯელის აღსრულება ფაქტიურად უკვე დაიწყო. სასჯელის მოხდის დაწყების მომენტიდან უკვე მთავრდება სისხლის სამართლის პროცესის საგნის ფარგლები, სასამართლოს მიერ კონტროლის განხორციელება განაჩენის აღსრულებაზე და სისხლის სამართლის საქმე ბარდება არქივს. ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სასჯელის შეცვლასთან, სასჯელის მოხდიდან განთავისუფლებასთან, უნდა მიეკუთვნოს შრომა-გასწორების კანონმდებლობის კომპეტენციას<sup>8</sup>.

განაჩენის აღსრულების ცნება და ფარგლები მოიცავს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას: განაჩენის მთლიან აღსრულებას, როდესაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან განაჩენი სასჯელის დანიშვნის გარეშე ან სასჯელიდან განთავისუფლების შესახებ; გამამტყუნებელი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევას; კონტროლს განაჩენის აღსრულებაზე მანამ. სანამ დაიწყება განაჩენის ფაქტიური აღსრულება; იმ პროცესუალური საკითხების გადაწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია განაჩენის აღსრულების გადადებისასთან და განაჩენში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც არ ცვლის განაჩენის არსს.

<sup>4</sup> Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, том II, М., 1970, с. 424-425; Хамидуллин М. Х., Надзор за исполнением приговора, Казань, 1971, с. 25.

<sup>5</sup> Швецов В. И., Исполнение приговора в советском уголовном процессе, М., 1982, с. 8.

<sup>6</sup> Перлов И. Д., Исполнение приговора в советском уголовном процессе, М., 1963, с. 13; Матвиенко Е. А., Приговор суда и его исполнение, Минск, 1968, с. 36; Васильев А. И., Деятельность суда по обеспечению исполнения приговора к наказанию в виде лишения свободы, Рязань, 1979, с. 11.

<sup>7</sup> განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტის შესახებ სწორი მოსაზრებაა გამოთქმული მ. შირშოვისა და ი. მოტვილოვკერის მიერ. იხ. Процессуальные условия вступления приговора в законную силу, «Советская юстиция», 1968, № 13, с. 19-20.

<sup>8</sup> იხ. გ. გეგეჭკორი, დავიკვათ კანონის მოთხოვნები შრომა-გასწორების დაწესებულებებში, „საბჭოთა სამართალი“, 1989, № 3, გვ. 45-49.

2. განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა. განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ხდება მას შემდეგ, როდესაც იგი შედის კანონიერ ძალაში (ან მუხლი).

რაც შეეხება სხვა საკითხების აღსრულებას: ნებისმიერ მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტა. ქონებაზე ყადაღის მოხსნა, ეს საკითხები წყდება არა განაჩენის გამოტანის მომენტში, არამედ მას შემდეგ, როდესაც გამამართლებელი განაჩენი შევა კანონიერ ძალაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის შესაბამისად განაჩენის პირი, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში იგზავნება მსჯავრდებულის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის საბელმძღვანელო № 1 დადგენილებაში 1989 წ. 2 მარტის თარიღით „შრომა-გასწორებით დაწესებულებებში დანაშაულის ჩადენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, პირდაპირ მიუთითა, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულზე გამოტანილი განაჩენი, როგორც წესი, უნდა იყოს დაყვანილი იმ შრომა-გასწორების დაწესებულებამდე, სადაც სასჯელს იხდიდა მსჯავრდებულის<sup>9</sup>. მიგვაჩნია, რომ გამამართლებელი განაჩენის პირი ყველა შემთხვევაში უნდა გადაგზავნოს სასამართლომ გამართლებული პირის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ამ პირის მიმართ ადრე მოთავსებული იყო ცნობა პრესაში, გამამართლებელი განაჩენის პირი ასევე უნდა გადაიგზავნოს შესაბამისი ვაზეთის რედაქციაში. ამას მოითხოვს გამართლებული პირის ინტერესების დაცვა. მისი ავტორიტეტის და პატიოსანი სახელის აღდგენა ოჯახში, ხალხში, სამსახურში ან სასწავლებელში. სასამართლო გამართლებულის თხოვნის, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში მშობლების ან ნათესავების თხოვნით, რედაქციას აცნობებს გამართლების შესახებ. შესაბამისი ვაზეთის რედაქციამ კი ერთი თვის განმავლობაში უნდა გააკეთოს ამის შესახებ სათანადო განცხადება. ამ წესის პრაქტიკაში დაცვა და გატარება წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას გამართლებული პირის სრული რეაბილიტაციის მიზნით<sup>10</sup>.

გამამართლებელი განაჩენი, გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად. გამამტყუნებელი განაჩენი განსასჯელის სასჯელის მოხდიდან გათავისუფლებით. გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას და ითვალისწინებს ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოებს თავისუფლების აღუკვეთლად, ანდა საზოგადოებრივ გაკიცხვას. უნდა იყოს აღსრულებული მისი გამოცხადებისთანავე. ამ შემთხვევაში პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული თავისუფლდება პატიმრობიდან სასამართლო სტდომის დარბაზიდან ისე, რომ სასამართლო არ ელოდება აღნიშნული გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას.

განსხვავებულია ისეთი სასჯელების აღსრულების წესი და პირობები, როგორცაა გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული უფლების ჩამორთმევა, თანამდებობიდან დათხოვნა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, ქონების კონფისკაცია. სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა და სხვა.

<sup>9</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1989, № 3, с. 6.

<sup>10</sup> იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1981, № 21, მუხ. 741. Бюллетень Верховного Суда СССР, 1989, № 1, с. 10-14.

მ საკითხს არეგულირებს „დებულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მსჯავრდებულთა უფლებებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლის სამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ“, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 4 იანვრის ბრძანებულებით<sup>11</sup>.

გამამტყუნებელი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ნიშნავს იმას, რომ სახალხო მოსამართლე და განაჩენის გამომტანი სასამართლოს თავმჯდომარე უგზავნიან განკარგულებას განაჩენის აღმსრულებელ ორგანოს და განაჩენის პირს. განკარგულებაში უნდა იყოს მითითებული განაჩენის აღსრულების შესახებ და მას ხელს უნდა აწერდნენ მოსამართლე და სასამართლოს სხდომის მდივანი. თუ საქმე იყო განხილული საკასაციო ან საზედამხედველო წესით, განაჩენის აღმსრულებელ ორგანოს ეგზავნება აგრეთვე საკასაციო ინსტანციის განჩინების ან ზედამხედველობის წესით გამოტანილი განჩინების (დადგენილების) პირი. განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის განკარგულების შესრულება სავალდებულოა იმ თანამდებობის პირთათვის, ვისაც ეკისრება განაჩენის სისრულეში მოყვანა.

განაჩენი ეგზავნება აღსასრულებლად საგამოძიებო იზოლატორის უფროსს თუ მსჯავრდებული იყო წინასწარ პატიმრობაში. სხვა შემთხვევაში — მილიციის ორგანოს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განაჩენი უშუალოდ მოყავთ სისრულეში საპრობილის ადმინისტრაციას (თუ მსჯავრდებულს შეეფარდა სასჯელის მთლიანი ან მისი ნაწილის მოხდა საპრობილეში) ან შრომა-გასწორებით კოლონიის ადმინისტრაციას (საერთო, გაძლიერებული, მკაცრი, განსაკუთრებული, კოლონია-დასახლება), როდესაც მსჯავრდებულმა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით უნდა მოიხადოს კოლონიაში.

განაჩენი გასახლებით ან გადასახლებით ეგზავნება მილიციის ორგანოს აღსასრულებლად მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოებს თავისუფლების აღუკვეთავად, ეგზავნება აღსასრულებლად შრომა-გასწორებით სამუშაოთა ინსპექციას მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს სასჯელი უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სხვა ადგილას — ეგზავნება შესაბამის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციას მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განაჩენი, როდესაც იგი დაკავშირებულია დანაშაულის შედეგად დამდგარი მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან, ჯარიმის ან სასამართლო ხარჯების გადახდასთან, ქონების კონფისკაციასთან — ეგზავნება სასამართლო აღმასრულებელს, რომელიც ვალდებულია აღნიშნულ ნაწილში განაჩენი მოიყვანოს სისრულეში.

განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, თანამდებობიდან დათხოვნას, საზოგადოებრივ გაციხვას, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევას ეგზავნებათ აღსასრულებლად შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს.

განჩინება, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებული გადაეცემა მშრომელთა

<sup>11</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985, № 1, მუხ. 2.

კოლექტივის ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას თავდებქვეშ — ეგზავნებათ აღსასრულებლად ამ ორგანიზაციებს<sup>12</sup>.

განაჩენი სამხედრო მოსამსახურის სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის შესახებ აღსასრულებლად გადაეცემა სამხედრო ნაწილის უფროსს, სადაც მსჯავრდებული მსახურობს.

განჩინება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ გაეგზავნება აღსასრულებლად შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს<sup>13</sup>.

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან მის აღსასრულებლად მიქცევამდე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს აღმკვეთი ღონისძიების საკითხი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ავალდებულებს სასამართლოს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს, ვიდრე განაჩენი შევიდოდეს კანონიერ ძალაში, მის სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად გადაწყვიტოს საკითხი აღკვეთის ღონისძიების შესახებ (იხ. 318-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 304-ე მუხლის მე-9 პუნქტი).

კანონის ხარვეზი იმაში გამოიხატება, რომ იგი მოითხოვს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან განაჩენის ფაქტიურ აღსრულებამდე გადის გარკვეული დრო. ამ პერიოდში კი მსჯავრდებული შეიძლება მიიმალოს, რითაც გაართულებს განაჩენის აღსრულებას.

აღნიშნული გარემოების თავიდან აცილების მიზნით პროცესუალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის დაყენებული კანონის სრულყოფისა და მისი რედაქციის გაუმჯობესების საკითხი. მიზანშეწონილად მიჩნეული, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აუცილებლად აღინიშნოს, რათა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მანამდე გადაწყვიტოს მსჯავრდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ვიდრე განაჩენი აღსასრულებლად მიიქცევა<sup>14</sup>.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი (მუხლი 370-ე) თუმცა სავალდებულოდ თვლის განაჩენის აღსრულებას სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს სასამართლო კონტროლის განხორციელებას განაჩენის უშუალო აღსრულებაზე. რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსი სწორად მიუთითებს, რომ განაჩენის გამომტანი სასამართლო თვალყურს ადევნებს (აკონტროლებს) იმას, რომ სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება იყოს აღსრულებული (359-ე მუხლი).

საპროცესო კანონის ასეთი მითითება არის სწორი, იგი ავალდებულებს მოსამართლეს კონტროლის გაწევის უფუნქციას თავისივე განაჩენის აღსრულებაზე. სისხლის სამართლის საქმის წარმოება უნდა დამთავრდეს სასამართლო-

<sup>12</sup> სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1986 წლის 18 აპრილის №7 დადგენილებაში მიუთითა, რომ უფრო ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობა მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორებაში. იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1986, № 3, с. 17.

<sup>13</sup> საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1988, გვ. 493-495.

<sup>14</sup> Булатов Ю., Николук В., Применение мер пресечения в целях обеспечения исполнения приговора, «Советская юстиция», 1982, № 20, с. 18.

ში არა განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის მომენტში, არამედ იმ დროს როდესაც განაჩენის აღსრულება უკვე დაიწყო და ამის შესახებ ეცნობება მოსამართლეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი მითითება: განაჩენის გამომტანი სასამართლო ვალდებულია გააკონტროლოს სასამართლოს განაჩენის, განჩინების, დადგენილების უშუალო აღსრულება.

**8. განაჩენის აღსრულების გადადება.** განაჩენის აღსრულების გადადება ნიშნავს მისი აღსრულების გადადებას გარკვეული დროის მონაკვეთში, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობისას. განაჩენის აღსრულების გადადება არის საპროცესო კანონის ერთ-ერთი ჰუმანიური გამოვლინება. განაჩენის აღსრულების გადადების საკითხის განხილვა შედის განაჩენის გამომტანი სასამართლოს კომპეტენციაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის შესაბამისად განაჩენის აღსრულების გადადება შეიძლება გამოყენებულ იყოს მხოლოდ სასჯელის ისეთი სახეების გამოყენების დროს, როგორცაა: თავისუფლების აღკვეთა, გასახლება, გადასახლება, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად და ჭარბა.

საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არავითარ შეზღუდვას არ ითვალისწინებს განაჩენის აღსრულების გადადებისათვის. განაჩენის აღსრულების გადადება შეიძლება გამოყენებულ იყოს ყველა მსჯავრდებულის მიმართ, მიუხედავად მისი პიროვნებისა და დანაშაულის ჩადენის სიმძიმისა. ზოგიერთი რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობა განაჩენის აღსრულების გადადებას არ ითვალისწინებს იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაული და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიმართ (უკრაინის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლი, უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 338-ე მუხლი, სომხეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 359-ე მუხლი, ლატვიის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 362-ე მუხლი).

ასეთი მითითება ჩვენ საფუძვლიანად მიგვაჩნია, რამდენადაც განაჩენის აღსრულების გადადება არის კანონის ჰუმანიური გამოვლინება და განაჩენის აღსრულების გადადების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, როგორც დანაშაულის სიმძიმე, ისე მსჯავრდებულის პიროვნება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 373-ე) არ ასახელებს იმ პირებს, ვისაც უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ. მიგვაჩნია, რომ კანონის ეს ხარვეზი უნდა შეივსოს იმ მხრივ, რომ განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის უფლება მიენიჭოს მსჯავრდებულს და მის დამცველს, მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს ან მის ახლო ნათესავებს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის ან სამუშაო (სასწავლო) ადგილის მიხედვით შრომითს კოლექტივებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და პროკურორს. პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება იმის შესახებ, რომ განაჩენის აღსრულების გადადების თაობაზე

შუამდგომლობის აღძვრის უფლება მიენიჭოს განაჩენის სისრულეში მომყვან ორგანოს ადმინისტრაციას<sup>15</sup>.

განაჩენის აღსრულების გადადებას საპროცესო კანონი ითვალისწინებს ხუთ შემთხვევაში:

ა) განაჩენის აღსრულების გადადება მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის გამო. განაჩენის აღსრულების გადადება მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის გამო დაიშვება მაშინ, როდესაც მძიმე დაავადება ხელს უშლის სასჯელის მოხდას (373-ე მუხლის I პუნქტი). იმისათვის, რომ განაჩენის აღსრულება გადაიდოს, უნდა არსებობდეს ორი გარემოება: მსჯავრდებულის ისეთი მძიმე ავადმყოფობა, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. სასჯელის მოხდას კი ხელი შეიძლება შეუშალოს ისეთმა მძიმე ავადმყოფობამ, რომელიც მძიმე შედეგებს გამოიწვევს მსჯავრდებულისათვის ან არსებითად გააუარესებს მის ჯანმრთელობას. საპროცესო კანონის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მასში აღნიშნული არ არის, თუ ვინ უნდა დაადგინოს მძიმე ავადმყოფობის ფაქტი, როგორ და როდის უნდა ჩაითვალოს მსჯავრდებულის განკურნებულად და მიექცეს განაჩენი აღსასრულებლად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სრულყოფის მიზნით მასში უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობა, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას და მის განკურნებას, დადგენილი და დადასტურებული უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული დასაბუთებული დასკვნით.

სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს სასამართლოს მსჯავრდებულის განკურნების შესახებ. რის შემდეგაც სასამართლო გადაწყვეტს საკითხს განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ. ასეთი მოსაზრება ადრეც იყო გამოთქმული პროცესუალურ ლიტერატურაში<sup>16</sup>.

ბ) განაჩენის აღსრულების გადადება ორსულობის გამო. განაჩენის აღსრულების გადადება მსჯავრდებულის ორსულობის გამო დასაშვებია ერთი წლის ფარგლებში (373-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ეს ვადა იანგარიშება იმ მომენტიდან, როდესაც წამოიჭრება საკითხი ამ ვადის გამოყენების შესახებ. მშობიარობის შემდეგ კვლავ შეიძლება დაისვას საკითხი განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ მცირეწლოვანი ბავშვის მოტივით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სასურველია აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულის ორსულობის ფაქტი იყოს დადასტურებული სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულების ცნობით. იხილავს რა საკითხს ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ, სასამართლომ თავის განაჩენში (განჩინებაში) უნდა მიუთითოს გადადებული ვადის დამთავრებაზე, ვინაიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ განაჩენი უნდა იყოს მიქცეული აღსასრულებლად.

გ) განაჩენის აღსრულების გადადება მცირეწლოვანი ბავშვის ყოლის გამო. განაჩენის აღსრულების გადადება იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი, გათვალისწინებულია, როგორც დამოუ-

<sup>15</sup> Перлов И. Д., Исполнение приговора в советском уголовном процессе, М., 1963, с. 60; Литвинов Р. В., Рассмотрение судом вопросов исполнения приговоров, Воронеж, 1964, с. 64.

<sup>16</sup> Свиридов М. К., Сущность и предмет стадии исполнения приговора, Томск, 1978, с. 129.



კიდებული საფუძველი განაჩენის აღსრულების გადადებისათვის (373-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამ მოტივით განაჩენის აღსრულების გადადება დაიშვება მანამ, ვიდრე ბავშვი მიაღწევდეს სამი წლის ასაკს.

მცირეწლოვანი ბავშვის ყოლა სამი წლის ასაკამდე უნდა იყოს დადასტურებული ბავშვის დაბადების მოწმობით. სასამართლომ ამ მოტივით განაჩენის აღსრულების გადადების დროს უნდა გაითვალისწინოს თვით მსჯავრდებულის პიროვნებაც. კერძოდ: შეუძლია და სურს თუ არა მსჯავრდებულ ქალს განახორციელოს ბავშვის მოვლა-პატრონობა და სათანადო აღზრდა, ხომ არ ჩაიდენს იგი განაჩენის აღსრულების გადადების პერიოდში ახალ დანაშაულს.

სასამართლომ განაჩენის აღსრულების გადადების შემთხვევაში უნდა განსაზღვროს ვადა და მიუთითოს, თუ როდის მთავრდება განაჩენის აღსრულების გადადების ვადა, რის შემდეგაც განაჩენი უნდა იყოს მიქცეული აღსასრულებლად.

დ) განაჩენის აღსრულების გადადება სტიქიური უბედურების ან სხვა მძიმე ვითარების გამო. განაჩენის აღსრულების გადადებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულისათვის ან მისი ოჯახის წევრებისათვის სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მოჰყვეს განსაკუთრებით მძიმე შედეგი, ამ შედეგის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ხანძარი, სტიქიური უბედურება, მძიმე ავადმყოფობა, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის სიკვდილი ან სხვა განსაკუთრებული გარემოება. ასეთ შემთხვევებში განაჩენის აღსრულების გადადება შეიძლება მოხდეს არა უმეტეს სამი თვისა (373-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

უკრაინის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლი განაჩენის აღსრულების გადადებისათვის აწესებს ერთ წლამდე ვადას. ყირგიზეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 366-ე მუხლის თანახმად განაჩენის გადადება დაიშვება არა უმეტეს ექვსი თვით.

აღნიშნული მოტივით განაჩენის აღსრულების გადადების ვადის დინება უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც სასამართლომ გადადო განაჩენის აღსრულება. ყველა შემთხვევაში სასამართლომ განჩინებაში (განაჩენში) უნდა მიუთითოს თუ როდის მთავრდება გადადებული ვადა.

ე) ჭარიმის გადახდის გადადება ან განვადება. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის სახით ჭარიმის გადახდის გადადებას ან განვადებას იმ შემთხვევაში თუ ჭარიმის დაუყოვნებლივ გადახდა მსჯავრდებულისათვის (განაჩენის აღსრულების მომენტისათვის) შეუძლებელია. ჭარიმის გადახდის გადადება ან განვადება დაიშვება ექვს თვემდე ვადით.

ჭარიმის გადახდის გადადება ნიშნავს ჭარიმის თანხის მთლიან შეტანას იმ ვადაში, რომელიც სასამართლომ განსაზღვრა. ჭარიმის გადახდის განვადება გულისხმობს მის ნაწილ-ნაწილ გადახდას იმ ვადის განმავლობაში, რომელიც სასამართლომ განსაზღვრა.

საკითხი იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს განაჩენის აღსრულების მომენტში არ შეუძლია ჭარიმის გადახდა, უნდა დაადგინოს სასამართლოს აღმასრულებელმა და აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს საერთოდ არ შეუძლია ჭარიმის თანხის გადახდა, მისი გადახდის გადადება ან განვადება არ უნდა მოხდეს.



ასეთ შემთხვევაში შეიძლება დასმული იყოს საკითხი განაჩენის ზედამხედველობის წესით გაპროტესტების თაობაზე ან სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად დაისვას საკითხი ჯარიმის შეცვლის შესახებ გამასწორებელი სამუშაოებით თავისუფლების აღუკვეთელად იმ ანგარიშით, რომ ერთი თვე გამასწორებელი სამუშაო შეცვლის ჯარიმას ოცი მანეთის ოდენობით. კანონის ძალით გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთელად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ორი წლის ვადით, ე. ი. იგი შეცვლის ჯარიმის თანხას მხოლოდ 480 მანეთის ოდენობით. სასამართლოს შეუძლია აგრეთვე ჯარიმის გადახდა შეცვალოს საზოგადოებრივი გაიციხვით.

განაჩენის აღსრულების გადადებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს განაჩენის გამოტანის დროს ან განაჩენის აღსრულების მომენტისათვის, თუ განაჩენის გადადების საფუძველი ცნობილია ამ მომენტისათვის, სასამართლო უფლებამოსილია განაჩენის გადადების საკითხი გადაწყვიტოს თვით განაჩენით ან გამოიტანოს ამ საკითხზე ცალკე დასაბუთებული განჩინება.

განაჩენის აღსრულების გადადება არ შეიძლება საქმის საკასაციო ან ზედამხედველობის წესით განხილვის დროს, რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შედის განაჩენის გამომტანი სასამართლოს კომპეტენციაში. განაჩენის აღსრულების გადადება არ შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენის აღსრულება უკვე დაიწყო ან განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში. ამ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იყოს საკითხი მსჯავრდებულის ავადმყოფობის გამო გათავისუფლების, პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ და ა. შ.

განაჩენის აღსრულების გადადების საკითხის განხილვის დროს, როგორც წესი, სასამართლო სხდომაზე უნდა იყოს მოწვეული განსასჯელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. ამ საკითხის განხილვას უნდა ესწრებოდეს პროკურორი, მსჯავრდებულს შეუძლია იყოლიოს დამცველი. სასამართლო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პროცესზე გამოიძახოს სპეციალისტი ან ექსპერტი.

განაჩენის აღსრულების გადადება შეიძლება აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც, მაგრამ ამ საკითხს არ განვიხილავთ, რადგან იგი სცილდება პროცესუალური კანონის ფარგლებს. სისხლის სამართლის კოდექსის 47<sup>1</sup> მუხლის გარდა განაჩენის აღსრულების გადადების შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 21 ივნისის № 8 დადგენილება „განაჩენის აღსრულების გადადების დროს სასამართლო პრაქტიკის შესახებ“<sup>17</sup>.

**4. განაჩენის აღსრულების დროს გადასაწყვეტი საკითხები.** სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს მოტივირებული, დასაბუთებული, კანონიერი, სრული, გასაგები ენით შედგენილი, ე. ი. უნდა აკმაყოფილებდეს პროცესუალური კანონის მოთხოვნებს. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ცალკეულ შემთხვევაში, განაჩენის შედგენის დროს, უყურადღებობის გამო ზოგიერთი საჭირო საკითხი არ არის გადაწყვეტილი ან არასრულად არის გაშუქებული, ანდა დაშვებულია ფაქტური, არიმეტრიკული შეცდომა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის პირველი

<sup>17</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1985, № 4, с. 14-18; Плотникова О., Отмена отсрочки исполнения приговора, «Советская юстиция», 1990, № 5, с. 21-22.

ნაწილის შესაბამისად ყოველგვარ ექვეს და გაურკვეველობას. რაც განაღმარტულად აღსრულების დროს წარმოიშვება, წყვეტს განაჩენის გამომტანი სასამართლო.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კოდექსი არ აზუსტებს და არ განმარტავს, თუ რომელ საკითხებს შეუძლია გამოიწვიოს ექვი ან გაურკვეველობა.

კანონის ასეთმა რედაქციამ გამოიწვია ის, რომ სხვადასხვა რესპუბლიკებში არაერთგვაროვნად იყო გაგებული ის საკითხები, რომლებიც საექვო ან გაუგებარია განაჩენში. ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1964 წლის 22 დეკემბერს მიიღო საწელმძღვანელო დადგენილება „იმ ზოგიერთი პროცესუალური საკითხების შესახებ, რომლებიც წამოიჭრება სასამართლო პრაქტიკაში განაჩენის აღსრულების დროს“<sup>18</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში განმარტებულია, რომ სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის აღსრულების დროს გადაწყვიტოს მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლითაც ზუსტდება განაჩენის ცალკეული დებულება. სწორდება დაშვებული ნაკლოვანებანი და შეცდომები, მაგრამ ამ საკითხების გადაწყვეტა არ უნდა ეხებოდეს განაჩენის არსს და აუარესებდეს მსჯავრდებულის პროცესუალურ მდგომარეობას.

თუ პრაქტიკაში წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვს განაჩენის არსებით გადასინჯვას ან მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესებას, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, შეიძლება დაისვას საკითხი განაჩენის ზედამხედველობის წესით გაპროტესტების შესახებ.

ის საკითხები, რომლებიც ეხება განაჩენის ნაკლოვანებებს და წამოიჭრება განაჩენის აღსრულების დროს, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ამნისტიის გამოყენება აუცილებელი იყო, მაგრამ სასამართლომ განაჩენის გამოტანის დროს არ განიხილა და გადაწყვიტა ეს საკითხი; აღკვეთის ღონისძიების გაუქმება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ან ისეთი გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის დროს, რომელიც ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდისაგან; სამოქალაქო საარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ან ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფისათვის მიღებული ზომების დატოვება გამამართლებელი განაჩენის დადგენის დროს; წინასწარი პატიმრობის ან სამკურნალო დაწესებულებებში მსჯავრდებულის იძულებით მოთავსების დროის ჩაუთვლელობა სასჯელის ვადაში; ნიეთიერი მტკიცებულების ბედის გადაუწყვეტელობა განაჩენით; სასამართლო ხარჯების საკითხის განუხილველად დატოვება ან მათი გადანაწილების გარეშე დატოვება მსჯავრდებულთა შორის; მსჯავრდებულის მცირეწლოვან ბავშვებზე მზრუნველობის ან მათი საბავშვო დაწესებულებებში გაგზავნის საკითხის განუხილველად დატოვება განაჩენის დადგენის დროს; განაჩენით იმ ქონებაზე ყადაღის დადგება, რომელზედაც კანონით არ შეიძლება ყადაღის დადება; თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის დაზუსტება თუ ეს საკითხები ზუსტად არ იყო დადგენილი განაჩენით; მსჯავრდებულის გვარის, სახელის, მამის სახელის ან სხვა მონაცემების დაზუსტება, თუ ისინი განაჩენში არასწორად იყო მოხსენიებული; განაჩენში დაშვებული ფაქტიური შეცდომის ან არითმეტიკული უზუსტობის გასწორება.

<sup>18</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1965, № 1, с. 9-12.

ბუნებრივად რადიკალიზაციის — სამართლის თეორიებისა და სამართლის ფილოსოფიის კომპლექსური ცნობილი გავლენის, მოღვაწეობის გარეგანი გავლენის საშუალების დაზღვევის და მისი საშუალების დამცავი. სხვა ფუნდამენტურ კომპლექსებთან ერთად მცენიერმა სხვა-ლინგვო ადგილი დაუთმო იურიდიული კომპლექსური ფორმირების საკითხებს. მიზანმიმართულად, რომ წინაშეაგარა, მწარეული ოსტატობით და-წერილ მსხვერპლურ წერილში გადმოცემული ავტორისეული შეხედულებანი დღესაც ინარჩუნებენ აქტუალურებას. ამ რუბრიკით რადაცნია შე-ეცდება მკითხველს კვლავაც მიაწოდოს უცხოური და შინაური იური-დიული აზროვნების თვალსაჩინო ნიმუშები, რომელთა გამოკვლევებაც არც თუ იხე დიდი ხნის წინათ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ბუნებრივად რადიკალიზაციის

## ოქვენ, ახალგაზრდა იურისტებო!

ეკვარეშეა, რომ ჩვენგან, გუშინდელ ჰუმანიტარებისაგან სოციალისტური რევოლუ-ცია მსხვერპლს მოითხოვს. მართალია, ჩვენი მორალური მრწამსიდან გამომდინარე, მზად ვართ მსხვერპლის გახადებად, მაგრამ მსხვერპლი მაინც რჩება მსხვერპლად.

სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ ოდესმე გადავხედავთ წარსულს, რომელშიც როგორც უკიდურესი სივრცეში მ ნოემბერი სამუდამოდ შთაინთქა, მსგავსად როგორც ეპოქის მარ-ეიზებისა, რომელთაც წილად ზვდათ გადაეტანათ დიდი რევოლუცია და სწუხდნენ აზინ-დიან ფეხსაცმელებზე, შეუდარულ პარტიებზე, მწყემსურ თამაშობებსა და მენუეტებზე, დრო-ებზე, როცა შეიძლება სიამოვნება მიგელო გეორგეს სიმტკიცით, რილქეს უცნაურობით, პაუტმანის დიდი შეგნებით, შილერის მწარე სკეპტიციზმით და გოფმანშტალის დახვეწილი არტიტიზმით. როცა შეიძლება ერთნაირი სიამოვნება გეგარძნოთ ლიბერმანის უზადო ნათელ-მხილველობით, ბოლის რელიგიური კმნილებებითა და პეტშტინის მწუხარე მრავალფეროვნე-ბით. როცა ერთიან კონცერტზე მრავალქერ ცვლიდნენ ერთმანეთს ნათელი მუსიკალური მხატ-ვრობა და ფორმალურად მკაცრი არქიტექტორული მუსიკა, როცა ერთ მაგიდასთან ტოლსტოის მიმდევრებისთვისაც იყო ადგილი და ნიცშეს თაყვანისმცემლებისთვისაც, ნეოკანტიანელების-თვისაც და ნეოპლატონიკოსებისთვისაც — სამუდამოდ ჩაბარდა წარსული ეს ჭრელი დროება. შეიძლება ძალზე ჭრელიც თავისი მრავალფეროვნებით. მასზე ჩვენ ვიტყვი — ეს იყო.

კაპიტალიზმის საუკუნებრივი სული არ შეიძლება არ ყოფილიყო მრავალფეროვანი. მრავალგვარი მოთხოვნილებები და წინადადებები ეძებდნენ ერთმანეთს. არცერთი ხელისუფ-ლება არ დომინირებდა და არ ითხოვდა ყოვლის გათანაბრებას. ამის მიუხედავად, სოციალიზმი მოითხოვს სულის სოციალიზირებას, პიროვნების სახე და სულის სიმდიდრე გადადის ინდივი-დიდან კოლექტიურში. და კვლავ, როგორც შუასაუკუნეობრივი ტაძარი და სამრეკლო, როგორც შედარებით ძვირფასი კოლექტიური მონაპოვარი, ინდივიდი ამაღლება ერთსახოვან მცხოვრებ-ლებს შორის. მაგრამ სული, დაშვარავი მრავალფეროვნებისა თუ არა დღეს, თუ არა ზვალ, ოდესმე მაინც, გადაიქცევა ერთიან სტილად. რაც შეეხებათ ჰუმანიტარებს (სულის მსახურთ) ისინი მოიშვიან მხოლოდ დანაქარებს. ეს დანაქარები განა ოდესმე შემობრუნდება შენაქენით? კაპიტალისტური საზოგადოების ინდივიდუალური თავისებურება კულტის ნაცვლად მოთხოვ-

ნიღბების დაბადება, რომელიც წარმოიშობა ვითარცა პრაქტიკული მოქმედების შუასაუბრები, ვინაიდან ანონიმური კულტურა, ჰუმანიტარები ვეღარ იქნებიან შედარებით პრივილეგიური ფენა, რომელიც იღებს სოლიდურ ანაზღაურებას. გონებრივი შრომა არ იქნება უფრო საჭირო, ვიდრე ფიზიკური. გონებრივი შრომა სილატაკესთან იქნება თანაზიარი. ასეთ ბრძოლაში ჰუმანიტარების (სულის მსახურთა) რომელ პრივილეგიაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა ისინი გვევლინებიან არა წინამძღოლებად, არამედ დროის მიერ ნაკარნახევ მოაზრულ სულებად.

თუმცა მსხვერპლი მოეთხოვება არა მარტო მათ, ვისაც აკისრიათ ვალდებულება და წინასწარ განსაზღვრავენ სულიერ ყოფას, არამედ სულის უბრალო მსახურების მთელ არმიასაც, სტუდენტების ჩათვლით. წავიდა დრო სტუდენტური წლების პრივილეგიებისა, დრო მხიარული თამაშობისა, ნაირფერი ტომებისა და აღტკინებულ და აღტაცებული გრძნობებისა. ჩაბარდა უველაფერი წარსულს! ახალი ხალხი დაიძრა საღებავით დაარბიანდა, ხალხი მტკიცე ნებისყოფით, ცოდნას მოწყურებული, უდრეკი მისწრაფებით მწვერვალთა დამორჩილების მოწადინენი. და თქვენ, საუკეთესო სახლების განებივრებულ შვილებო, უნდა დაძაბოთ მთელი თქვენი ძალები, რომ გაუძლოთ ასეთ მძაფრ ტემპს! გზა სულისაკენ, ძნელად სავალი გზაა. ეს გზა არ არის სიტკბოების ბაღისაკენ მიმავალი და არც მდიდრულ სასახლეებისაკენ მიემართება. ეს მხოლოდ გზაა ტანჯვის გზით სიხარულისაკენ მიმართული.

და როდესაც ვფიქრობ ამ სტრიქონებზე, მეჩვენება, რომ არასაკმარისად მკაცრია ისინი, არასაკმარისად გამომაფხიზლებელია და მხოლოდ განათებულია სულის ძიების ანარეკლებით. სისულელეა ლაპარაკი სულზე და ხელოვნებაზე იმ დროს, როცა დღის წესრიგში დგას მათი მთავარი წინაპირობა: მშვიდობა, პური, სამუშაო, წესრიგი. სხვა სიტუებით: ცხოვრება ისეთი როგორც არის.

თუმცა, მე მოგმართავთ სწორედ თქვენ, ვისაც გასურთ ამ წინაპირობების სამსახურში ჩაყენოთ სული. მე მოგმართავთ თქვენ, ახალგაზრდა იურისტებო!

დღეისათვის, ისე როგორც არასდროს, ახალგაზრდა იურისტის გზა თავისი პროფესიისაკენ რთულია და გამოუცნობი. ეს გზა მიემართება მიზნისაკენ, რომელზეც შეიძლება მხოლოდ ვიმარჩიელოთ. ახალგაზრდა იურისტს ისეთი სწავლების სისტემის გავლა მოუწევს, რაზეც არც კი დაფიქრებულა. ეს უველაფერი იმისათვის ავლნიშნე, რომ ექვს არ იწვევს შემდეგი: სოციალური სახალხო სახელმწიფო მოითხოვს სრულიად ახალი ტიპის იურისტს, პროფესიის სრულიად ახლებურ გაგებასა და იურისტის პროფესიულ საქაფსს.

რევოლუტია დაიწყო ოფიცრების წინააღმდეგ აჭაყებით და ის გრძელდება როგორც რევოლუტია გაბატონებულ იურისტთა წინააღმდეგ.

იურისტს ადგილი მიჩენილი აქვს მმართველობის უკანა პლანზე, ხოლო თუ გადალახული იქნება დემოკრატიის ისეთი ხელისშემშლელი პირობა, როგორცაა პარტიულობის აღიარება თავისი უშომო უფლებებით, არ მოხდება სახელმწიფო თანამდებობის დაკავება საკმაო საფუძვლის გარეშე, მაშინ, უეჭველია, პროფესიონალი, რომლისთვისაც ნაცნობია საზოგადოების განსაზღვრული ჯგუფების ინტერესები და ხელეწიფება მათი რეალურად გადაწყვეტა, თავისი პროფესიულობის წყალობით, თავის ადგილს მიუჩენს ფორმალისტს, რომელმაც არაფერი არ იცის — გარდა ისეთი სამართლებრივი აკრძალვებისა, რაც სახელმწიფოს ინტერესებს არავითარ წიანს არ აუენებს. ისე, რომ, მეურნეს, ინჟინერს (ტექნიკს), ვაჭრობის დარგის მუშაკს, მრეწველობაში, პროფსაბჭოსა და სოფლის მეურნეობაში შეუძლიათ შეავიწროვნ იურისტის.

თავისი პროფესიული საქმიანობის სფეროში, თუნდაც იუსტიციის დარგში, იურისტის ამოცანები და მდგომარეობა იცვლება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომავალი იურისტის ტიპური სახე გუშინდელ ან დღევანდელ მოსამართლის, პროკურორის და ადვოკატის სახიდან გამომდინარე. მოსამართლე და პროკურორი გვევლინებიან სახელმწიფოს ნების ბრმა შემსრულებლებად. ისინი იცავენ სახელმწიფოს „კანონიერ“ ნებას, უკანონო ავტორიტარულ თვითნებობას. ავტორიტარულ სახელმწიფოს სული, მთლიანად წარმოაჩენს ასეთ სახელმწიფოს მსახურთ.

დაიბ, ადვოკატიც — ეს ცალკეულ პიროვნებათა უფლებების დამცველი, თავისი პროფესიით, არსებითად, სახალხო ტრიბუნაა; რომელიც გამოდის ხელისუფლების წინააღმდეგ და ანსახიერებს თუმცა მეტროლ, მაგრამ წინასწარ დამარცხებულ ხალხს. იურისტის საქმიანობა განისაზღვრებოდა სამართლის ნორმებით: არის თუ არა ბრძანება — აი რა იყო ამოსავალი მათთვის საკითხის გადაწყვეტისას. საკითხი შედის სახელმწიფოს წესრიგის და ქვემდებარების სფეროში თუ წარმოადგენს პირად თავისუფლების სფეროს. იურიდიულ აზროვნებას არ უნდა ჩაე-

ხედა სახელმწიფოს ბრძანებების საზღვრებს იქით. წარსულის იურისტი შეგნებულად ზუკავდა თვალს ისეთ საკითხზე, როგორცაა მიზანი, რომელსაც უნდა ემსახუროს. წესრიგი და თავისუფლებაზე წარუვა სახელმწიფოს პრეროგატივა, რომელსაც სამართალი უფლებების თავს არიდებს. ამის მიუხედავად, მომავალი იურისტი, უპირველეს ყოვლისა, კანონის ბრძაღ შემხრულელებლი არ იქნება. ის მოგვევლინება კანონის შემოქმედებით შემსრულებლად და მოწოდებული იქნება კანონის თანახმად შესარულოს თავის თანამოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის მისია. მომავალი იურისტის ნიშუში უნდა ვეძიოთ არა დღევანდელ იუსტიციასი, კერძოდ, იურიდიულ კონსულტაციებსა და აგრეთვე ისეთ კატეგორიის იურისტებს შორის, რომლებმაც თავიანთი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბეს საკუთარი თავი, არა და არა. მომავლის იურისტის მოღვაწეობის თავისებურება გამოიხატება არა იმით, რომ მოსამართლეების მსგავსად ემსახურონ სამართალს, არამედ იმით, რომ სამართლის მეშვეობით ემსახურონ ხალხს. ადვოკატისაგან განსხვავებით, რომელიც ემსახურება ერთ მხარეს, ისინი ემსახურებიან თანაბრად ორივე მხარეს და ამასთანვე საზოგადოებასაც. მათ სურთ ემსახურონ სამართალს იმდენად, რამდენადაც ის კონკრეტულ შემთხვევაში ემსახურება ხალხს. ამიტომ ისინი არანაკლები მონდომებით, ვიდრე „კეთილი“ სამართალია. ემსახურებიან „საყვარელ საშუაროს“. ისინი უფრო მორჩილებელი მოსამართლეები არიან, ვიდრე ჩვეულებრივი მოსამართლეები. საღარ საკითხის დროს ისინი მალეა აყენებენ შემრიგებლურ ურთიერთობას მხარეებს შორის. ისინი ღირსებას შეიძენენ არა ცერემონიალური ტანსაცმლის წყალობით ან ამაღლებული სკამისა და სიტყვის მბრძანებლური მანერით, არამედ პირადი ღირსებით. ისინი ამხანაგები არიან ამხანაგებს შორის და არა ამხანაგები განსაკუთრებული უწყებიდან. ასეთს ვხედავ მომავლის მოსამართლეს.

მოსამართლის თანამდებობის შესახებ შეხედულების შეცვლას იწვევს მისი უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა, სხვა სახელმწიფო ხელისუფლების არსებობისას. თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ იდეას წარმოადგენს ის, რომ უფლებრივი ყოფა დადგენილია გარკვეული მიზნისათვის და მოქმედებს ამ მიზნის მიღწევის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ვუღდასმით უნდა იყოს გაყოფილი სახელმწიფოს საქმიანობა, რომელიც მიუყვება თავის მიზანს, საკანონმდებლო და მმართველობის ორგანოებისაგან. უფლებრივი ყოფას ზადებს პოლიტიკა, სასწრაფოდ უარს უნდა ვთქვათ წარსულზე, უფრო მეტიც, დავივიწყოთ მოძღვრება ძალაუფლების გაყოფის შესახებ, საკანონმდებლო და სასამართლო ფუნქციების მკაცრი გამიჯვნა, გამოყოფა იუსტიციისა და მმართველობის ორგანოებისა ბუნებრივი გამოხატვა იყო ავტორიტარულ სახელმწიფოს პირობებში. ეს მოძღვრება ნიშნავდა უნდობლობას, როდესაც გამიჯნული სახელმწიფო ძალაუფლება მოქმედებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. ნება არ უნდა მიეცეს განუყოფელ სახელმწიფო ხელისუფლებას გადაიქცეს უძლიერეს უკანონო სახელმწიფოდ. მხოლოდ ლიბერალიზმის საუკუნემ დართო უფლება მას აბსოლუტიზმში.

ეკვს არ ზადებს ის, რომ სოციალურ სახალხო სახელმწიფოში მოხდება ან სამართლის იდეების დარღვევა ან მისი მსგავსი ცვლილება. ავტორიტარული სახელმწიფო, კლასობრივი სახელმწიფო, უნდობლობა, ხელისუფლების გამიჯვნა ისევე დაკავშირებული ერთი მეორესთან, როგორც, მეორე მხრივ, ის დაკავშირებულია გაგებასთან: სოციალური სახალხო სახელმწიფო, ნდობა, ძალაუფლების შეერთება, სამართლის ბუნდოვანი ფორმა. სამართალი მეტად აღარ დათანხმდება მორჩილებაზე. იმაზე, რომ ის მართოდენ სახელმწიფო ნების გამომხატველია. შემოქმედებითი თანამეგობრობის შემდეგ, ის იქნება წარმოჩენილი როგორც წესრიგი მიმართული საერთო სიკეთის მისაღწევად სამართალშემრიგებლური მოღვაწეობა ისტორიულად ნიშნავს ხალხის სოციალურ დაცვას.

სამართლის გაგების დაცემა და სამართალშემრიგებლური მოღვაწეობა განსაკუთრებული ძალით ჩანს გერმანულ ენაზე დაწერილ დრმა შინაარსის რომანში სახელმწიფოს შესახებ „ვილმემ მისტიკის მოგზაურობის წლები“, საზოგადოებაში, რომელსაც აღწერს ჯე გოეთე — არ არსებობს. ხელისუფლების დანაწილება, არ არის არც დამოუკიდებელი იუსტიცია და არც იურისტები. პირველ რიგში იურისტების შესახებ კი არ გვმართებს ფიქრი, ნათქვამია ღია ოპოზიციის მიერ ორთოდოქსალ-ლიბერალების საწინააღმდეგოდ, არამედ დიდ პოლიტიკაზე. აქ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულება გადაცემული აქვს „პოლიციის დირექტორს“ და მასვე აქვს მითვისებული მსაჯულთა მოვალეობაც.

ასევე რუსული საბჭოთა კონსტიტუცია არ ცნობს ხელისუფლების დანაწილებას. უფრო მეტიც, აქ ორივე ხელისუფლება ემორჩილება აღმასრულებელ ხელისუფლებას. ლენინი თავის

1918 წლის 29 აპრილის მიმართვაში სრულიად რუსეთის სახალხო დეპუტატებისადმი, თებდა სასამართლო საქმიანობას, როგორც „სახელმწიფო მმართველობის ფუნქციას“ ანუ „სახელმწიფო მმართველობის ფუნქციას“ და უღარიბესი გლეხობის ძალაუფლების ორგანოს“. როგორც „დისციპლინით აღზარდის ინსტრუმენტს“.

ჩვენი, ცხადია, ვერ მოვიწონებთ (ამის შესახებ დაწვრილებით ვიტყვი) სამართლებრივი ფორმების მთლიანად დანგრევას, რადგან ჩვენი „ფორმალური დემოკრატია“, არ ნიშნავს არც მუს-შათა კლასის დიქტატურას, არც, მეორე მხრივ, კლასობრივი ბრძოლის დამთავრებას. ამას გარდა, ის ნიშნავს შეუბრალებელი ბრძოლის დასაწყისს. იქ, სადაც მიდის კლასობრივი ბრძოლა, სა-მართლის ფორმას კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამას გარდა, იქ ბრძოლის სა-მართლებრივ დაცვას უნდა მიეჭყეს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება. ამ ორივე მაგალითში გამოცხადებულია საბოლოო მიზანი თუ არა, განვითარების მიმართულება მაინც. სამართალი სულ უფრო მეტად და მეტად დაკარგავს თავის თვისებებს და შეიგნებს, რომ ის არის შემადგენელი ნაწილი სისტემის სოციალური მიზნებისა და საშუალებებისა.

ამგვარად, თუ სამართალი გამოდის თავისი ფარგლებიდან, მიუთითებს იმ მიზანს, რომელ-საც ის ემსახურება. ამ შემთხვევაში იურისტი წარმოიჩინდება არა მხოლოდ კანონის მსახურად, არამედ სამართლიანობის მსახურადაც. იურისტისათვის თანდათანობით მთავარი ხდება სამარ-თლიანობის გაგების შეცვლისაქენ მისწრაფება.

თავდაპირველად სამართლიანობა წინეობსთან ერთად გამოდიოდა. როგორც თავისებური და თვითმყოფადი იდეალი, როგორც მთავარი და ფასეული ორიენტირი პიროვნების მორალურ ღირებულებებთან ერთად. მაშინ სამართლიანობა სხვა არა იყო რა, თუ არა თანასწორობა ან სა-ზომი თანასწორობისა: ბრალისა და სასჯელის; ზიანისა და ანაზღაურების, ქმედებისა და უკუქ-მედების. განსაკუთრებით ეს აშკარად ჩანს სისხლის სამართლის მაგალითზე, სამართლიანობის იდეა ამ გაგებით (ე. ი. სამართლიანობა, როგორც ნაცვალებება) შევიწროებული იქნა სოციალუ-რი მიზანშეწონილობის და საზოგადოების უშიშროების დაცვის იდეით. თანამედროვე სის-ხლის სამართალი საკითხს სვამს არა იმ თვალსაზრისით, სასჯელი წარმოადგენს თუ არა სა-მართლიანობას ძველი გაგებით, არამედ, მიზანშეწონილია თუ არა სოციალური ამოცანების შესრულების მხრივ ამის საპირისპიროდ, კერძო სამართალი დღევანდელ დღემდე რჩება იმ სამართლიანობის იდეის გაკვლენის ქვეშ, რომლის სიმბოლოსაც ემსახურება ისეთი სახეობა, რომელიც პიროვნების თვისების ყოველგვარი გათვალისწინების გარეშე ადარებს ქმედებას ქმედებასთან, ზარალს ანაზღაურებასთან, სამუშაოს გასამრჩელოსთან. მიუხედავად ამისა, ამჟამად, საქარო სამართალი არსებითად ასწორებს კერძო სამართლის ფორმალურ სამართლიანობას. სოციალური დაცვის სხვადასხვა სახეების შესახებ საკითხის დაუენების გზით, როცა სამართლი-ანობა განიხილება არა პოზიციიდან „თითოეულს შრომის მიხედვით“, არამედ პრინციპით „თითო-ეულს მოთხოვნილების მიხედვით“. ამასთან დაკავშირებით, საქმარბისა გავიხსენოთ უმუშევრე-ბისათვის მხარდაჭერის ღონისძიებები. დემოკრატია, კონსტიტუციური სამართალში თვითონვე წარ-მოადგენს იმ სამართლიანობის იდეის უმაღლეს ტრიუმფს, რომლის სიმბოლოდაც გვევლინება სამარ-თლიანობის სახეობა. ფორმალური დემოკრატის საწინააღმდეგოდ, ამომრჩეველთა ბიულეტენე-ბში აღსდგება იმ სამართლიანობის გრძნობა, რომელიც მან წარმოშვა. სინამდვილეში ამომრჩეველ-თა ბიულეტენების თანასწორობას, მათი უთანაბრო საფუძვლების დროს, არ შეუძლია უზრუნველ-ყოს ის, რასაც საჭიროებს ადამიანი, რუსულმა საბჭოთა კონსტიტუციამ იმ ზომამდე დაძლია ფორმალური თანასწორობის იდეა, რომ საჭიროდაც არ ჩათვალა თვალთმაქციობისათვის ხარკის გადახდა. შეუღამაზებელი პირდაპირობით, რაც იმავდროულად შიშსაც იწვევს და აღტაცე-ზასაც, შეზღუდა სოფლის ამომრჩეველთა უფლებები, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. მან უარყო პენსიონერების, ვაჭრების, სამუშაოს მიმცემთა საამომრჩევლო უფლებები. რუსული კანონმდებლობის თვალსაზრისით აქ ფორმალური სამართლიანობა დაპირისპირებულია სოცია-ლურ სამართლიანობასთან, ეს იდეა (სოციალური სამართლიანობის) არ ცდილობს ყურადღება მიაკციოს უთანასწორობას, არც თანასწორობის საფუძვლიდან და არც უთანასწორობის სა-ფუძვლიდან. მისი ზრუნვის საგანი უთანასწორობის ლიკვიდაციაა; უდიდესი პარადოქსიაა; რომელიც მოგვავს არაკ ვენახებში მომუშავეზე, რომლის მორალურ-რელიგიური პოზიცია უპი-რისპირდება სამართლებრივს. საბჭოთა რესპუბლიკა ცდილობს სახელმწიფო კონსტიტუციაში

ხორცი შეახსან მიწიერ სამართლებრივ სინამდვილეს. კერძოდ: აუქმებს უოველგვარ სამართლიანობას, რომელიც წარმოაჩენს თანხაწროობის მდგომარეობას „პირველები გახდებიან უკანასკნელნი“. ამჯერად საინტერესოა არა ის, სასურველია თუ არა (და რამდენად) ეს ქმედება და საერთოდ შესაძლებელია ის თუ არა, არამედ ამ ქმედობის მიმართულება. როგორც წესით იყო აღნიშნული, სამართალი და ახლა როგორც ვხედავთ სამართლიანობაც, კარგავს თავის თავისებურებას და განვითარდება მხოლოდ იდეური შინაარსის კანონების დაწოლის მეშვეობით. ის თავაზიანად შეერწყმება ეთიკურ ფასეულობათა სამეფოსა და მიწებს. მსგავსად იმისა, რომ სამართლებრივი მეცნიერება უკვე აღარ ემორჩილება ზუსტ გამოყოფას პოლიტიკურ სამართლისა და სამართლის ფილოსოფიისაგან. ამ აზრის შემდეგი განვითარება აუცილებლად მიგვიყვანს სამართლის ფილოსოფიის ეთიკაში და პრაქტიკულ ფილოსოფიაში ჩართვამდე.

სამართალი აღიარებულია როგორც მოვლენა და კულტურის ამოცანა. მსგავსად კულტურისა, მისწრაფვის იდეალთან და სინამდვილესთან სიახლოვისაკენ. მისწრაფება თავის მხრივ ხასიათდება როგორც სოციალურ სინამდვილიდან და სოციალურ სამართლიანობიდან მომავალი. სამართლებრივი მეცნიერება უნდა გადაიქცეს სახელმწიფო ნების ფილოსოფიიდან სახელმწიფოს მიწების ფილოსოფიად, ხოლო პოლიტიკაში საშუალებად, რომ ემსახუროს ამ მიზანს, — ბუნებრივია თავისი იურიდიული აზროვნების ფარგლებიდან გამომდინარე. ჩვენ მივდივით იმ ზღვრამდე, სადაც განხილვის ორი საშუალებაა, რომლებიც სამართლის მეცნიერების ისტორიაში რევოლუარულად ცვლიდნენ ერთმანეთს — ფილოლოგიურ-ისტორიული და თეოლოგიურ-ფილოსოფიური, რომლებიც კვლავ ცვლიან ადგილებს, ბუნებრივია სამართალი, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის დროს შეიძინა შედარებით სავსე ძალაუფლება, იძულებული გახდა რესტრაციის პერიოდში ადგილი დაეთმო ისტორიული სკოლისათვის. მისი ახლიანი ზატონობა სამართლის მეცნიერების სფეროში, სადაო გახდა უკვე მსოფლიო ომამდე და სამუდამოდ დიკვიდირებული იქნა რუსულ-გერმანული რევოლუციის შედეგად.

„ისტორიული აზროვნების“ აღმავრენა, ისტორიზმის გაფურჩქვნა თანხვედბა ისტორიის მკვლარ პუნქტებს. ეს ხდება იმიტომ, რომ ისტორია არის არა მხოლოდ ისეთი მეცნიერება, რომელიც არკვევს იმას, რაც მოხდა, არამედ იმავდროულად გვიპირდება წარმოგვიდგინოს ის თუ რა უნდა მომხდარიყო. ეს ხდება იმიტომ, რომ ის გარდაქმნის ისტორიულ განვითარებას (მოდრობას) თანაბრად, თანდათანობით, რომელიც არის ასევე ისტორიული აზროვნების პარიორული აუცილებლობა. მოთხოვნა წამოყენებული პოლიტიკურ მოქმედებებზე, დამცინავი განაჩენი წარსულთან უოველ ძალადობრივ გაწყვეტაზე, სკეპტიკური უფრება უოველგვარ რადიკალურად შემოქმედებითის, აშკარად უტოპიურის.

ისტორიული სკოლა სახელმწიფო მოღვაწისათვის უმაღლეს მაქსიმად გადააქცევს სიბრძნეს: წინ ვიაროთ უოველთვის ნელა. თითქოსდა ამის გარეშეც თითოეული პოლიტიკური ნაბიჯი თუ ის მოქმედი პირის ცნობიერებაში აღიქმება როგორც პირდაპირი სწრაფვა უველა შემოხხუნებულ მოქმედებისაკენ აუცილებელი ფორმით არ ემორჩილება ისტორიული მეცნიერების აზროვნებას, არ შედის თანაბარ თანდათანობითობის კატეგორიაში. მომავალი ისტორიული პროგრესის თვალსაზრისით თვითდარწმუნებულობაც კი აღმოჩნდება ისეთ აუცილებლობად, როგორც არათავისუფალი იძულებითი მოქმედება. ზუსტად ასევე წინააღმდეგობის ძალების გაბედული გადალახვა — საშაერო პილოტის ეს ამაყი ტრიუმფი — შინც ემორჩილება ამქვეყნიურ კანონებს. მის წინააღმდეგობის ძალებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისტორიული წარმოდგენის მეთოდს პრეტენზია გააჩნია მხოლოდ ამ მომხდარ მოქმედების შემდგომ განხილვაზე. ნორმის სახით ისტორიული მეთოდით განხილვა რომ იყოს გამოყენებული. მოქმედი ადამიანის მიმართ, ეს შესაძლებელს გახდიდა ისტორიის შეჩერებას. წესით ნახსენები მწერლის ბრძნული იგავი მოგვითხრობს, თუ ეშმაკმა თხუნელამ როგორ გაუქეთა პარალიზება ორმოცფხვას მოტორისებულ შესაძლებლობას. მან გაკვირვებით კითხა თუ როგორ მართავს ორმოც ფხვს; მოწყავს თუ არა მოძრობაში თავისი თქვსმეტი ფხვით, ერთდროულად 24 და 11 ფხვი. სუბიექტი სამუდამოდ იღუპება, როცა ჩვენ ჩავაყენებთ მას თვითდაკვირვების მდგომარეობაში. ვაიძულებთ, რომ იმავდროულად გადაიქცეს ობიექტად.

ახე რომ, ჩვენი ნება პარალიზებულია, როცა ვცდილობთ დავამყაროთ მასზე მოტივები ჩვენი ჩერარსობის ისტორიულ შემეცნებიდან. ვფიქრობ, აღარ არის საჭირო კანტიდან არცერთი სიტყვის მოყვანა, რომელიც გვასწავლის მკაცრად გამოყოფოთ ჩერარსობისა და იძულებითობის კატეგორია, ვფიქრობ, ასევე არაა საჭირო ნიცშეს გახსენებაც, რომელმაც გვიჩვენა ისტორიზმის მავნებლობა ცხოვრებისათვის. ისტორიული სკოლის უწინეობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს სა-

მართლებრივ მეცნიერებაში. ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ ისტორიკოსებმა იურისტები, რომლებიც ისტორიული სკოლის პოზიციებზე დგანან, უნდობლობას უცხადებენ და წინააღმდეგობას უწევენ უკვე სიახლეს. ოპოზიციური, მშვიდობის საქითვის გადაწყვეტის დროს, პაგაში მრავალმა იურისტმა გამოიჩინა სიმამაცე და დაუპირისპირდა კავიტუტაციის მომხრეებელ ფორმულირებას „ომი იქნება“. მათ ჰქონდათ პირდაპირი და გამოკვეთილი პოზიცია „ომი არ შეიძლება და არც უნდა დაიწყოს“.

ისტორიულმა სკოლამ მიიყვანა კანტი იქამდე, რომ აუტანლად მიიჩნია „კემპარტი იურისტების მანერა, როცა ისინი ამაღლებიან პოლიტიკის სიმაღლემდე“, რამდენადაც იურისტების საქმე არაა დამოუკიდებლად განსაჯონ თუ რა დგას კანონმდებლის საზღვარს იქით. მათი ამოცანა მდგომარეობს ქვეყანაში მოქმედი კანონების შესრულებაში. ამიტომ მათთვის თითოეული კანონიერად არსებული წყობილება წარმოადგენს უკეთესს, ისევე როგორც საუკეთესოდ მიიღება მომდევნო წყობილება, თუ ის იცვლება უმაღლეს სფეროში და რომელსაც შემდეგ ჩვენ უკვლავი მიყვავართ „ვალის დამდებ მექანიკურ წესრიგთან“.

დღეს გერმანიაში, ფილოსოფიის კლასიკურ ქვეყანაში არ არის სამართლის ფილოსოფიის არც ერთი კათედრა, მაგრამ ბოლო დროს, როგორც ჩანს, გამოჩნდა სამართლის ფილოსოფიის გაფორმების ნიშნები, გამარჯვებული ფილოსოფიური ნება, რომელიც ვაბედავს უმაღლესი პრინციპების სიმაღლიდან საქმის დეტალებში შეჭრას და გამოცდილების მიღების შემდეგ საერთო პრინციპების შევსებას. დღეს რევოლუციის ეპოქაში, კიდევ გვიხდება შევცვალოთ მწირო პოლიტიკური რეალობა, რომელშიც ხალხი დღიდან-დღემდე ცხოვრობს იმედით და ძლივს გააქვს თავი რადიკალური პოლიტიკის გამო. რომელიც ორიენტირებულია უმაღლესი მსოფლმხედველობის პრინციპებზე.

ყველაფერი არასამართლის იქნებოდა თუ ძველ სასწავლო დისციპლინებთან ერთად, ერთ რიგში დაყუენებთ ისეთ საგნებს, როგორცაა: სამართლის ფილოსოფია და სამართლებრივი პოლიტიკა. გარდა ამისა, თითოეული იურიდიული სასწავლო დისციპლინა უნდა იყოს მოფიქრებული და განხილული უმნიშვნელო წვრილმანების ჩათვლით. ფილოსოფიურ-პოლიტიკური ფაქტორებისა.

ემპირიულმა და საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა: მეცნიერებამ სახალხო ეკონომიკაზე, მეცნიერებამ კერძო ხაყუთრებაზე დამყარებულ ეკონომიკაზე, ფსიქოლოგიაზე და სოციოლოგიაზე, კრიმინოლოგიაზე, პენოლოგიაზე და კრიმინალისტიკაზე დიდი ადგილი უნდა დაიჭიროს იურიდიულ განათლების სისტემაში. რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებებს სამართალზე ე. ი. მეცნიერებას არა სამართლის ნორმაზე, არამედ სამართლებრივ სინამდვილეზე. ის კიდევ უნდა შეიქმნას. უნდა შეიქმნას სამართლის ისტორია, თუ ის შეწყვეტს სამართლის განხილვას როგორც აბსტრაქციული ნორმების სამყაროსი.

თუ ის ხელს მოკიდებს სამართლებრივ სინამდვილის ძებნას და შეუდგება მის შესწავლას არა ცალკეულად, არამედ მთელ ეკონომიკასთან და კულტურასთან კავშირში, ამით ის მიიღებს ახალ სტიმულს, რომელიც ვერ შეძლო მიეცა მისთვის ისტორიულ სკოლას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში გაქრება ისეთი სამართლის წიგნები, რომლებიც ზღუდავენ წარმოდგენას მართლწესრიგის არსის შესახებ, ადამიანური კანონების საწყალ შემთხვევით დაქვემდებარებასთან განთავსუფლებით, უახლოეს მსოფლმხედველობით პრინციპებზე დაქვემდებარებით. მრავალფეროვან და ცოცხალ სინამდვილესთან კავშირის დამყარებით. იურიდიული მეცნიერება ერთდროულად მიიპყრობს ახალგაზრდა კაცის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ცხოვრებისეულ გარემოს: ემპირიულ რეალობას და ცხოვრების ემპირიულ წყურვილს. ასე რომ ის კვლავ შეძლებს გახდეს ის, რაც განადიდებდა ძველ რომაელს.

სამართლის შესწავლის შეცვლილმა სულმა უნდა განაპირობოს სამართლის შესწავლის სტრუქტურების შეცვლა. დღემდე სამართლის შესწავლა ეფუძნებოდა სამ პრინციპს:

- 1) ჭერ თეორია — შემდეგ პრაქტიკა;
- 2) ჭერ წარსულის სამართალი — შემდეგ თანამედროვე სამართალი;
- 3) ჭერ კერძო სამართალი — შემდეგ საჯარო სამართალი.

1) ჭერ თეორია — შემდეგ პრაქტიკა. ჭერ სწავლა. შემდეგ მოსამზადებელი სამსახური. ჭერ გაგება, შემდეგ ნათელი დამაჩერებელი წარმოდგენა. მაგრამ კანტმა გვახსავდა, რომ გაგება წარმოდგენის გარეშე ფუჭია. დამწყები იურისტი, რომელმაც ჭერ კიდევ არ იცის სამართლებრივი სინამდვილე, სამართლის მეცნიერებისაგან იღებს ისეთ პა-



სუბს. რომლის გაგებისათვის ის ჭერ კიდევ შუად არაა. რატომღა, რომ კომერციული სკოლის სამართლის მასწავლებელი შეუღარებლად დიდი ინტერესით ეცნობა სამართალს. ვიდრე დამწყები იურისტი? ეს ხდება იმიტომ, რომ მოსწავლე კომერსანტს წარმოადგენს გააჩნია სამართლებრივი სინამდვილის შესახებ. მას უკვე გააჩნია კითხვები სამართლებრივი მეცნიერებების მიმართ.

დამწყები იურისტს არა აქვს წარმოდგენა მის გარშემო არსებულ ცხოვრებასთან ურთიერთობისას უიდეა-გაუიდეაზე. ჭირავნობაზე, შრომის ხელშეკრულებაზე, სასამართლოზე, პროცესზე, დანაშაულსა და სასჯელზე, საზოგადოებრივ წარმომადგენლებზე, პარლამენტზე, მას ნაშედილად არ გააჩნია არავითარი წარმოდგენა სამართალზე. სხვათაშორის ახლახან მოყვანილ კანტის სიტყვებს ამ გაგებით გააჩნია გაგრძელება: წარმოდგენა გაგების გარეშე ბრმაა. მხოლოდ გაგება იძლევა წარმოდგენის შეძენის საშუალებას. აქედან გამომდინარე დასმულ კითხვას ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ შემდეგი სახით: სამართლის შესწავლას თან უნდა ახლდეს სამართლებრივ ცხოვრებაზე წარმოდგენა. თუბრა აჭობებს, რომ წინ უხწრებდეს ამას. ამიტომაც იყო ომამდ „შუალედური პრაქტიკა“ შემოღებული, რომელსაც პირველ და მეორე სასწავლო სემესტრს შორის უნდა განეხორციელებინა სამართლის საფუძვლიანი შესწავლა. დღეს, ჩვენ აღარა ვართ იძულებულნი ასეთი ფუჭი სიახლე რომ მივიღოთ, რამდენადაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლგაზრდას, რომელსაც იურისტობა სურს, არ მიეცა უფლება სკოლიდან, ყოველგვარი მომზადების გარეშე, და აქედან გამომდინარე თავის პროფესიაზე ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე პირდაპირ მიაშუროს უნივერსიტეტს. ახალი სასწავლო საგანი „სამოქალაქოშეცდენობა“, რომელიც მან სკოლაში უნდა შეისწავლოს, შესძენს პირველ ელემენტარულ ცოდნას სახელმწიფოსა და სამართალზე. ეს რომ მოხდეს, ამისათვის აუცილებელია აღნიშნული საგანი სკოლის ძველ დისციპლინებს შორის იყოს არა მარტო რიგით ახალი, არამედ ის უნდა გადაიქცეს სწავლების ყოვლისმომცველ პრინციპად.

და როდესაც ძველი ფილოლოგი თავის მოსწავლეებს წაუკითხავს ლივიუს გაიუსის ნაცვლად. „სამოქალაქოშეცდენობის“ საფუძვლებს, ამის წყალობით მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას არა მხოლოდ ისეთი სამართლებრივი კულტურის მქონე ხალხზე როგორებიც იყვნენ რომაელები, არამედ უპირველესად გაერკვევიან თანამედროვეობის სამართლებრივი ცხოვრების იურიდიულ ურთიერთობებში.

მომავალში თვითონ სკოლა შეიძულებს იურიდიული აზროვნების ფორმებს. ეს ფორმები შეითვისებს და გაამაგრებს შეხედულებას სამართლებრივი ცხოვრების შესახებ.

2. ჭერ წარსულის სამართალი — შემდეგ თანამედროვე სამართალი... ჭერ რომის სამართალი — შემდეგ თანამედროვე სამართალი. ჭერ სამართლის ისტორია — შემდეგ დოგმატური სამართალი. ისტორიული სკოლის ანდერძს იქამდე მივყავართ, რომ სწავლების პროცესის დროს, ისტორია აუცილებელია განვიხილოთ, როგორც საუკეთესო შესავალი კურსი. თითქოს რომელიმე ენაზე საუბარი რომ ვინმე ვალდებული ვართ პირველ რიგში აუცილებელია შევისწავლოთ ამ ენის შემქმნელი ხალხის ისტორია. ზოგიერთნი ცდილობენ ფილოსოფიის შესწავლას ფილოსოფიის ისტორიის გავლით. მაგრამ ბოლოსდაბოლოს ისინი მიხვდებიან, რომ ეს პროცესი შეუკავებლად მიჰყვება მდინარებას, რომ მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, რაზეთუ თავის შეხედულებებს ვერ შეინარჩუნებენ მანამ, სანამ აღნიშნული საკითხის შესახებ ვერ იპოვნენ საკუთარ შეხედულებებს. ამას ადასტურებს ისტორიის მთელი მდინარების შეგნებული გააზრება, რომელიც უარყოფს აღნიშნულ თვალსაზრისს.

სწავლების ახალმა მეთოდმა, რომელიც შემუშავდა ჰაინრიხ რიკერტის ხელმძღვანელობით, რომ ისტორია დარჩება გამოუსადეგარ მეცნიერებად თუ არ შეითვისებს თანამედროვე კულტურის კრიტიკიუმებს, რომლის საფუძველზეც შედლებს ის გამოყოს საჭირო არასაჭიროსაგან. სამართლებრივი მეცნიერების გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის ისტორიის შესწავლა არ უნდა უხწრებდეს თანამედროვე სამართლის შესწავლას. უნდა ხდებოდეს პირიქით, მიჰყვებოდეს მის შესწავლას. ეს ეხება არა მხოლოდ გერმანული სამართლის ისტორიას, არამედ რომის სამართლის ისტორიასაც.

რომის სამართალი. ხვდეთა შორის, წარმოადგენს სამართლის შესწავლის წინაპირობას იმით, რომ ისტორიულად ის იყო ჩვენი სამართლის წყარო. არამედ, უპირველესად, იმით, რომ ის არის უველა სამართლისათვის კლასიკური ნიმუში. ფილოსოფიის მსგავსად, სადაც უკლებლივ წარმოადგენს მთელი ფილოსოფიის კლასიკური ნიმუშს, რომის სამართალი ეს არის იურიდიული გონის სუფთა ფორმების პირველი შეცნობა. თუ ეს ასეა, აწროვნების სუფთა ფორმების შენახვისათვის შეიძლება უარი ვთქვათ რომის სამართლის ისტორიულ კომპონენტისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ახალგაზრდა იურისტის შემეცნებაზე შეიძლება დავიყვანოთ ის, რომ გაითავისოს შინაგანად რომის სამართალი. ეს პატივი რომის სამართალმა ურყევად დაამტკიცა იურიდიულ აწროვნებაში. რომის სამართლის სულითაა გამსჭვალული თანამედროვე სამართალიც. ბურჟუაზიულმა სამართალმა მას შემდეგ, რაც გამოიყენა რომის სამართალი, დაკარგა თავისი დანიშნულება. ამჟამად მისი საკურობის შესახებ დათანხმება შეიძლება მხოლოდ კონვენციური სიტუაციის მოსაწრებიდან გამომდინარე, იურიდიული განათლების მქონე ახალგაზრდობამ, რომლებმაც რომის სამართალი შეისწავლეს მეორე ხელიდან, რამდენადაც მათ არ შეუძლიათ მისი პირველწყაროდან შესწავლა, ვერ შეძლებენ განათლებისათვის რომის სამართლის კუთვარიტი დანიშნულების გაგებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ სამართალს შევცვლით ფიქციით თუ რომის სამართალს გამოვირიცხავთ იურიდიული განათლების სისტემიდან.

მ. ჭერ კერძო სამართალი — შემდეგ საჯარო სამართალი. კერძო სამართლის გამოცხადება ამოსავალ პუნქტად და სამართლის შესწავლის ცენტრად რეალურად ეთანხმება სახელმწიფოს იმ კონცეფციას, რომელიც აღამიანისა და მოქალაქის 1748 წლის დეკლარაციაშია. პარადოქსული სახით, ხალხის უშაღლეს მსახურად (ჩინოვნიკად) აღიარებული იყო თავადი, მაგრამ, ამავე დროს, კერძო საკუთრება გამოცხადებული იყო წმინდად და ხელშეუხებლად. ეს ეთანხმება იმ წარმოდგენას, რომლის თანახმადაც აბსოლუტური მონარქი ვარდება სამეფო ტახტიდან, ხოლო მის ადგილს იკავებს აბსოლუტური კაპიტალი. მოკლედ რომ ვთქვათ ეს შეეხება მთლიანად კაპიტალიზმის საუკუნეს. სხვებით გასაგებია, რომ კერძო სამართალი, რომლისთვისაც ასე გულისთადად იდწვის სამართალდაცვა თვითონ განიხილავს სახელმწიფოსა და მთელ მის სამართალს ისე, როგორც კედელს, რომელიც იცავს კერძო საკუთრებას. სოციალურ სახელმწიფოში არსებობს საჯარო სამართლის პრიმატი. მისთვის კერძო სამართალი არის დროებითი, საჯარო სამართლის მკაცრად განსაზღვრული კუნძული, ეს არის საჯარო სამართლისაგან გამოყოფილი სათამაშო მოედანი პირადი თავისუფლების გამოსამფლავებლად. სოციალურ სახელმწიფოში კერძო საკუთრება არ არის კუთვარიტი და ხელშეუხებელი, ის დროებით ნაჩუქარი თანამედრობაა, იგი არის საზოგადოებრივი მონაპოვარი. რომელიც საზოგადოების მიერაა მიწოდებული მფლობელზე თავისუფალი გამოყენებით იმ მოცულობითა და იმ ვადით, როგორც დაც მათი (საზოგადოების) ინტერესები დაემთხვევა მესაკუთრის ინტერესებს. მაგრამ სწავლების პროცესის დროს არასაკმარისია, რომ შექანიკურად დავსვათ საჯარო სამართალი კერძო სამართალზე ადრე. აუცილებელია საჯარო სამართლის პოზიციებიდან დანერგვით გავაანალიზოთ კერძო სამართალი.

სამსახურისათვის მოსამზადებელი წლები მათთვის, ვინც უველაზე საუკეთესოა და ბეჭითი, წარმოადგენს წვადების პერიოდს. როგორი იქნება განაჩენი შემოქმედებითი ძალების გაფორმებისას მოსაწყენ და მკირმნიშვნელოვან სამსახურებისაგან, უსარგებლო ნაწერებისაგან, უმიზნო დროის გაუვანისაგან. მაგრამ ეს წვადება არასდროს არ იყო ისეთი აუტანელი, როგორც დღეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მოხდება იურისტების პრაქტიკული მომზადების სფეროს მთლიანი გარდაქმნა.

იურისტების პრაქტიკული მომზადება, მთლიანად უნდა ექვემდებარებოდეს ადვოკატების კოლეგიას. ახალგაზრდას, ადვოკატის პროფესიისათვის უნდა ამზადებდნენ თვითონ ადვოკატები. რაც შეეხება მოსამართლის თანამედრობას, მისი მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ადვოკატურის გავლით. ადვოკატისათვის მოსამართლის თანამედრობა იქნება, როგორც უშაღლესი ჩილდო თავისი გამოცდილებისა და გამორჩეულობისათვის. ახალგაზრდა ადვოკატი ერთი წლის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ, მეორე გამოცდის გარეშე თვითონ გადაწყვეტს. სურს თუ არა სრულყოფილ თავისი მომზადება სხვისი ხელმძღვანელობით თუ ის საკმაოდ მომწიფდა ადვოკატის სამუშაოს დამოუკიდებლად ხაწარმოებლად. დღე მან თავის კოლეგებთან თავისუფალი კონკურენციის პირობებში მთელი ძალით იბრძოლოს. ახალგაზრდა ადვოკატისთვის

გადამღლელია იმის ცდა თუ გადამწიფებულ ასესორიდან როდის გადაიქცევა გულდრძო მოსა-  
ზარტლედ. მოსამართლის თანამდებობისაკენ მიმავალი დაუშთავრებელი გზა ნამდვილად უკუაგ-  
დებს ძლიერსა და პატიოსნებს, რომლებიც ხშირად მიდიან ადვოკატურაში. ეს იურისტები იქ-  
ნებოდნენ ალბათ კარგი მოსამართლეები. იურისტი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე ადვოკატი  
იყო, საქმის განხილვას შეძლებს არა მხოლოდ მიუკერძოებლობის პოზიციიდან, არამედ მოდა-  
ვე მხარეების პოზიციების გათვალისწინებიდან გამომდინარეც. ის, ვინც არასოდეს არ წარმოად-  
გენდა რომელიმე მხარეს, შეძლებს რა თქმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალური პოზიცია, მაგრამ  
ვერასოდეს ვერ შეძლებს ჩადგეს დაპირისპირებულ მხარეთა შორის. ამ შემთხვევაში იურის-  
ტისათვის ერთადერთი ბრძნული გზა გახლავთ ის, რომ არ აუყვეს ემოციებს, თუმცა აზრი მათი  
მოსამართლედ დანიშვნის შესახებ ვინც გაიარა ადვოკატურის სკოლა, როგორც ეს კეთდებოდა  
რომაულ და ანგლოსაქსურ ქვეყნებში, ადვილი შესათავაზებელია, ვიდრე განსახორციელებელი.  
ჩვენ აქ არა გვაქვს საშუალება დაწვრილებით ვისაუბროთ სიძნელებსა და მისი გადალახვის  
საშუალებებზე. რომელიც ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა.

სამართლის სინამდვილეში ახალი ასპექტი შეიტანა ქალების თანასწორუფლებიანობის გა-  
მოცხადებამ. ამიტომ დღეისათვის, რაც არ უნდა საცოდავად გამოიყურებოდეს, აუცილებელია  
დავფიქრდეთ ქალებისათვის იურიდიული პროფესიის გაცნობის და სამართლებრივ მეცნიე-  
რებაში მათი როლის პრობლემებზე.

ძნელია ვიფიქროთ, არსებული შთაბეჭდილებების საფუძველზე, რომ ქალის ტალანტის  
გამოსავლენად სპეციფიკურია სამართლებრივი მეცნიერება. ქალის გრძნობების სიქარბე, ად-  
ვილად შეიძლება გახდეს კანონის ფარგლების დარღვევის მიზეზი. მაგრამ თუ ქალს შეუძლია  
დიპლომატიის გრძნობა გონების სასარგებლოდ, მაშინაც წარმოიშობა ახალი ხიფათი. ქალის  
გონება არ ფიქრობს პრაქტიკულ შედეგებზე და ბრმად მიჰყვება ფორმალურ ლოგიკას.  
ქალისათვის უფრო ძნელია, ვიდრე მამაკაცისათვის მიადწიოს ლოგოსისა და ეთოსის შესაბამი-  
სობას, რომელიც აუცილებელია ობიექტური სამართლის დასახაბუთებლად.

და პირიქით, ქალებს განსაკუთრებულად ცოცხლად და ძლიერად აქვთ განვითარებული  
პირადი უფლებების გრძნობა, რაც ორიენტირებულია ინდივიდუალობაზე. ამიტომ ქალი, რო-  
გორც ჩანს უფრო მეტად მოწოდებულია სუბიექტური სამართლის დაცვისათვის, ვიდრე ობი-  
ექტური სამართლის გამოყენებისათვის. ქალს ბევრად უფრო შეეფერება ადვოკატის პროფესია,  
ვიდრე მოსამართლის თანამდებობა.

სხვათა შორის ქალი აღმოჩნდება თავის ადგილას მოსამართლის სახით იქ, სადაც მოსამართ-  
ლე ვალდებულია არა მხოლოდ კანონი დაიცავს, არამედ სამართლის ნორმის მოთხოვნის შეს-  
რულების ფარგლებში, გამოავლინოს ზრუნვა და გაგება, ადამიანური სულის სიფაქიზე. უპირ-  
ველესად ეს ეხებათ იმ მოსამართლეებს, რომლებიც იხილავენ არასრულწლოვანებისა და საო-  
ჯახო — ცოლ-ქმრული კონფლიქტების საქმეებს.

ქალის გრძნობა სამართლიანობაზე, ყველა შემთხვევაში შეძლებს ხელი შეუწყოს იმას,  
რომ თავისი წინააღმდეგობებითა და შენიშვნებით სუფთა მამაკაცური მართლწესრიგის ირგვლივ  
მოსპოს ის ქედმაღლობა, რომელიც ახსიათებს მამაკაცთა მართლშეგნებას.

ისე, რომ ქალების თანასწორუფლებიანობა და არა მათი ფორმალური რიცხობრივი თა-  
ნაბრობა, თანასწორობის ყველა პრინციპის დაცვით ხელს შეუწყობს სპეციფიკური ქალური  
თვისების გამოყენებას მართლმსაჯულების ორგანოებში.

სოციალურ სახალხო სახელმწიფოში, სამართლის მეცნიერება მოემსახურება არა მხოლოდ  
იურისტების პროფესიულ მომზადების მიზანს, არამედ ის იქცევა მთელი ხალხის მოწაფვრად  
პოპულარული მეცნიერების საშოქალაქმოდონობის სახით. თუ სახელმწიფო ეყრდნობა  
ხალხს, საბოლოო ანგარიშით ის ეყრდნობა ხალხის სოლიდარობის გრძნობას, რაც დამოკიდე-  
ბულია ხალხის მიერ მოქალაქეობის შეგრძნების დონეზე. იურისტებსა და განსაკუთრებით  
იურიდიულ ფაკულტეტებს მინდობილი აქვთ პასუხისმგებლობა სამართლებრივი ცოდნის გავ-  
რცელებაზე. ერის სამართლებრივ სინდისზე.

ამასთან, უპირველესად ცვლილება უნდა მოხდეს გერმანელი იურისტების ცნობიერებაში. იურიდიული კოლეჯივში, რომლისთვისაც სამართალი იყო მხოლოდ სახელმწიფოს თვითნებობა, ხოლო სამართლის აზრი მდგომარეობდა მორჩილებასა და ხელისუფლების გაღმერთებაში, წარმოადგენდა ეპოქის გამოვლინებას. იმ ეპოქისა, რომელშიც ბატონობდა რეალური პოლიტიკა და ავტორიტარული სახელმწიფო. ჩვენ კვლავ უნდა გავიზიაროთ ის ანდაზური დაპირისპირება, რომელიც არსებობდა სამართალსა და უკანონობას, სამართალსა და ხელისუფლებას შორის. სამართალში ჩვენ უნდა დავინახოთ არა სახელმწიფოს ბრძანება, — არამედ მსჯელობა სამართლიანობის დამყარებისაკენ. ჩვენი თავი უნდა მიგვაჩნდეს არა მხოლოდ სამართლის მსახურად, არამედ კანონის ფარგლებში სამართლიანობის მსახურადაც. და მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ შევძლებთ დავვისთ იხეთი პათოსით, რომ „უბრალო“ სამართალდარღვევას და „უბრალო“ გადაცდომას შევხედოთ იმ სერიოზულობით, რომელიც შეეფერება სწორედ ამ ნორმების, სწორედ ამ ფორმების სასუხისმგებელ დამცველებს.

საჭიროა მხოლოდ ერთი ფარაჩინა ქაღალდი. „საჭიროა აიძულოთ წავიდეს ყველაფერზე ამბობდნენ ხუთი წლის წინათ. დღეს შეიძლება მოხსენიოთ „ეპ. ენ იურიდიული კედანტურობა“. საჭიროა აიძულოთ წავიდეს ყველაფერზე“. იმის ნიშნები არა ჩანს, რომ ხელისუფლების რელიგია დაეშო, რომ სული განახლდა. არ არის სწორი ის გამოხატულება, რომ სამართლის უპატივცემლობა ახასიათებთ მხოლოდ მათ, ვინც მისგან იტანჯება. ვითომ მისგან არ იტანჯება მთელი სამართალი. ყველა ჩვენ. იურისტმა თავი უნდა იგრძნოს ადამიანის უფლებების დაცვის ისეთ უმაღლეს ლიგაში, რომელიც ყველა პარტიაზე მაღლა დგას. მათ უნდა აერთიანებდეთ აღშფოთების გრძნობა სამართლის უკველი დარღვევის მიმართ. მიუხედავად იმისა თუ ვინ, ვისთვის და ვის წინააღმდეგ ჩაიდინა ეს დარღვევა. ეს უნდა კეთდებოდეს არა მხოლოდ დაზარალებული პირის დასაცავად, არამედ დაზარალებული სამართლის დასაცავად, რომლის სიწმინდის მსახურადაც გვევლინება იურისტი.

ჩერ კიდევ მთლიანად არ არის ჩამოყალიბებული მუშათა კლასის მართლშეგნება. ამჟამად, ისტორიის შესახებ მატერიალისტური თვალსაზრისი ცალმხრივად გამოკვეთავს, რომ შესაბამისი მართლწესრიგი წარმოადგენს „მხოლოდ და მხოლოდ“ კლასობრივ ბრძოლაში ძალების შესაბამის ურთიერთობას.

ამასთან არ უმატებს, რომ სამართალში, კლასობრივი ბატონობა აისახება სარკისებურად, სამართლის ფორმა, რომელსაც კლასობრივი ინტერესი აფორმებს, განვითარებას აგრძელებს თავისი კანონებით. ამასთან, სრულიად შესაძლებელია, რომ ის განვითარდეს იმ კლასობრივი ინტერესის საწინააღმდეგოდ. რომლისგანაც დავადებულთა თავისი წარმოშობის გამო, თავისუფლება, რომელსაც კვლავ ჩაბარდა კაპიტალი, სამართლებრივ ფორმაშიც რომ იყოს გადაყვანილი. აუცილებლად სასარგებლო იქნება მშრომელებისათვის.

კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში, თუ ფორმალური დემოკრატია, ამომჩვევლთა ბიულეტენების დემოკრატია, ნამდვილად წარმოადგენს კაპიტალისტური კლასობრივი სახელმწიფოს ახალ სამართლებრივ ფორმას, ის იმავდროულად გარდაუვლად გახსნის შესაძლებლობას, სამართლის ფორმის საბით, კანონიერ საფუძველზე, ამომჩვევლთა უმრავლესობის გზით „პროლეტარიატის დიქტატურის“ დასამყარებლად. ამით თანდათანობით შეიცვლება კლასობრივი სახელმწიფო სოციალისტური საზოგადოებით. ამგვარად, კლასობრივი ინტერესი ვერ შეძლებს სამართლის ფორმის გამოყენებას ისე, რომ არ აღმოჩნდეს მისი გავლენის ქვეშ. ესაა ძალა და ღირსება სამართლის ფორმისა, რომელიც თუმცა კლასობრივ ინტერესებზეა დაშორებული, მაგრამ არ ემორჩილება მას. ამით ის იმსახურებს პატივისცემას. თუმცა იმსახურებს კი რაიმე პატივისცემას ამ არასრულყოფილ სამყაროში. სამყაროში, რომელიც ნებას იძლევა, რომ განხორციელდეს არა იდეალი, არამედ მხოლოდ მისი საშინელი მიწიერი აჩრდილი.

ერის მართლშეგნება წარმოადგენს ამ ერის ისტორიის შედეგს. გერმანიის ავტორიტარული სახელმწიფოში ხალხი და ხელისუფლება, ხალხი და სამართალი მთლიანად იყო გაშიჯნული. ობიექტური სამართალი, მართლწესრიგი გვევლინებოდნენ როგორც სახელმწიფოს მოვალეობა, ხოლო პიროვნების ინტერესი წარმოადგენდა მის სუბიექტურ უფლებას, მხოლოდ მის პირად უფლება-მოხილებას.

საფრანგეთში და ამერიკაში, სადაც განასახიერეს სამართლის რევოლუციური იდეის ხორც-შესხმა, უყვართ ამ სახელმწიფოების აკანთან მდგომი სამართლის იდეა. ასევე უყვართ თავისი საშობლო, რომელიც აღორძინდა სამართლის იდეის წყალობით.

სახელმწიფო ყველაზე ხშირად ებება ისეთ ელემენტებს, როგორცაა: შინა და ხალხი და ეფუძნება ისეთ გრძნობებს, როგორც სამშობლოს სიყვარული და ნაციონალური თვითშეგნება. ფრანგული და ამერიკული პატრიოტიზმი ეფუძნება აგრეთვე მესამე ელემენტს — უფლებას. ფრანგისა და ამერიკელისათვის ადამიანის უფლებაა. მოქალაქის უფლება წარმოადგენს სამშობლოს ნაწილს. დემოკრატიული მართლშეგნება იქ გაუწყვეტელ კავშირშია სამშობლოს სიყვარულთან.

რაც შეეხება ინგლისს. იქ მართლშეგნებას გააჩნია სხვა ფორმა. საფრანგეთსა და ამერიკის მსგავსად ის არ არის დაფუძნებული საერთო სამართლებრივ პრინციპებზე და არ მიიღება, როგორც ამ პრინციპების განსახიერების ნიმუში. საკუთარი მამულიც კი არ მიიღება ამ პრინციპების განსახიერების ნიმუშად. უფრო მეტიც იქ მართლშეგნება ამოდის საკუთარი კონკრეტული მართლშეგნების უნიკალური და შეუდარებელი თავისებურებიდან. ამაში ვხედავთ გერმანელი საზოგადოების სულს, რომელიც აგრძელებს ცხოვრებას ასეთ ანგლოსაქსურ კოლექტივიზმის გრძნობაში.

იურისტს დაკისრებული აქვს არა მხოლოდ სახელმწიფოსა და სამართლის სამსახური, არამედ უფრო დიდი მისია — საერთო კულტურის სამსახური.

იურისტის სამუშაო ეს არის გონებრივი სამუშაო. ესაა ბნელი ქაოსური ადამიანური ურთიერთობების დაუფლება ზუსტი იურიდიული გაგების მეშვეობით. იურისტი გვევლინება ინტელექტუალისტად, ხოლო ინტელექტი მკვეთრად ანათებს ყრუ, შეუღწეველ დაშაყებულ ცხოვრებაში და ამსუბუქებს მას. ჩვენ არასოდეს ისე არ დაგვირდება გონებისათვის ნუგეშისცემა, როგორც ჭერ კიდევ წინ გასასვლელ ათწლეულებში. როდის იქნება, რომ დახლართული ცხოვრება, ისევე როგორც რევოლუციის სიცოცხლისუნარიანობა, აღმოჩნდება ჩვენს უკან და მსგავსად ცივი სუდარისა დაფარავს ჩვენს საკიროებას ისე, როგორც კუბოს მძიმე სახურავი, მაშინ კი გამოჩნდებიან წინასწარმეტყველნი, რომლებიც ნაცვლად სიბნელისა განადიდებენ სინათლეს, ნაცვლად შიწიერი ბნელი ინსტიტუტების სიმძიმისა, აღავლენენ სულის სიმზიარულეს, განადიდებენ გონებას ცხოვრების ნაცვლად. თითქოსდა თვითონ გონება არ წარმოადგენდეს ცოცხალ ყოფას. თითქოს თავდაპირველად შემეცნება არ ნიშნავდეს ცხოვრების დაპყრობას ცხოვრებისათვის. თითქოს მისი გარკვეულობის ხარისხი განსაზღვრავს განლაგებას მონადის სულის სამყაროში. გოეთეს ბებრულმა სიბრძნემ მიიერთა ლიბინციის ინტელექტუალიზმი. მათ შორის გაბედულად დგას დიდი ინტელექტუალისტი ლესინგი. ლესინგს რომ თავისი სულის აუზნადაც ნაწილით დაეარსებინა ახალი გერმანული სამართლებრივი მეცნიერება, დღეისათვის მას შევხვდავდით ალბათ სრულიად სხვანაირად. თუმცა სულერთია, ლესინგი დარჩება სწორედ ჩვენთვის, იურისტებისათვის ნიმუშად. შევიძინოთ ლესინგის სული, ბნელეთის მოციქულის სულის ნაცვლად — აი, რაში მდგომარეობს თქვენი კულტურული მისია, თქვენი, ახალგაზრდა იურისტებო. თუ სულის მსახურები შებილწავენ სულს, მაშინ თქვენ, ახალგაზრდა იურისტებო, შეიცანით ის. გაბედული აზრით თქვენ შეაშინებთ სულის სიმძიმეს.

თქვენ, ახალგაზრდა იურისტებო!

გერმანულიდან თარგმნეს გიორგი დეჟავამ და ვალერი გრიგალაშვილმა.

აკთაინდილ ვულუკიანი

## სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით „ბჭე“ — „ბჭობა“, არის „გამორჩეული მოჩივართაგან გასასინჯავად ცილობისა მათისა, მოსამართლე, მედიატორი“, „ბჭობა“ (ვბჭობ) არის „სამართლობა, გაბჭობა“<sup>1</sup>.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით „ბჭე“ სადაო საქმის გამ-რჩევს, მოსამართლეს ნიშნავს, „ბჭე არის სადავო საქმის განსახილველად არ-ჩეული მოსამართლე, — მედიატორე“<sup>2</sup>.

ეს ტერმინი ასეთივე მნიშვნელობით არის ახსნილი ქართულ ადრინდელ წყაროებში, აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. აღსანიშნავია, რომ საბასთვის ყველაზე დიდი საბუთი „ვეფ-ხისტყაოსანია“, ხოლო დ. ჩუბინაშვილისათვის ალ. ყაზბეგის შემოქმედება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტერმინს XII საუკუნიდან XIX საუკუნემდე თითქმის არ განუცდია შინაარსობრივი ცვლილება.

სვანეთი ამ ტერმინს საერთოდ არ იცნობს, რაც ალბათ ენობრივ განსხ-ვაკვებულობას უნდა მიეწეროს, მაგრამ სვანური სიტყვა „მორევე“ ხომ იგივე შინაარსის შემცველია. განსხვავება შეიძლება მხოლოდ შემდეგში ვიპოვოთ: თუ საქართველოს სხვა კუთხეებში ბჭე ან მედიატორი ძირითადად სამოქალაქო ან საოჯახო საქმეების გამორჩევად გვევლინებოდა, სვანეთში მორვარს ექვემ-დებარებოდა ყველა საქმე, სისხლის სამართლის იქნებოდა იგი თუ სამოქა-ლაქო.

ბჭეობის ინსტიტუტს ეხება ვახტანგის სამართლის წიგნიც, სადაც ერთმა-ნეთისაგანაა განსხვავებული ბჭე და მოსამართლე. ამ წიგნის 415-ე მუხლით საჩივარი ბჭემ უნდა დაისწავლოს და უამბოს კიდევაც მეორე მხარეს. მოსა-მართლე კი ამავე წიგნით „დიდად მჩხრეკელი, მიმზუდარი, საქმის გამსინ-ჯავი“ უნდა იყოს, საჩივარი რომ არ დაავიწყდეს, მდივანმა უნდა დაწეროს და სხვა.

ბჭე-მედიატორის საკითხს ეხება ლეონტი მროველიც, რომელიც წერს, რომ ქართლოსანთა შორის არავენ იყო „უწარჩინებულეს“. მხოლოდ მცხეთის მამასახლისი „იყვის მაზავებელი და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა“. მისივე აზრით, ბჭეობის ინსტიტუტი, როგორც შუამავლის, მაზავებლის როლის შემ-სრულებელი, წინ უსწრებს ფარნავაზის გამეფებას და საერთოდ, წინაკლა-სობრივ საზოგადოებაში იკიდებს ფეხს.

<sup>1</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 158.

<sup>2</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1968, გვ. 218.

როგორც აღვნიშნეთ, ბჭე-მედიატორის სვანეთში უწოდებენ „მორვე“ ანუ „მორვარ“ და გარკვეული შეზღუდვების გარდა, ქვემდებარეობით ყოველგვარ საქმეს განიხილავენ. დიახ, აქ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს საუკუნეების მანძილზე სწორედ მორვარები აწარმოებდნენ. ამიტომ ცხადია, რა დიდი პასუხისმგებლობა და როლი ეკისრებოდათ მოდავე მხარეთა მიერ არჩეულ ამ უანგარო და ადათის მცოდნე პირებს.

მორვარს ირჩევდნენ სისხლ-მესისხლეობის ან სადაო ურთიერთობის მონაწილე მხარეები იმის მიხედვით თუ რა სიმძიმის, მნიშვნელობის ან შინაარსის შემცველი იყო განსახილველი საქმე. მორვარების რიცხვი საქმის შინაარსის (სისხლის თუ სამოქალაქო) გათვალისწინებით დადგენილი იყო ჩვეულების მიხედვით ან დამოკიდებული იყო მხარეთა ნებასურვილზე. მათი რაოდენობა უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ ორისა და არა უმეტეს თორმეტისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უნდა გადაწყვეტილიყო რაიმე დიდი მნიშვნელობის საქმე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მორვარების რიცხვი ოცამდე ან მეტად გაზრდილიყო.

თავისუფალ სვანეთში მორვარს თანაბარი რაოდენობის მოდავე მხარეები ირჩევდნენ. არჩეულებში შედიოდნენ როგორც მოდავეთა ნათესავები, ასევე გარეშე პირებიც. როგორც ჩანს, ეს პრინციპი მიკერძოების თავიდან აცილებას ემსახურებოდა.

საბატონო სვანეთისათვის (ბალს ქვემოთ) ასეთი რამ თითქმის უცხოა, რადგან საქმის გარჩევის თითქმის ყველა შემთხვევაში ადათი სავალდებულოდ ხდოდა მორვარების მიერ ფიცის მიღებას, რათა მათ სწორი სამართალი გაეჩინათ. ამასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მედიატორებად (მორვარებად) ირჩეოდნენ ავტორიტეტისანი და ღვთისმოდშიში პირები, ბუნებრივია, მიკერძოება მაქსიმუმამდე გამოირიცხებოდა.

მკვლევლობის ან სხვა მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევის დროს მხარეები ირჩევდნენ თითოეულისაგან ექვს-ექვს მსაჯულ-მედიატორს, ხოლო სხვა დანაშაულობებზე, როგორცაა: დაჭრა, სხვისი დანიშნულის ან ცოლის წაგვრა, დასახიჩრება — სამ-სამ კაცს თითოეული მხრიდან; ქურდობის, ცილისწამების, შეურაცხყოფის და სხვა დანაშაულთა გასარჩევად ირჩეოდა ორ-ორი კაცი.

არჩეული მედიატორები, თავის მხრივ, იწვევდნენ მათზე უფრო ხანშიშესულ, ადათის მცოდნე და გამოცდილ პირს, რომელსაც უფროსი მედიატორეს, სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარის როლი ეკისრებოდა. თავისუფალ სვანეთში უფროს მედიატორს უწოდებდნენ „მუწვერის“, ხოლო სადადეშქელიანოში — „ნენსგაშ მეგნეს“. საბოლოოდ არჩეულ მედიატორებს, რომლებიც დაზარალებულის და დამნაშავის მხრიდან ეთანაბრებიან ერთმანეთს, ემატებოდათ უფროსი მედიატორე (თავმჯდომარე).

როგორც წესი, მუწვერი ანუ ნენსგაშ მეგნე მედიატორთა შორის უპირატესი უფლებებით სარგებლობს. იგი მოვალეა არ ჩაერიოს მორვართა შორის წამოჭრილ დავაში. ხელი არ შეუშალოს მათ კამათს, ბოლოს კი შეაჯამოს ყველას აზრი და მოახსენოს სამედიატორო სასამართლო შემადგენლობას თავისი შეხედულება გასარჩევი საკითხის ირგვლივ. წინააღმდეგობის შემთხვევაში, რაც სვანურ სინამდვილეში ძალზე იშვიათია, გადაწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა უფროსი მედიატორეს ხმას. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ,

შეუძლია ქონებრივი საზღაურის განსაზღვრის დროს რამდენადმე შეამცირებინა ან გააღიძოს დაზარალებულის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა ან ქონება. თავისუფალ სევანეთში უფროსი მედიატორეს, მუწეგრის არჩევის პრეროგატივა ეკუთვნის დაზარალებულის მხარეს, რომელსაც აგრეთვე უფლება აქვს შორვართა შორის ჰყავდეს მისი მხრიდან ორი ან სამი კაცით მეტი. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია და საქმის ობიექტური განხილვისათვის ხელისშემშლელი უპირველესი პირობაა.

მედიატორები ირჩევიან ყველა საგანგებო შემთხვევისათვის. საზღაურად იღებენ თითო „ლერქვაშს“<sup>3</sup>, რაც ეთანაბრება სამ მანეთს და თითო მანეთს „ნანბანირ“<sup>4</sup>. ლერქვაშს იღებენ მორვარები განაჩენის, ღედის<sup>5</sup> გამოტანის შემდეგ, ოღონდ მის გამოცხადებამდე. ნანბანირს (ნაბან) — კი მას შემდეგ, როცა მორვარები შეკვეციებენ მხარეებს, რომ ისინი სწორ სამართალზე გაივლიან. თუ მკვლევლობასთან ან სხვა მსგავს დანაშაულთან გვაქვს საქმე, მორვარები სისხლის საურავის (წორის) წამლებისაგან იღებენ „ათის თავს“ ე. ი. დაზარალებულის სასარგებლოდ მისჯილი ყოველი ათი მანეთიდან — ერთ მანეთს. კომპოზიციითა თუ რა სისტემა არსებობდა და რა სანქციები იყო გამოყენებული, ამას ჩვენ გზადაგზა შევეხებით.

მორვარს ხალხი დიდი მოწიწებით ეპყრობოდა და დიდად აფასებდა, როგორც „საღმრთო პირთ“.

„მორვარ ღერთემ ნაწეს ლიხ“ — მორვარები ღმერთის გაჩენილნი არიანო, ამბობდა ხალხი.

ვიდრე მხარეები მორვარს აირჩევდნენ, უნდა მომხდარიყო მხარეთა დაყაბულება შერიგებაზე, ე. ი. ორივე მხარეს სურვილი უნდა გამოეთქვა, რათა მორვარების საშუალებით მიეღწიათ მორიგებისათვის. ეს საკითხი წყდებოდა საზოგადოებაში ავტორიტეტისანი და პატიოსანი წევრების მიერ, რომელთაც მოცქვილები (მოცქვილარ) ეწოდებოდათ.

მოცქვილები მოისმენდნენ ორივე მხარისაგან სარჩელს და პასუხს შერბილებული სახით გადასცემდნენ მოწინააღმდეგე მხარეს.

მოცქვილების ასეთი დიპლომატიური მიდგომით, მხარეები იშვიათად თუ იტყოდნენ უარს შესარიგებლად მედიატორის არჩევაზე. ხშირად მოცქვილი და შემდეგში მედიატორად არჩეული პირი ერთი და იგივე იყო, სხვა შემთხვევაში კი მოცქვილები შერიგებაზე თანხმობის მიღწევის შემდეგ ეთიშებოდნენ პროცესს.

არჩეული მედიატორები საქმის გარჩევის დაწყებამდე მოდავე ან გადამტერებულ მხარეებთან ერთად აუცილებლად უნდა წასულიყვნენ ეკლესიაში ხატზე დასაფიცებლად.

მოდავენი ვალდებულნი არიან დაიფიცონ ხატზე, რომ მედიატორების მიერ გამოტანილ ღედს უყოყმანოდ დაემორჩილებიან. მედიატორები კი თავის მხრივ ხატზე იმას იფიცებიან, რომ მრუდედ არ გადაწყვეტენ საქმეს და ისევე მიუდგებიან სადაო საკითხს, როგორც დავას საკუთარ შვილებს შორის.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ორი სახის ფიცის მიღება ხდება ეკლესიაში:

<sup>3</sup> „ლერქვაშ“ — ნიშნავს ცალი ტანისამოსის საღირასს (3 მან.).

<sup>4</sup> „ნანბან“ წარმოდგება ქართული შესატყვისი სიტყვისაგან „ნანბანი“. პირველ ხანებში ხატს დაბანდნენ წყლით და დასაფიცებელს შეასმევდნენ. აქედან წარმოდგება „ღეტყვა“.

<sup>5</sup> „ღედ“ — სევანურად ნიშნავს განაჩენს, გადაწყვეტილებას ან ორივეს ერთად.



1. მორვარების ფიცი, რომ სამართლიანობის საფუძველზე გადაჭრის საქმეს;

2. მხარეების ფიცი, აღიარონ სიმართლე და უყოყმანოდ დაემორჩილონ გამოტანილ განაჩენს.

ეხებიან რა ფიცის მიღების სახეებს, სვანურ სამედიატორო სასამართლოში, რ. ერისთავი, მ. კოვალევსკი და სხვა ავტორები, რატომღაც გვერდს უვლიან ზემოთმოყვანილი ფიცის სახეებს და ფიცად მიიჩნევენ მხოლოდ საქმის გარჩევის ბოლო სტადიაზე მხარეთა შორის მიღებული ერთგულების, თანასწორობის და სხვა სახის ფიცს.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე უცვლელად მოვიტანოთ ტექსტი ე. წ. „გარცამისა“, რომელსაც მხარეთა და მორვარების მიერ ფიცის მიღების დროს ერთ-ერთი ნეიტრალური პირი (მღვდელი ან ის, ვისთანაც ეკლესიის გასაღები ინახება) წარმოთქვამს მიღებული ფიცის განსამტკიცებლად.

ეს პირი, წარსდგება რა შეკრებილი ხალხის წინაშე, მოისხენიებს ჯერ მაღალ ღმერთს, შემდეგ იმ ხატს, რომელიც მის წინაშეა და შესთხოვს ღმერთს, როგორც ყოვლად ძლიერ, სწორ და მართალ მსაჯულს, რომ ხელი მოუშარტოს მორვარებს სწორი სამართლის გაჩენაში. შემდეგ ხატს ხელში აიღებს და წარმოთქვამს: „დიდება და მადლი შენ, ქრისტე მაცხოვარო! გთხოვ და გვედრები. ისმინე ჩემი ხვეწნა-მუდარა!“

უკეთუ არჩეულმა მედიატორებმა საჩივრის და პასუხის მოსმენის შემდეგ რომელიმე მხარე დაამდაბლეს ან აამაღლეს, არ მიაჩნეს ის, რასაც ჩვეულება და სწორი სამართალი მიაჩნებდა, არ გადაჭრეს საქმე ისე, რასაც ასეთივე შემთხვევაში თითოეული მათგანი დაჯერდებოდა, მაშინ „აღგავე პირისაგან ქვეყნისა, მათ შთამომავალს საშველს ნუ მისცემ, ამოწყვიტე ძირ-ბუდიანად; ავი სნეულების და ფათერაკის მეტს ნურას მოუვლენ; ლაილის მყინვარი სანთელ-საკმეველად აქციონ, იესო ქრისტე თავისი თორმეტი მოციქულით მწირველად იშოვონ, სეფისკვერი იერუსალიმიდან მოტანილი ფქვილისა გამოგიცხონ, იქიდანვე მოტანილი ღვინო ზედაშედ მოგიტანონ; რამდენიც მიწიდან ბალახი ამოდის, ზღვაში ქვიშაა, ზეციდან წვიმა და თოვლი მოდის, იმდენი ოქროს რქოსანი ხარი ზვარაკად შეგწირონ, მაინც ნუ შეუდობ, შეაჩვენე ისე, რომ შათი რძალი და ასული გველსა და ბაყაყს შობდნენ“.

გარცამის წარმოთქმის შემდეგ მედიატორები რიგრიგობით მიდიან ხატთან, ხელს ჰკიდებენ და წარმოთქვამენ: „ეფიცავთ, რამდენადაც მივხვდებით, ჭეშმარიტ სიმართლეზე გავივლით“.

ამ ფიცის რიდით თუ შიშით სვანეთში ძნელი იყო მორვების შოვნა. სვანა ფიქრობდა: „ვაითუ ჩემი მიუმხვდარობით საქმე უსამართლოდ გადაწყვიტო და ფიცი შეებღალოო“. „ამ დაბრკოლების ასაცილებლად, — წერს ბ. ნიჟარაძე, — სვანეთში არსებობს ერთი წესი: მორვარის მძებნელი იშოვის რაიმე საეკლესიო ნივთს, თუნდაც საყდრის კლიტეს, შევა იმ სახლში, სადაც ეს კაცი ეგულება და როგორმე შეეცდება ხელი მოაკიდებინოს ამ ნივთზე, რის შემდეგაც უარის თქმა „მორვარობაზე“ ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ამით

<sup>6</sup> ლაილა მთა სვანეთში.

<sup>7</sup> გარცამის ტექსტი ჩაწერილია ხალხში მოპოვებული მასალიდან და შეკრებულია ბ. ნიჟარაძისეულ ტექსტთან. თვით სიტყვა „გარცამ“ არ ითარგმნება. ზოგადად უსამართლობის შეჩვენებას ნიშნავს.

სვანი ღვთის რისხვას დაიმსახურებდა“<sup>8</sup>. მორვარები ღვთისაგან გაშვებულ ამიტომაც ამბობს სვანი კაცი.

მედიატორების ფიცის შემდეგ მოდავე მხარეები იღებენ ფიცს, რომ საქმის ირგვლივ მორვარებს მოახსენონ მხოლოდ სიმართლე და დასჯერდებიან იმას, რასაც ისინი გადაუწყვეტენ. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ მოსარჩელე-მოპასუხის თითო წარმომადგენლის (იქნება ეს ოჯახის მახვში<sup>9</sup> თუ სხვა სრულწლოვანი წევრი, რომელსაც ნდობა ექნებოდა მოპოვებული) გარდა არავის შეეძლო რაიმე სარჩელი წარედგინა მედიატორეთათვის. ოჯახის სხვა წევრებს ან ახლო ნათესავებს მხოლოდ ფიცმილებულის მეშვეობით შეეძლოთ შეეტანათ რაიმე არგუმენტი სამედიატორო საქმის წარმოებაში.

მცირე მნიშვნელობის საქმეებზე მედიატორების ფიცის მიღება არ ხდებოდა. საქმე წყდებოდა მათი შეხედულებისა და სინდისის კარნახით. ეს გარემოება დასტურდება „სვანეთის საისტორიო ძეგლების“ მიხედვითაც. ამ ძეგლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „...ლენჯერის მონადირენი და ჩვენ სეტიელნი წავეკიდენით სანადიროსა ზედა. მერმე მოუყარეთ მოურაუნი საჯერონი მოგვაწყვეს ამა პირსა ზედა“...<sup>10</sup>

სხვა საბუთებში ხშირად მეორდება: „მერმე გვიურვეს ფიცებულთა მოურავთა“<sup>11</sup>, „...მერმე მოუყარნეთ მართალნი ფიცებულნი მოურავნი, გაგვიჩინეს და მიურვე, რომლითა დაგჯერდი“<sup>12</sup> და სხვა. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში ლაპარაკია „მართალ საჯერო“ მორვარებზე, მეორეში კი „მართალ ფიცებულებზე“ ე. ი. უკანასკნელთ. როგორც ზემოთ აღვწერეთ, ფიცი აქვთ მიღებული საქმის მიუკერძოებლად და სწორად გადაწყვეტაზე, ხოლო პირველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმის ვიწრო მნიშვნელობის გამო ფიცმილებელი პირები არჩევენ საქმეს.

დასახელებულ ძეგლებში უამრავი საბუთია, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ მორვარები განიხილავდნენ არა მხოლოდ გვაროვნული შუღლის და სამოქალაქო დავის საქმეებს, არამედ ცალკეულ თემთა, საზოგადოებათა შორის წამოჭრილ უთანხმოებებსაც. ასევე ხშირად სისხლის საურავს იხდის ან იღებს არა რომელიმე პირი, არამედ მთელი საზოგადოება, რაც ცხადია, საერთო მტრის წინაშე კოლექტიური ვალდებულების და პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს. კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს კი ადათი, როგორც წესი, ადგენს დროისა და სისხლის ადების უფლების მქონე პირთა შეუზღუდავად.

ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის არჩეული მორვარების კომპეტენციას ეკუთვნოდა ყველა საქმე, იქნებოდა ეს სისხლ-მესისხლეობის თუ სხვა სადაო რამ, მაგრამ თუ ნათესაური და ტერიტორიული ერთეულის ინტერესების დაპირისპირება წამოჭრიდა ალტერნატივას ხევის ინტერესი ყოფილიყო დაცული თუ ნათესაური გაერთიანებისა, მაშინ მორვარები თავს იკავებდნენ და საქმეს წყვეტდა სახელო მმართველობის აპარატი, ხევის სახალხო კრება

<sup>8</sup> ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები 1964. II ტ., გვ. 95.

<sup>9</sup> მახვში სვანურად უფროსს ნიშნავს.

<sup>10</sup> ბ. ინგოროყვა, „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, საბ. 21.

<sup>11</sup> იქვე, საბ. 39.

<sup>12</sup> იქვე, საბ. 42.

„ლუხორ“ ანუ „ლალხორ“, რომელსაც ხალხისაგან ამორჩეული მახვში (ხევის-თავი) მართავდა.

მმართველობის ასეთი აპარატი მახვშის ხელმძღვანელობით შენარჩუნებული იყო 1869 წლამდე, ვიდრე რუსული მმართველობა არ შემოვიდა. სწორედ რუსულმა „სასოფლო წესდებამ“ დაამკვიდრა „მამასახლისობა“ მახვშობის ნაცვლად. სვანეთის პირველ პრისტავად დაინიშნა სვიმონ ამირეჯიბი. მის დროს, სვანეთში ყველგან, მახვშებს დაერქვათ მდივანბეგები, ხოლო მეორე პრისტავის — ჯორჯაძის პერიოდში კი დიამბეგები<sup>13</sup>.

ბუნებრივია, რუსული წესების შემოღებამ მახვშების კომპეტენცია და ფუნქციები შეცვალა. 1869 წლამდე, სანამ ახალი წესები შემოვიდოდა, მახვში გვევლინება როგორც ყველა საქმის მოთავე, სასიცოცხლო და სადაო ურთიერთობათა მოგვარების ინიციატორი. ამ პერიოდამდე მხარეები მახვშს მიმართავდნენ თხოვნით, ეთავა მათი საქმის კეთილად დამთავრება. თუ მოპასუხე-მომჩივანნი თანახმანი არ იყვნენ შერიგებაზე, მახვშს და მის ამორჩეულ რამდენიმე პირს უნდა დაეყაბულებინათ ამაზე. წინააღმდეგობის შემთხვევაში მახვშს შეეძლო დახმარებისათვის მიემართა ხევის სხვა წევრებისათვის და იძულებით შეერიგებინათ მხარეები. თუ მახვში თავისი მსლებლებით ვერ ახერხებდა მიზნის მიღწევას, მოდავე მხარეები ხალხის გულისწყრომას იმსახურებდნენ. საქმის შემდგომ ბედზე უნდა ეზრუნათ მედიატორებს, რომელთაც, ასევე, მახვშობის გაუქმებამდე მახვში ხელმძღვანელობდა.

სვანეთის სხვადასხვა საზოგადოებებში მმართველობის აპარატს სხვადასხვა სახელი ერქვა. „ლუხორ“ ანუ „ლუხორ“ თავისუფალ და საბატონო სვანეთში და „სახევ“—სადადიანო სვანეთში. ეს აპარატი გარკვეული წესით ზღუდავდა მედიატორული სასამართლოს წარმოებას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საქმის გადაწყვეტა იმავე წესით ხდებოდა, როგორც მედიატორები წყვეტდნენ. მთლიანად სვანეთის ყველა თემთა ანუ საზოგადოებათა ყრილობას, შეკრებას ერქვა „შვანეშ ხევობ“ ანუ „სვიმრობ“<sup>14</sup>. ამ ყრილობის უფლებები მთელ სვანეთზე ვრცელდებოდა, იგი უმაღლეს ინსტანციად ითვლებოდა სვანურ წეს-წყობილებაში. ლუხორის ანუ ლუხორის უფლებები შემდეგში გამოიხატებოდა: აყრიდა მოსახლეს, სახლ-კარს გადაუწვავდა ერთ ან რამდენიმე ოჯახს, განსაკუთრებით მავნე პირთ დასჯიდა სიკვდილით. გარდა ამისა, სასოფლო ყრილობა წყვეტდა: სამტროდ წასვლის, დაბეგვრის, შერიგების, სხვა საზოგადოებებთან კავშირის შეკვრის, გადასახადის ან დაჯარიმების საკითხებს. ყველა ამ საქმიანობას ახორციელებდნენ ყრილობაზე არჩეული მოხელენი. სამედიატორო სასამართლოს ქვემდებარე საქმეები შეეძლო ყრილობას თვითონ გაერჩია. ამდენად, მკვეთრი გამიჯვნა ლუხორსა და მედიატორეთა შორის საქმეების ქვემდებარეობის მხრივ არ არსებობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მედიატორე ან ნებისმიერი სხვა პირი ყრილობის განსახილველ საერთო საქმეში ვერ ჩაერეოდა.

საბატონო სვანეთში სადაო ურთიერთობაში ხშირად ერევიან თავადი და დეშქელიანები, თავისუფალ სვანეთში კი ადგილობრივი აზნაურები. თავადაზნაურობა ცდილობს იძულებით მოაწესრიგოს, თავის სასარგებლოდ წარმართოს დავები. წინააღმდეგობის შემთხვევაში, თუმცა იშვიათად, მაგრამ ბატონები

<sup>13</sup> რ. დ. ერისთავი, „სვანეთი“, 1886, გვ. 8 (რუსული გამოცემა).

<sup>14</sup> ე. გაბლიანი, „თავისუფალი სვანეთი“. 1927, გვ. 8.

დამნაშავეს დაატყვევებდნენ, ხუნდებს (სვანურად „ხულ“) დაადებდნენ და სპეციალურად ამისთვის მოწყობილ დილეგში ჰყავდათ გამომწყვდეული. თავადების მხრივ იგივე ბედი შეიძლება რგებოდათ კაცის მკვლელებს, მძარცველებს, ქურდებს და სხვა.

ასეთია ძირითადად სვანეთში არსებული სახევო მმართველობის აპარატის და თავადაზნაურობის ჩარევა იმ საქმეებში, რომელთაც წესისამებრ მედიატორები უნდა განიხილავდნენ.

მედიატორული წესით გარჩეული საქმე, როგორც წესი, გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მათ მიერ გამოტანილი „ღედ“ სავალდებულოა მხარეთათვის. იგივე წესი არსებობდა მახვშის ან ლუხორის მიერ გადაწყვეტილ საქმეებზე. გარჩეული საქმის ხელმეორედ მიღება სამსჯელოდ სირცხვილად ითვლებოდა და ვერავინ გაბედავდა ამას, ვიდრე ამ საქმესთან დაკავშირებით სხვა დანაშაული არ მოხდებოდა. ხეობის მართვის აპარატი დიდი უფლებებით სარგებლობდა, რაც გამოიხატებოდა სასჯელთა მკაცრ ზომებში. ხალხში დღემდე შემორჩა ისეთი ტერმინები, როგორცაა „ლეიყრელი“ (ასაყრელი), „ლეშუმფურილი“ (საშამფურია), „ლეშებილი“ (საშებეა) და სხვა. უეჭველია, რომ ეს ტერმინები შემუშავდა საზოგადოების მიერ დამნაშავე პირთა სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით. გადმოცემა დღემდე ინახავს სოფელ იფარში მომხდარ ერთ ამბავს: იფარელ ბიკო გულბანს შემოუხიზნია ვინმე აზნაური გელა დევდარიანი, რომელსაც სდომებია იფარელებზე გაბატონება. თავისუფლებას მიჩვეულ ხალხს ეს ბოროტი განზრახვა რომ გაუგია, გულბანისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია. გულბანი გამოუყვანიათ სახლიდან და მთელი ხალხის თვალწინ ანძაზე წამოუცვამთ.

მედიატორული წესით საქმის მოგვარება დამახასიათებელია არა მარტო სვანეთის შიგნით საზოგადოებათა და თემთა შორის, არამედ სხვა კუთხეების სასისხლო და სადაო საქმეებზედაც.

ცნობილი „ჯაფარიძეთა სიგელი“, რომლის მიხედვით ჯაფარიძეებს წორი გადახდათ რაჭის თავადების სასარგებლოდ. დადებულ იქნა იმერეთის მეფე სოლომონის მეთაურობით მედიატორული წესით საქმის განხილვის შედეგად. ასევე მულახში დევთგერ მურზაყულოვის მოკვლის შემდეგ შეიკრიბნენ ბალყარის და სვანეთის რჩეულნი თანაბარი რაოდენობით და მულახებს წორი დაეკისრათ ბალყარეთის თათრების სასარგებლოდ.

სამეგრელოს დადიანებსა და სვანეთის თავად კონსტანტინე დადემქელიანს შორის არსებული დავა საძოვარ მიწებზე, რომელიც მე-19 საუკუნის 50-იან წლებში წამოიჭრა, მედიატორებს უნდა გადაეწყვიტათ, რომ არა იმ დროს ატეხილი რუსეთ-თურქეთის ომი.

საქმის გასარჩევი ყველანაირი ხარჯი, მედიატორთა სამასპინძლო, ეკისრება იმ მხარეს, რომელთანაც მედიატორები მივლენ სარჩელის ან პასუხის მოსასმენად. არ იყო გამორიცხული, რომ მხარეთა ოჯახში სიარულს, ვიდრემდე სინამდვილე არ დადგინდებოდა, დასჭირებოდა რამდენიმე თვე. როცა მედიატორები ყველა გარემოებას დადგენილად მიიჩნევდნენ, ისინი უნდა განცალკევებულიყვნენ მოსათათბირებლად, რა მიზნითაც მიდიოდნენ სოფლის განაპირას ან სადმე უკაცრიელ სახლში, დარწმუნებული იმაში, რომ მათ თათბირს და შედეგებს ვერავინ მოისმენდა. შესაძლებელია, საქმის გარჩევის დღიდან განაჩენის მხარეებისათვის გამოცხადებამდე რამდენიმე დღე გასულიყო, მაგრამ განაჩენის გამჟღავნება ყოველად შეუძლებელი იყო. და

თუ ეს მოხდებოდა, ორივე მხარეს ხატზე მიღებული ფიციის ძალითაც რჩებოდათ უფლება მოეშალათ ყველა პირობა და არ დამორჩილებოდნენ განაჩენს. არ შეიძლებოდა აგრეთვე იმის გამყვანება, თუ რომელი მედიატორე, ნებით თუ უნებლიედ, რომელ მხარეს ემბრობოდა.

მედიატორეთა თათბირზე ასაკის მიხედვით რიგრიგობით გამოთქვამდნენ აზრს. იყო შემთხვევები, როდესაც პირველად მედიატორებს თავის აზრს მოახსენებდა ასაკით უმცროსი. ეს ნაკარნახევი იყო იმ მოტივით, რომ უმცროსი მედიატორე და მითუმეტეს, ვინც პირველად მონაწილეობდა საქმის გარჩევაში, არ დაჩვეულიყო მხოლოდ სხვების მოსმენას და არ მოქცეულიყო სხვისი აზრის გავლენის ქვეშ. შემდეგ დგება უფროსი მედიატორეს ჯერი. მან ანალიზი უნდა გაუკეთოს ყველას აზრს, მოიყვანოს წარსულში მომხდარი მსგავსი მაგალითები და თუ აზრთა სხვადასხვაობაა, მიემხროს უმრავლესობას ან სხვებისგან განსხვავებულად გადაწყვიტოს საკითხი. მისი ხმა ეთანაბრება ორ რიგით მედიატორეს ხმას. უფროსი მედიატორეს (ნენსგაშ მაგნე) როლისა და ფუნქციის შესახებ არასწორი აზრია გამოთქმული ზოგიერთი ავტორის ნაშრომებში. მ. კოვალენკო და ვ. ივანიუკოვი წერენ: „ყოველი მედიატორი ემბრობოდა იმ მხარეს, ვინც აირჩია, ამიტომ შეუძლებელი იყო შეთანხმების მიღწევა. ამ შემთხვევაში მედიატორენი თავისი რიგებიდან აირჩევდნენ ერთ პირს, რომლის ხმა გადამწყვეტი იყო“<sup>15</sup>.

ავტორთა აზრით, თითქოს მედიატორეთა შეთანხმების მიუღწევლობის გამო ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ აერჩიათ გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე პირი, რა თქმა უნდა, სინამდვილე არ არის. უფროსი მედიატორეს არჩევა რსეთივე აუცილებელი იყო სვანურ სამედიატორო სასამართლოში, როგორც დღევანდელი სასამართლო სხდომისათვის — თავმჯდომარე. ვერც იმას დავეთანხმებით, თითქოს ყოველი მედიატორე მისი ამრჩევი მხარის ინტერესებს ეცავდა, რადგან ასეთი რამ აბსოლუტურად გამორიცხულია, როცა ნაფიც მედიატორებთან გვაქვს საქმე.

საიდუმლო თათბირის დამთავრების შემდეგ მედიატორები, იმ ადგილას, სადაც თათბირი მოხდა, ქვას ჩაფლავდნენ მიწაში, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მიღებული ღედ ან ნამორივ იყოს ქვასავით მტკიცე და ასევე მტკიცედ იყოს შენახული თათბირის შედეგები მის გამოცხადებამდე. სანამ თათბირი არ მომთავრებულა, არ შეიძლება რომელიმე მედიატორეს გამოძახება ცალკე რომელიმე მხარის მიერ. თუ რაიმე სათქმელი დარჩათ, მოსარჩელე-მოპასუხეს, თათბირის ადგილას უნდა მივიდნენ და ყველას თანდასწრებით მოახსენონ სასამართლოს, ოღონდ მაშინვე უნდა დატოვონ მედიატორების სამყოფი ადგილი. ამ პროცესის დამთავრების კვალობაზე, მედიატორები რომელიმე სხვა პირის მეშვეობით შეუთვლიან მხარეებს გამოცხადდნენ საყდარში ერთგულების ფიციის მისაღებად და ნამორივის მოსასმენად. სწორედ ამ სტადიაზე იღებენ მორვარები თავიანთ გასამარჯელოს — თითო ლერქვასს (3 მან.). უნდა ითქვას, რომ მედიატორები საქმის გარჩევის დაწყებიდან ხშირად სარგებლობენ სოფლის უხუცესის, უფროს კაცთა რჩევით ან თუ რაიმე წარსული მოვლენა, ან შემთხვევა იყო გასახსენებელი, მათვე დაკითხავდნენ, ოღონდ ხატის ქვეშ. რათა სიცრუე გამორიცხული ყოფილიყო. სვანეთში ძალიან იშვია-

<sup>15</sup> მ. კოვალენკო, ვ. ივანიუკოვი, „სვანეთი“, 1886, გვ. 6.

თად თუ გაირჩეოდა საქმე, სადაც მოწმეების ჩვენება არ იყო მტკიცების საშუალებად გამოყენებული.

ერთგულების ფიცის მიღებისათვის საყდარში უნდა გამოცხადებულიყო მხარეთა ოჯახების ყველა მამაკაცი 17 წლის ზევით, ასევე მათი საგვარეულოს ყველა ოჯახის თითო მამაკაცი.

საყდარში შესვლის წინ ყველა უნდა განიარაღებულიყო, დანაც კი არ უნდა ჰქონოდა ვინმეს. ეს წესი მტკიცედ იყო დაცული და არამც თუ თოფით და ხანჭლებით არ უშვებდნენ ეკლესიის კედლებს შიგნით, არამედ რკინის საკიდებიანი ქამრებითაც ეკრძალებოდათ იქ შესვლა.

საყდრის კარს შიგნით ორივე მხარეს ჩამწკრივებული მხარეები, მათი წამომადგენლები, მედიატორები ისმენდნენ „გარცამს“, რომელსაც, როგორც უკვე შევნიშნეთ, წარმოთქვამდა ეკლესიის მესვეური. იგი მორვარებს მიმართავს: „ღვთის გაჩენილნი კაცნი, თქვენ მოგეცათ განსასჯელად (მხარეებს დაასახელებს) საქმე, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, თქვენვე ფეხს ჩადგამთ იმ დიდ მადლში, რომელიც მოდავეებს შვებას მოუტანს. თუ თქვენ მიკერძობებით გადაწყვეტით საქმე, შეგაჩვენოთ სვანეთის სალოცავებმა, ნუ გელირსებათ ნაქურთხ მიწაზე დასაფლავება“ და ა. შ. მორვარები სათითაოდ მივლენ, ხელს მოკიდებენ ხატს და წამოიძახებენ: „ამენ! ვფიცავთ, რაც შეგვეძლო, სწორად განვსაჯეთ!“

იგივე პირი მხარეებს მიუბრუნდება: „თუ რომელიმე თქვენგანმა ნაფიცი საჯერო მორვარების გაჩენილი სამართალი არ ჩათვალთ საყდრისად და არ შეასრულოთ ისე, როგორც ისინი მოგახსენებენ, თქვენ და თქვენს მომავალს ავისა და ფათერაკის მეტი არაფერი გლირსებოდეთ.“

მხარეებიც იგივე წესით დაეთანხმებიან გარცამს და მორვარებს მიჰყავთ ისინი ერთიმეორესთან, ხელს ჩამოართმევენ და იწყება თანასწორობით ფიცის მიღება. ფიცის მიღება გამოიხატება შემდეგში: დამნაშავე პირი და მისი სახლობა გვარის წევრებითურთ შეპფიცებენ დაზარალებულ მხარეს, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში თვითონაც შეურიგდებოდნენ და არც მიაჩნიათ დაზარალებული დამცირებულად.

ამის შემდეგ დაზარალებული მოვალეა დაიჭიროს ხელში ხატი და დაიფიცოს, რომ თვითონ, მისი სახლი და შთამომავლობა არასოდეს არ უხსენებს მოცემულ საქმეს, ხოლო თუ მეორე მხარე იქნება ერთგული, თვითონაც უერთგულებს. თავის მხრივ დამნაშავე მხარეც შეეფიცება ერთგულებაზე და ამით მთავრდება ეკლესიაში ჩასატარებელი პროცესი. თავყრილობა, რომელიც ეკლესიაშია, უკლებლივ მიემგზავრება დამნაშავის სახლში, სადაც ყველას თანდასწრებით გამოცხადდება განაჩენი და იმართება დიდი პურობა. ჩვეულება არ კრძალავს განაჩენის გამოცხადება მოხდეს ეკლესიაში ერთგულების ფიცის მიღების შემდეგაც. ამ მომენტიდან მედიატორები ამთავრებენ თავის როლგაწივას. გამონაკლის შემთხვევებში კი მედიატორეთაგან გამოიყოფა რამდენიმე მათგანი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, ან მხარეები ნებაყოფლობით ასრულებენ მას.

სვანეთში ძალიან იშვიათად თუ მომხდარა შერიგებულ მხარეთა შორის მტრობა ან დავის განახლება, რადგან ხალხი დიდად პატივსაცემ პირებად თვლიდა მორვარებს და ასევე უფრთხილდებოდა მიღებული ერთგულების

ფიცს. თუ ოდესმე დამნაშავე მხარის ოჯახის წევრი ან ნათესავი უსაყვედურებდა რაიმეს დაზარალებულს, მიღებული ფიცი და ჩვეულება უფლებას იძლეოდა მოშლილიყო გარიგების ყველა პირობა სისხლის ასაღებად ან შურისსაძიებლად.

დამნაშავის ოჯახში გამართული ნადიმის დროს დაზარალებულის შვილები ან შვილიშვილები უნდა მონათლულიყვნენ დამნაშავის ან მისი მშობლების მიერ და პირიქით. ნათელმირონობა სავალდებულო იყო მეორე მხარისათვისაც.

**ექვმიტანილთა სამედიატორო საქმეთწარმოება.** ახლა განვიხილოთ საკითხი თუ როგორ არჩევდნენ მედიატორები საქმეებს მაშინ, როდესაც, მართალია, ცნობილი იყო მომხდარი ფაქტი, დანაშაული, მაგრამ დამნაშავე პირი ჯერ საზნებზე არ ჰყავდათ. იყო მხოლოდ ეჭვი რომელიმე პირისადმი. ცხადია, ასეთ დროს საქმის გარჩევაც სპეციფიკური იქნებოდა.

როგორც წესი, საქმის გარჩევის საწყისს კვლავ მოცქეილები წარმოადგენდნენ. დაზარალებული მხარე ექვმიტანილთან გააგზავნიდა მოცქეილებს იმის სათქმელად, რომ შენზე მაქვს ეჭვი და თავი იმართლე, თუ შეგიძლიათ. რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო საქმე, მით უფრო იზრდებოდა მოცქეილების რაოდენობა.

თუ მართალი იყო ექვმიტანილი და არაფერი იცოდა იმ საქმის ირგვლივ, რომელიც მას ბრალდებოდა. იმავე მოცქეილების პირით შეუთვლიდა, რომ მზად იყო თავი ემართლებინა.<sup>16</sup>

ექვმიტანილი მოვალე იყო თავისი სახლობისა და გვარის წევრების გარდა თანამოფიცრად აეყვანა გარეშე პირები. მკვლელობის დროს მათი რიცხვი თორმეტს აღწევდა, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეზე (მაგ. მკვლელობა გვამის დანაწევრებით, სახლის გადაწვა და სხვა), მათი რიცხვი 24-მდე აღწევდა. დაჭრის, დანიშნულის ან ცოლის წაგვრის, მკვლელობის მცდელობის, ქალის შეურაცხყოფის და სხვა შემთხვევების დროს საჭიროა რ თანამოფიცარი. ქურდობის, ცემის, ქალისთვის ნაწნავების მოჭრის დროს — 3, ხოლო წვრილმან საქმეებზე შესაძლოა—2 ან 1 თანამოფიცართაც დაკმაყოფილებულიყო დაზარალებული. როდესაც თანამოფიცრების რიცხვი ასე მცირეა, მაშინ გვარის წევრებიც კი არ შეიძლება მოხვდნენ ამ სიაში. ასეთ დროს სავალდებულოა მხოლოდ ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრის ფიცი.

დაზარალებულ მხარეს უფლება არ ჰქონდა თანამოფიცრად დაესახელებინა ისეთი პირი, რომელიც ექვმიტანილისადმი მტრულად იყო განწყობილი, აგრეთვე ის, ვისაც ფეხმძიმე მეუღლე ჰყავდა, ან ვინც წინასწარ იყო დაფიცული ხატზე, რომ არავის გაჰყვებოდა თანამოფიცრად. მედიატორული წესით იმდენი საქმე ირჩეოდა, იმდენჯერ იყვნენ საჭირონი თანამოფიცრენი, რომ ზოგიერთი, ვისაც ხშირად უწევდა ხატზე დაფიცება, ვეღარ ზრუნავდა ოჯახისათვის, წინასწარვე იჭერდა თადარიგს და თვითონვე შეჰფიცებდა ხატს, რომ არავისი მოფიცარი არ გახდებოდა.

<sup>16</sup> საერთოდ, სვანეთში თუ უდანაშაულო კაცს დაბრალდებოდა რამე. ის თვითონვე იყო დანტერესებული თავის გამართლებაში. რადგან ხშირად იღვრებოდა სისხლი ამ მიზეზით.

ჩვეულებით იკრძალება ორსულობის დროს ქალას ქმრის დაფიცება ზე, რადგან რელიგიური რწმენით ეს ვნებდა მის შთამომავლობას და გვარსულობას.

საზოგადოდ, თანამოფიცრების დასახელება დამოკიდებული იყო დაზარალებულზე. მკვლელობის დროს თანამოფიცრებად ყველა შემთხვევაში 24 კაცამდე უნდა დაესახელებინათ, რომელთაგან შემდეგ დაზარალებული შეარჩევდა 6 თანამოფიცარს, ისეთებს, რომლებიც საქმესთან უფრო ახლოს იყვნენ და ამავე დროს ღეთის მოშიშნი, ფიცის პატრონები იქნებოდნენ. თუ დანაშაული მართლაც ეჭვმიტანილის მიერ იყო ჩადენილი, რაც ცნობილი იყო დასახელებული პირებისთვის, და ისინი არ დაიფიცებდნენ, ეს თავისთავად ნიშნავდა ეჭვმიტანილის გამტყუნებას. ამ თანამოფიცრებს ეწოდებათ „ლუფვილ მეგნოლ“ ან „უცადა მეგნოლ“<sup>17</sup>. დარჩენილი 18 კაციდან, რომლებიც აგრეთვე დაზარალებულმა დაასახელა თანამოფიცრად, ეჭვმიტანილი აირჩევდა 6 ნებისმიერს, რომლებიც მისთვის უფრო ხელსაყრელი იყვნენ ე. ი. სულ გამოდის 12, 6 უცვლელი და 6 ამის გარეშე.

„ლუფვილ მეგნე“ ანუ „უცადა მეგნე“. ჩვენი აზრით, იგივეა, რაც, ვახტანგის სამართლის წიგნში მოცემული „შეგდებული თანამოფიცარი“, (მუხ. 10).

მოფიცართა მსგავს ინსტიტუტთან გვაქვს საქმე ძეგლში „სასამართლო განაჩენი დიდი მოურავისა ჯავახიშვილის საქმის გამო“ (1620 წ.), სადაც ლაპარაკია შესახებულზე. შეუსახელებელ, დასახელებულ და დაუსახელებელ მოფიცრებზე. რომელიც ისეთივე შინაარსის და ფუნქციების მატარებელი არიან, როგორებიც იყვნენ სვანური ადათის მიხედვით ცნობილი თანამოფიცრები.

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის მე-14 მუხლში ვკითხულობთ: „მრავალგვარნი ასეთნი საქმენი არიან. ზოგსა საქმესა შიგან რომელიმე დაუსახელებელი მოფიცარნი უნდიან, რომე ბქეთა შეუსხდნენ, და ზოგსა — დასახელებულინი და ბქეთა კარგა გამონახვა უნდა“.

ქართული ადათი სავალდებულოდ ხდის ფიცის დროს გვარისკაცების მოფიცრებად აყვანას და ვფიქრობთ სწორედ ისინი იგულისხმებიან ბექა-ალბუღას სამართლის წიგნში დაუსახელებელ მოფიცრებად.

წიგნის მიხედვით, მოფიცართა რაოდენობას თვითონ საქმის სიმძიმე განსაზღვრავდა: „თუ მძიმე ალფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა“ (მუხ. 37).

მოფიცარს არ უნდა ჰქონდეს რაიმე მტრობა და სამღურავი მოდავეებთან, იგი უნდა იყოს მიუდგომელი და მიუკერძოებელი. სალიკური სამართალი კი, რომელიც ადრეფეოდალურ პერიოდს განეკუთვნება, ადგენს, მოფიცარი უნდა იყოს „უფლებაუნარიანი“ პირი, ხოლო მათი რაოდენობა საქმის მიხედვით განისაზღვროს.

რიპუართა სამართლით, — წერს აკად. ი. დოლიძე, — სრული ფიცი უდრის 12 მოფიცარს, ნახევარი — ექვსს, მეოთხედი — 3-ს, მაგრამ შეიძლება

<sup>17</sup> სვანურად „მეგნე“ ეწოდება თანამოფიცარს, „უცადა“ ანუ „ლუფვილ მეგნე“ კი უცვლელ თანამოფიცარს.



მათი გამრავლება: ერთნახევარი ფიცი უდრის 18 მოფიცარს, ორი — 24-ს, სამი — 36-ს და ა. შ.<sup>18</sup>.

ნაბან, ნაბნობ ანუ ნაბანი წყლის დაღვევა, დაფიცება სვანეთში ყველა საყდარში კი არ ხდებოდა. არამედ შერჩეულ ეკლესიებში, რომლებიც ხალხის რწმენაში უფრო ძლიერი იყვნენ. თავისუფალ სვანეთში ასეთად ითვლებოდა წმინდა კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია. ამ ეკლესიაში ფიცის დროს ბრალდებული, რომელიც თავს იმართლებდა, იხდიდა ერთ ძროხას ან 25 მანეთს, ხოლო გამტყუნების დროს, საზღაურს გადაიხდიდა ის. ვინც გამტყუნდებოდა, სვიფის წმინდა გიორგის ეკლესიაში კი იგი 10 მანეთს უდრიდა. ეს გადასახადები ეკლესიის სასარგებლოდ იყო დაწესებული.

ფიცის მიღების შედარებით ცხოველყოფილ დღეებად ითვლებოდა გიორგობისთვის პირველი, ან აპრილის ბოლო ორშაბათი. წვრილმან საქმეებზე შეიძლებოდა ფიცის მიღება სხვა დღეებშიც ან სხვა ეკლესიებშიც მომხდარიყო, რაც დაზარალებულის ნებაზე იყო დამოკიდებული.

როდესაც ეჭვმიტანილი თავს გაიმართლებდა მოფიცრების, გვარისკაცების და თავისი სახლობის ფიცის მეშვეობით, ერთგულების და თანასწორობის ფიცის მიღება ისევე ხდებოდა, როგორც ზემოთ ვთქვი.

ერთი საგვარეულოს შიგნით მომხდარ დანაშაულთა გარჩევის დროს მედიატორები აირჩეოდნენ ამავე გვარიდან. გვარობრივი განსახლება და ოჯახის სეგმენტაციის პროცესი სვანეთში საკმაოდ შორიდან მოდის, ხშირად კვალის პოვნაც კირს. მაგრამ საქმეთა განხილვის ეს გვაროვნული პრინციპი მაინც დიდხანს შემორჩა ამ კუთხეს.

სვანეთის ჩვეულებითი სამართალი მედიატორული წესით მხარეთა მხარეების გარდა იცნობს სხვა სახის საქმის წარმოებასაც:

- ა) დაზარალებულის მისვლა დამნაშავესთან „ლუფხვილებით“;
- ბ) ასეთივე მისვლა „ულუფხვილოდ“;
- გ) ფიცით მორიგება.

მორიგების ეს ფორმები იხმარებოდა შედარებით მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულის დროს.

მხარეთა შერიგების ეს ფორმები იმ მხრივ იწვევს ინტერესს, რომ როგორც „ლუფხვილები“, ასევე ნათესავები და სხვები, რომლებიც თან ახლავან დაზარალებულს დამნაშავეს ოჯახში მისვლისას, მედიატორების მსგავსად ატარებენ სასამართლო ფუნქციას. ჩვენი აზრით, ეს ფორმები მხოლოდ სახეშეცვლილი ბქე-მედიატორობაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მედიატორების დროს მხარეთა წარმომადგენლობა თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი საქმეში, ხოლო ასეთ დროს კი ინტერესთა დამცველი პირები მხოლოდ დაზარალებულს ახლავს. მაგრამ ორივე მხარის თანასწორი პოზიციის გასამყარებლად ლუფხვილებს და ნათესავებსაც თან ახლავს მახვში, რომელიც ვალდებულია უფლება არ მისცეს არც ერთ მხარეს, რათა თავის მხარეს გადაზარონ სასწორი. ამდენად, მახვში აქ უფროსი მედიატორეს როლს ასრულებს.

<sup>18</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1963, გვ. 97.

ლუფხვილების რაოდენობა ერთიდან ოცამდეა, თუმცა, ამ ოდენობით მხოლოდ მძიმე საქმეების დროს იკრიბებოდნენ.

დამნაშავე შეუთვლიდა დაზარალებულს ლუფხვილებით შემირიგდო. უარის თქმა კი ასეთ შერიგებაზე იშვიათად ხდებოდა, ისიც მაშინ, როცა დაზარალებული აუცილებლად სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობდა. ლუფხვილებს დაზარალებული დასახელებდა, ხოლო მათი მოყვანა კი დამნაშავეს საქმე იყო. ლუფხვილები მორგებზე უფრო ძნელად მოიძებნებოდნენ. მორგების მსგავსად მათი გასამრჩელო იყო — თითო ათსიში<sup>19</sup> ან ამ ღირებულების ნივთი.

ლუფხვილები (თუ ისინი ნათესავები იყვნენ) მივიდოდნენ დამნაშავესთან, რომელიც გახიზნული იყო მეზობლის სახლში, საკუთარი სახლი კი ლუფხვილებისთვის ჰქონდა დათმობილი და გაიმართებოდა მოლაპარაკება მათ შორის მოცქვილების მეშვეობით.

ლუფხვილები შეუთვლიდნენ გადახიზნულს „კარგად იცი, რაც დამართე დაზარალებულს, ისიც იცი, რამდენი ერგება საზღაურად შენგან დაშავების გამო, მიიღე მხედველობაში ეს ყველაფერი და შემოგვითვალე რამდენი უნდა გადაუხადო“<sup>20</sup>.

დამნაშავე შეუთვლიდა რამდენის მიცემასაც აპირებდა თუ ლუფხვილები და მახვში საკმარისად მიიჩნევდნენ შემოთვლილ თანხას, მიწას ან საქონელს, დაიბარებდნენ დამნაშავეს ერთგულების და თანასწორობის ფიცის მისაღებად დაზარალებულთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში მოცქვილებს აგზავნიდნენ ხელახლა დამნაშავესთან და დამატებით თანხას ითხოვდნენ დაზარალებულის სასარგებლოდ.

ლუფხვილები თავის მხრივ აძლევდნენ ტოლობის და თანასწორობის ფიცს დაზარალებულს და დამნაშავეს: „ამა და ამ ხატის მადლმა, რომ ჩვენც დავჯერდებოდით (ნივთიერი გადასახადი ან ფულადი) რაც თქვენ გიჩინეთ, ამაზე ნაკლებს უკვე არაო“<sup>21</sup>.

ლუფხვილების ქვემდებარებაში შეიძლება ყოფილიყო ყველა სახის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე.

ულუფხვილოდ დამნაშავეს სახლში მისვლა ხდებოდა იმავე წესით, როგორც ლუფხვილებით. მახვშის პირით დამნაშავე შეუთვლიდა დაზარალებულს, ეკადრა მასთან მოსვლა თავისი სახლიკაცებით ან ნათესავებით. ეს მიწვევა ნიშანი იყო იმისა, რომ სახლიდან დაზარალებული დიდად დასაჩუქრებული უნდა გამოესტუმრებინათ. დამნაშავე თვითონვე იტყოდა რამდენიც უნდა ეჩუქებინა, მაგრამ თუ ნათესავებს ეცოტავებოდათ გადასახადი, საქმეში კვლავ მახვში ერეოდა და ის წყვეტდა საკითხს. ტოლობის და ერთგულების ფიცის მიღება იმავე წესით ხდებოდა საქმის მომთავრების შემდეგ, როგორც მედიატორებით საქმის მოგვარებისას. გამართლების, განწმენდის ფიცი იღებოდა ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც საქმე ეხებოდა მცირე ღირებულებას ან მიწის საზღვრებზე დავას, ბ) ქურდობას ან იღუმალ სხვისათვის ვნების მოტანას. დაზარალებული ან მოდავე მხარე ჩამოატარებდა ხატს (ზოგჯერ რაიმე საეკლესიო ნივთიც შე-

<sup>19</sup> „ათსიში“ ეთანაბრება 6 მანეთს ნიკოლოზ II-ის ფულის კურსით.

<sup>20</sup> ასე გადმორგვემენ სვანეთის უხუცესი ადამიანები.

<sup>21</sup> ხალხური თქმულებიდან.

იძლებოდა) სოფელში და დააფიცებდა ყველა ოჯახიდან თითო სრულწლოვან მამაკაცს; რომ დაკარგული ნივთის და საქონლის მომპარავი ან სხვა ზიანის მიმყენებელნი არ არიან — არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრები, მათ საერთოდ არაფერი იციან ამის შესახებ. თუ რომელიმე მათგანმა რაიმე იცოდა დაკარგული საქონლის შესახებ, ფიცს არ გატებდა და აუცილებლად აღიარებდა. როცა საქმე ეხებოდა სადაო საზღვრებს, მაშინ მოპასუხე იფიცებდა ხატზე ერთი ან ორი თანამოფიცრით, რომ აღნიშნული ადგილი ეკუთვნის მას. ამით წყდებოდა ყოველგვარი სადაო ურთიერთობა ისე, რომ მათში მედიატორები არ მონაწილეობდნენ.

გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევები, როცა დავა თვითონ ოჯახის წევრებს — ცოლ-ქმარს შორის მიმდინარეობდა. ყოფილა შემთხვევები, როცა ცოლს უმხელია თავისი ქმარი ცვედანობაში. ასეთ დროს ქმარი თავისი სახლიკაცებით და 12 გარეშე თანამოფიცრით თუ დაიფიცებდა ხატზე, რომ ცოლის ნათქვამი სინამდვილე არ იყო, ცოლი ვალდებული იყო დარჩენილიყო ქმრის ოჯახში და მას პრეტენზიების უფლებაც არ ჰქონდა.

თუ ქმარი მოფიცრებით გაიმართლებდა თავს, ცოლი ვალდებული იყო თორმეტი თანამოფიცრის მეშვეობით ემართლა ხატზე თავი, რომ ქმარი მას არ მოუწამლავს. თუ უარს იტყოდა, მაშინ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ცილდაწამებულ ქმარს ერგებოდა სისხლის ნახევარი ღირებულება. ნახევარი „წორ“-ი, რაც 3000 მანეთის ტოლი იყო.

**კომპოზიციათა სისტემა.** ჩვენ უკვე გავეცანით სვანეთის სასამართლოს საქმის წარმოების მედიატორულ წესს, რაც საქმემ უნდა გაიაროს მორვარების არჩევიდან განაჩინის (ღედ) გამოტანამდე.

აქ ცალკე უნდა შევჩერდეთ ქონებრივი საზღაურის იმ სისტემაზე, რასაც მორვარები იყენებდნენ საქმის გადაწყვეტის დროს. ამასთან, შედარებითი სახით წარმოვადგენთ თანაფარდობას სვანეთის ადათსა და ქართული წერილობითი კანონმდებლობის მიხედვით ცნობილ საზღაურთა სისტემას შორის.

ცნობილია, რომ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ სისხლის აღების წესი თანდათანობით იცვლება სისხლის დაურვებით ანუ მიყენებული ზიანის ქონებრივი ანაზღაურებით. ეს ცვლილება სისხლ-მოსისხლეობაში ხდება და სისხლის ფასი ნაზღაურდება იმის მიხედვით, თუ ვინ არის დაზარალებული გვართ, წოდებით, ქონებრივი მდგომარეობით და ღირსებით. სვანეთში სისხლის დაურვების თუ სხვა ქონებრივ საზღაურთა შემდეგი სისტემა არსებობდა:

საბატონო სვანეთში, კერძოდ ფარის, ბეჩოს, ლახამულის და ჩუბენგვის საზოგადოებებში სისხლის ფასი (წორ) უდრიდა 24 ცხვადიშს (4 ცხვადიში უდრის ერთ ქცევა საზნავ ან სათბე მიწას). ეცერში 12 ცხვადიშს (აქაური ერთი ცხვადიში ორ ზემოჩამოთვლილ საზოგადოებათა ცხვადიშს ეთანაბრება). გარდა ამისა, დაზარალებულ მხარეს მედიატორები მიაკუთვნებდნენ დამნაშავეისაგან 200 მანეთამდე სხვა საჩუქრებს, იქნებოდა ფულის სახით თუ ამავე ღირებულების ნივთებით. თოფი, რომლითაც მკვლელობა იყო ჩადენილი, უსა-

თუოდ ერგებოდა დაზარალებული მხარის წარმომადგენელთ. ყოველი დღეში მიწა ღირდა 35<sup>22</sup> მანეთი ან ერთი ხარი და ერთი ძროხა.

სისხლის საურავი თავისუფალ სვანეთში, უშგულის საზოგადოებაში, იყო 6 ნალჯომი<sup>23</sup> სახნავ-სათესი მიწა. თუ დამნაშავეს კარგი მიწები არ ჰქონდა, მაშინ მას უნდა მიეცა სახლის ნაწილი თავისი მიწით სამ ნალჯომამდე. დანარჩენი შეიძლება საქონლით ყოფილიყო გადახდილი. უშგულის ერთი ნალჯომი უდრის ფარის, ბეჩოს და ჩუბისხევის ორ ცხვადიშს. ნალჯომი აქ ფასდება 6 ხარით ან 25 მანეთით. დაზარალებული ოჯახის ყველა წევრი დამნაშავისაგან ცალ-ცალკე ლებულობდა 10 მანეთს ან თითო ძროხას.

მულახსა და მესტიაში „წორ“ შეადგენდა 3 ნალჯომ სახნავ მიწას და 3 ნალჯომ სათიბს, იფარში 3 ნალჯომ მიწას, დანარჩენი კი იყო საქონელი, უძრავ-მოდრავი ქონება და ა. შ. კალის საზოგადოებაში, განსხვავებით სხვებისაგან, დამატებით დაზარალებულს უნდა მიეცეს კერია და ჯაჭვი (ნაჭა). აქაური ნალჯომი ეთანაბრებოდა უშგულისას. თოფი, რომლითაც მოკლულ იყო პირი, მიუხედავად იმისა, მკვლელის საკუთრებას წარმოადგენს თუ არა, უნდა დარჩენოდა დაზარალებულ მხარეს.

დაბოლოს, თუ სისხლის ფასს ვიანგარიშებთ საბატონო სვანეთში, მივიღებთ: 24 ცხვადიშს, (თითო ცხვადიშში 35 მან. ე. ი. 840 მანეთს). თუ მას დავუმატებთ 200 მანეთის საჩუქრებს და თოფის ღირებულებას<sup>24</sup>, ასევე იმ ხარჯს, რომელსაც მედიატორების დაწყებიდან შერიგების დამის ჩათვლით დამნაშავე ეწეოდა, მივიღებთ, რომ დამნაშავეს სრული სისხლის დაურეგება უჯდებოდა 3000 მანეთი. აზნაურის სისხლი ორჯერ მეტს ფასობდა, თავადის სისხლი კი ორნახევარჯერ მეტს, რაც 6000-7000 მანეთამდეა. ვახტანგის სამართლის წიგნით, პირველი ხარისხის თავადის სისხლი ასჯერ მეტი ღირდა, ვიდრე გლეხისა. მითუმეტეს, თავადები სისხლის ფასს ლებულობდნენ ოქროთი, ფულად ან ვერცხლით, ხანდახან კი სისხლის ფასში შეიძლება მიეღოთ ყმაც, მამულიც, ტყვე ან იარაღი. თუ გარდაცვლილი წერა-კითხვის მცოდნე იყო, წორის რაოდენობა ერთნახევარჯერ იზრდებოდა. ასევე იზრდებოდა წორი (შეიძლება ორმაგადაც) თუ მოკლული უგზოუკვლოდ დაიკარგებოდა. არის შემთხვევები წორის შემცირებისაც. მაგ. თუ მკვლელი გასამართლების შემდეგ პატიმრობაში მოკვდებოდა ან დაიკარგებოდა, მისი ჰირისუფალი იხდიდა ნახევარ წორს. საზღაურთა სისტემიდან ადათი ასევე იცნობს „ტყვეშიშს“ ე. ი. დატყვევებულის გამოსასყიდს, რაც უდრის 600 მანეთს თუ ტყვე ქალია, თუ კაცია — 300 მანეთს.

სისხლის დაურეგება სადადიანო სვანეთში ასეთია: ჩოლურის, ლენტეხის და ლაშხეთის თემებში წორი უდრის 400 მანეთს. დამატებით ამაზე შეიძლება მიეცათ თასი, ძეწკვი, აზარფეში და სხვ. თუ ასეთი რამ არ გააჩნდათ, დაურეგება მიწით ხდებოდა.

სხეულის რომელიმე ნაწილის ფუნქციის მთლიანი მოშლა (ყურის, ცხვირის, ფეხის მოჭრა ან თვალის ამოგდება) იწვევდა საზღაურის გადახდას ნა-

<sup>22</sup> ლაპარაკია ნიკოლოზ მეორის პერიოდის ფულზე.

<sup>23</sup> ნალჯომი ნიშნავს მინაზომს და ეთანაბრება ერთ ქვევას.

<sup>24</sup> ყირიმული კაციანი თოფი ან თოფი „სტამბოლი“ ღირდა 120 მან.

ბევარი წორით, რაც 1500 მანეთს უდრიდა. სადადიანო სვანეთში კი ეს თანხა 2000 მანეთი იყო.

ჭრილობის ზომას მედიატორები განსაზღვრავდნენ თითების დადებით. რამდენი თითიც მოთავსდებოდა ჭრილობაზე, იმდენი ათსიში უნდა გადაეხადა და მანამდე დაზარალებულისათვის.

მსუბუქი ჭრილობა ზემო სვანეთში ფასდებოდა 20-დან 30 ათსიშამდე. ჭრილობის შეფასების დროს მნიშვნელობა ეძლეოდა არა მხოლოდ მის ზომას, არამედ იმასაც, თუ სხეულის რა ნაწილზე იყო ჭრილობა მიყენებული. საზეზე წარუბოცელი ჭრილობა უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და შესაბამისად იზრდებოდა გერშის რაოდენობაც.

ცოლის ან დანიშნულის მიტოვებისათვის დაწესებული იყო ნახევარი წორი. ქალისათვის თავსაფრის ჩამოგდების ან ნაწნავის მოჭრისათვის — 24 ათსიში, შეურაცხყოფისათვის, რა ფორმითაც არ უნდა ყოფილიყო — 2-დან 18 ათსიშამდე, ცილისწამებისათვის — 3-დან 24-მდე და ა. შ.

სახლის გატეხვა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რადგან სვან კაცს იმთავითვე სახლის ხელუხლებლად დაცვა თავის მორაჭურ-ზნეობრივ ვალდებულებად მიაჩნია. სვანური წესის თანახმად, სახლის გამტეხმა, თუ იგი ცნობილი გახდა, უნდა გადაიხადოს 12 ათასი და დააბრუნოს ნაქურდალი.

სვანური ადათი ნებას არ იძლევა, რომ ქურდი, რომელსაც ფაქტზე წაასწრეს, მოკლან. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით კი ქურდის მოკვლა შესაძლებელია, თუ მან წინააღმდეგობა გაუწვია. ქურდობისათვის სვანეთში დაწესებული იყო ჭარიმა „ჰიბარ“, რაც მოპარულის ორმაგ რაოდენობაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

ზოგჯერ ადათები ობიექტური შერაცხვის პრინციპს ემყარებოდნენ, მაგრამ საბატონო სვანეთში ამ მხრივაც ვხვდებით გარკვეულ შეზღუდვებს. შემთხვევითი (უმბულარ-უნებლიე) მკვლელობა არ იწვევდა პასუხისმგებლობას. სადადიანო სვანეთში კი, მართალია, არ გამოირიცხებოდა პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში, მაგრამ წორის რაოდენობა შესაბამისად შემცირებული იყო. მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში მკვლელობა იწვევდა სისხლის აღებას.

ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან გადახვევაზე ლაპარაკობს ისიც, რომ ადათი იცნობს მცდელობის ცნებას და აყალიბებს მის თავისებურ კონსტრუქციას. მაგალითად, სადადიანო სვანეთში თოფის ჩახმახის დაცემინება ვინმეს მოკვლის მიზნით, იწვევდა საზღაურის გადახდას ნახევარ წორამდე.

1868 წელს, სვანეთში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, სამედიატორო საქმეებში ერევიან მეფისნაცვალთა მიერ დანიშნული მამასახლისები, ინიშნება სამხედრო მოსამართლეც, მაგრამ საქმეთა გადაწყვეტა კვლავ მედიატორთა ხელშია. ერთ-ერთი სამხედრო მოსამართლე ჰუაფი შექმნილ ვითარებას ვერ შეეგუა. საქმეებს ნავთი გადაასხა, გადაწვა და აიბარგა სვანეთიდან.

## მოსამართლე, პროკურორი, პოლიტიკა და ფული

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის მოადგილე სთენის დონალდ ეიერთან საუბრობს „ნოვოპრესს“ გამომცემელი ლეი ელინი.

**ლ. ელინი.** მოსკოვში თქვენ მონაწილეობდით სამართლებრივი სახელმწიფოს პრობლემებისადმი მიძღვნილ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ სემინარში. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნების განმარტება რამდენად განსხვავებულია ამ ორ ქვეყანაში?

**ლ. ეიერი.** ვფიქრობ, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ ერთიანად იდეალზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს კანონის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც იძლევა მთავრობისაგან, საპროკურორო სამსახურისაგან და მიუთმეტეს, პროცესში მონაწილე მხარეებისაგან, სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიას. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირში მიდის ამ მიმართულებით... ჩვენ, მართალია, სხვადასხვა ამოსავალი წერტილები და შესაბამისად ზედის სხვადასხვა კუთხეები გვაქვს. მაგრამ პრინციპული განსხვავებანი არ შეიძლება.

**ლ. ელინი.** საბჭოთა კავშირში მაშინ ჩამობრძანდით, როცა ჩვენს ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ავირჩიეთ. ამას წინ უსწრებდა აღმასრულებელი ხელისუფლების გამუდმებული კრიტიკა გაუბედაობის, სისუსტისა და არათანმიმდევრობისათვის. ამჟამად კი ვითარების გამოსწორების იმედს ბევრი პრეზიდენტის პოსტის შემოღებას უკავშირებს. მაგრამ მახსოვს ფრანკო ამერიკის შეერთებული შტატებს იუსტიციის მინისტრის რიჩარდ ტორნბერგის მიერ გასული წლის შემოდგომაზე მოსკოვში წაკითხული ლექციიდან: „მთავრობა მით უკეთესია, რაც ჩაქვებად მართავს“. ზომ არ გაუკეთებდით კომენტარს თვალსაზრისით ამ დაპირისპირებას?

**ლ. ეიერი.** ჩვენი მინისტრის სიტყვებში ასახულია დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტალური პრინციპი: საზოგადოებაში მოკავშირეობა მოქალაქე ინდივიდუმი, ვისი ხმაც წყვეტს თუ როგორი უნდა იყოს მთავრობა და რა უნდა აკეთოს მან... სწორედ ადამიანთა საქმიანობას, პირად, კერძო მეწარმეობას მოაქვს საზოგადოებისათვის კეთილდღეობა. სწორედ ეს ქმნის უკეთეს ცხოვრებას. ამიტომ თქვენს მიერ მოტანილ ფრანკს ასე გავშიფრავ: ჩვენი ცხოვრების იმ შემთხვევებისა და სფეროების გამოწვევის გარდა, როცა საჭირო ხდება მთავრობის მოქმედება უმრავლესობის ნების აღსრულებისათვის. იგი გვერდზე უნდა გადაგვს და ხელი არ შეუშალოს პიროვნებათა საქმიანობას. საბჭოთა კავშირის ექსპერტი არ გახლავართ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს იდეები თქვენთანაც სულ უფრო ვითარდება.

**ლ. ელინი.** იმ ადამიანისაგან, რომელმაც იცის კანონთა სამყაროში ძალების რეალური განლაგება, საინტერესოა გავიგოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვის უფრო მეტი წონა აქვს: მოსამართლეს თუ პროკურორს? რამდენად უწყვეტს ანგარიშს მოსამართლე პროკურორს?

**ლ. ეიერი.** დაეწყება იმით, რომ ორივე მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. თუმცა, ცხადია, მოსამართლეს ამერიკის საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც გავლენით, ისე პატივისცემით. რომლითაც იგი სარგებლობს. ფედერალური მოსამართლენი (ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული შტატების მოსამართლეთა სისტემა მოქმედებს თითოეულ შტატში, აგრეთვე ამ შტატების საგარეოებსა და ქალაქებში. გარდა ამისა, კონგრესის მიერ და კონსტიტუციით მიღებული ფედერალური კანონების დაცვას თვალყურს ადევნებს 94 საოლქო ფედერალური სასამართლო, რომელთა ზევითაც არის 12 სააპელაციო სასამართლო. განსაკუთრებული შემთხვევებისათვის ამას ემატება ფედერალური ოლქი ვაშინგტონში, და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. — **ლ. ე.** ინიშნებიან სამუდამოდ და ექვემდებარებიან იმპიჩმენტს. თუ ჩაიდინეს რაიმე კანონსაწინააღმდეგო საქციელი. ეს არის დამოუკიდებლობის გარანტია... მათზე შესაძლო ზემოქმედების მიმართ მოსამართლენი მეტად ფაქიზნი არიან. ადვილად შეეცდებიან, რომ მოსამართლესთან განმარტდებიან. მეორე

მხარის ადვოკატის გარეშე იმსჯელოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, არღვევს კანონს, მოსამართლეზე ზეგავლენის ცდამ ადვილად შეიძლება მოგახვედროთ ციხის საკანში... პროკურორი — 5 წელი მეკავა ეს პოსტი — ცდილობს დაუმტკიცოს მოსამართლეს წაყენებული ბრალდების სამართლიანობა, ამასთან იგი გამოდის ადვოკატის თანაბარი უფლებებით. მოსამართლე პროკურორს არავითარ უპირატესობას არ აძლევს. ის კი არა და, შემძლია ვთქვა, რომ პროკურორს უფრო გართულებულად აქვს საქმე: მის წინააღმდეგაა მიმართული უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის თაობაზეც აუცილებლად შეახსენებენ ხოლმე ნაფიც მსაჯულებს. მათ აგრეთვე განუმარტავენ: პროკურორმა ადამიანის დანაშაული უნდა დაამტკიცოს ისე, რომ გამოირიცხოს იყოს ნებისმიერი გონივრული ეჭვი.

**ლ. ელინი.** შესაბამისად საშუალოდ რამდენს ლებულობენ მოსამართლე და პროკურორი?

**დ. ეიერი.** ფედერალური მოსამართლენი ლებულობენ, როგორც წესი, წელიწადში 100 ათას დოლარს. ეს იმაზე ცოტაა, რაც შეიძლება გამოიმუშაოს წარმატებულმა იურისტმა. რომელიც დაკავებულია კერძო პრაქტიკით. მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად მეტია საშუალო ამერიკულ მაჩვენებელზე. პროკურორს რამდენადმე ნაკლებს უხდიან. დამწყები პროკურორი, რომელმაც ეს-ესაა სწავლა დაამთავრა ლებულობს წელიწადში 30-35 ათასს, ხოლო ათი წლის შემდეგ — 70-75 ათას დოლარს...

**ლ. ელინი.** საბჭოთა კავშირში ახლანდს მიღებული კანონების შემდეგ მოსამართლეებს ირჩევენ 10 წლის ვადით. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რამდენადაც ვიცი, პარალელურად მოქმედებს ორი სისტემა: ფედერალურ მოსამართლეებს ნიშნავენ ხელისუფალნი, ხოლო შტატის მოსამართლეებს ირჩევენ. თქვენ რომელი უფრო უმჯობესად მიგაჩნიათ?

**დ. ეიერი.** სრულიად კვიანური მგონია თქვენი სისტემა — 10 წლით არჩევა. სამუდამოდ დანიშვნასაც აქვს ბეჭერი დადებითი. მაგრამ პირადად მე, ალბათ, შუალედურ ვარიანტს ვირჩევდი: მოსამართლეთა დანიშვნას გარკვეული ვადით. სამუდამოდ დანიშვნას აქვს თავის ნაკლოვანებანი. თანდათან მოსამართლე შეიძლება ისეთ ადამიანად იქცეს, რომლისთვისაც უმჯობესი იქნება აღარ იკავებდეს მოსამართლის სავარძელს. მაგრამ თვითონ ამას, საეჭვოა რომ მიხვდეს. ასეთ სიტუაციაში რაიმეს გაეთება რთულია. უნდა გამოიძებნოს რაიმე მეთოდი მისი გადაყენებისა. მაგრამ ეს თუ განმეორდა ერთხელ, ორჯერ, მამინ უკვე გაჩნდება იმის საშიშროება. რომ ყველა მოსამართლეზე მოახდინონ ზემოქმედება. ეს კი, რადაც უნდა დაჯდეს, უნდა გამოირიცხოს... ვიმეორებ, პირადად მე ფიქსირებული ვადით დანიშვნის იდეის მომხრე ვარ.

**ლ. ელინი.** თქვენნი აზრით, რა საერთო აქვს მოსამართლის ან პროკურორის თანამდებობრივ საქმიანობას პოლიტიკურ აქტიუობასთან?

**დ. ეიერი.** ამერიკელი მოსამართლეები ყოველნაირად ცდილობენ იყვნენ არა უბრალოდ დამოუკიდებელნი, არამედ მკაფიოდ გამოხატონ კიდევ, რომ ისინი დამოუკიდებელნი არიან, რომ მათ არ გააჩნიათ არავითარი პოლიტიკური უპირატესობანი. და, თუ ადამიანს მოსამართლედ გახდომა სურს, მან თავი უნდა აარიდოს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. რა თქმა უნდა, მოსამართლეს ხმის მიცემის უფლება აქვს, მაგრამ იმის აფიშირების გარეშე თუ რომელი პარტიის მომხრეა (რეგისტრაციას გადის სიებში და ხდება ამ პარტიის წევრი), მაგრამ ამით ყველაფერი მთავრდება. არავითარი განცხადებები, არავითარი მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში... ჩვენთან იშვიათად ხრდი ხდება ისიც, რომ დანიშვნის შემდეგ მოსამართლე თავს არიდებს პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებთან ურთიერთობას, რათა არავინ ალაპარაკოს მასზე შესაძლო ზეგავლენის თაობაზე. მერწმუნეთ. მოსამართლეს რთული ცხოვრება აქვს — იგი გამუდმებით უნდა წონიდეს თავის ქცევებს, რათა ჩრდილი არ მიადგეს მის ობიექტურობას და ამით მოსამართლოსადმი რწმენას ზიანი არ მიაყენოს.

**ლ. ელინი.** შესაძლებელია, რომ ამერიკელ მოსამართლეზე როგორღაც მაინც მოახდინონ ზემოქმედება?

**დ. ეიერი.** პრინციპში ეს გამორიცხული უნდა იყოს; მოსამართლე არის რეფერტი, იგი წყვეტს ბრალდებასა და დაცვას შორის კამათს და უნდა იყოს აბსოლუტურად მიუყვრძობელი. მაგრამ... 80-იანი წლების დამდეგს ჩიკაგოში ჩატარდა გახმაურებული პროცესი: გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოავლინა, რომ ზოგიერთი მოსამართლე ქრთამს იღებდა. ყველანი ციხეში გააშფეეს... ასე რომ, ვერ ვიტყვი მოსამართლეებზე ზემოქმედებას; მათ მოსყიდვას საერთოდ ადგილი არა აქვს-მეთქი. მაგრამ ეს გამოწვევის შემთხვევებია და დამნაშავენი რკინის ცხაურს მიღმა აღმოჩნდებიან ხოლმე.

**ლ. ელინი.** რამდენად არის დაინტერესებული პროკურორი კეთილსასურველი სტატისტიკით? იმაში, რომ ბრალდებამ ყველა შემთხვევაში თავისას მიადლოს?

**დ. ეიერი.** გამარჯვება ვის არ უყვარს?

**ლ. ელინი.** მე გზედველობაში მაქვს კარიერისტული მოსაზრებანი, იმის შიში, რომ წაგე-

ბული საქმე უფროსობის რისხვას გამოიწვევს...

**დ. ეიერი.** ჩვენთან მე არ მეგულება ისეთი პროკურორი, რომელიც ამაყობდეს უდანაშაულო კაცის გასამართლებით. პირიქით, შერცხვება თუ შეცდომით სხვა დასაჯა...

ქეშმარიტი მთავარი პროკურორი ახალგაზრდა კოლეგას ასე ეუბნება: თუ დავინახავ, რომ შენ ყველაფერს სწორად აკეთებ, მთელი არსებითა და პროფესიულ დონეზე, მხარს დაგიჭერ, თუნდაც ზედოზიდ რამდენიმე საქმე წააგო.

**ლ. ელინი.** კი მაგრამ, როგორაა საქმე საზოგადოებისაგან, საზოგადოებრივი აზრისაგან ხემოქმედების თაობაზე? ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ომი გამოეცხადა ნარკოტიკებს და მოსამართლეებისაგან ელიან მკაცრ განაჩენებს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეებზე...

**დ. ეიერი.** ეს საკითხი სოციალური ღირებულებისაა. ამჟამად მთელმა ამერიკამ დაინახა ნარკოტიკების პრობლემის სიმწვავე, ყველა მოქმედებას თხოულობს, დემოკრატები ამ „ომისათვის“ მეტ ფულს ითხოვენ. ვიდრე რესპუბლიკელები! ცხადია, ყოველივე ეს აუცილებლად თავს იჩენს. მაგრამ ფედერალური მოსამართლეები მოცემულ შემთხვევაში შეზღუდულნი არიან დასჯის საკმაოდ ვიწრო „ჩანჯლით“ — აქ ემოციები ვერაფერს ცვლიან. მაგრამ მე არ გამოვირდებოდა თუ იმ შტატებში, სადაც მოსამართლეებს ნაკლებად აქვთ შეკრული ხელ-ფეხი, განაჩენები რომ გამოკაცრდეს.

**ლ. ელინი.** დღეს საზოგადოებრიობა სამართლიანად არის განწყობილი პირთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ, ხვალ კი — ნაკლებად სამართლიანად — მეორის წინააღმდეგ... თუ მოსამართლეები გაიმეორებენ საზოგადოებრივი ქანქარის მოძრაობებს, შეუძლებელია შედეგების წინასწარმეტყველება. საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება თვით ადამიანის უფლებათა გარანტიები...

**დ. ეიერი.** ეს არ მოხდება. ფედერალურ დონეზე, მაგალითად, მოქმედებს სპეციალური კომისია, რომელიც იკვლევს დანაშაულის სერიოზულობას, ამა თუ იმ სასჯელთა აუცილებლობას. ისინი კონკრეტულ საქმეებსაც იხილავენ. მთელი ამ მუშაობის შედეგად მოსამართლეს შეუძლია გადაწყვიტოს, ვთქვათ, სამართალში მიცემულს მიუსაჯოს 8 ან 10 წლით პატიმრობა. მას უფლება არა აქვს გასცდეს ამ ჩარჩოებს. ვიცი შემთხვევები, როცა მოსამართლეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, იმის გამო, რომ დადგენილი წესების შესაბამისად ისინი იძულებულნი გახდნენ გამოეტანათ, მათი აზრით, მეტად მკაცრი განაჩენები. მაგრამ პირადად ისინი რასაც უნდა ფიქრობდნენ, დადგენილი ჩარჩოების დარღვევა მათ არ შეუძლიათ. აი, სწორედ ეს არის კანონის უზენაესობა.

**ლ. ელინი.** ამჟამად, საბჭოთა კავშირში დანაშაულობის ზრდასთან დაკავშირებით, განიხილება ასეთი საკითხი: საჭიროა თუ არა სატელეფონო საუბრების მოსმენის ნებართვის დაშვება და ასეთი გზით მიღებული ჩანაწერების გამოყენება სასამართლოში. როგორია ამერიკელთა გამოცდილება?

**დ. ეიერი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსმენა დაშვებულია უკიდურესად იშვიათად, მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. შემუშავებულია მოქალაქეთა უფლებების დამცველი სპეციალური პროცედურები. ასე რომ, პოლიციას არ შეუძლია უბრალოდ თავისი სურვილით ჩაეროს თქვენს ტელეფონს. მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს იმის მტკიცება, რომ კონკრეტული პიროვნება მონაწილეობდა კანონის სერიოზულ დარღვევაში, რომ მოსმენა აუცილებლად დაეხმარება დანაშაულის გახსნაში. უნდა დაარწმუნონ სასამართლო, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი, საჭიროა იუსტიციის მინისტრის პირადი სანქცია.

**ლ. ელინი.** წელიწადში, როგორც წესი, რამდენი ასეთი სანქცია გაიცემა?

**დ. ეიერი.** მე არ ვიცი, მთელი ამერიკის სტატისტიკას, მაგრამ როცა მე პროკურორი ვიყავი, მსგავს ნებართვას ვიღებდით წელიწადში საშუალოდ ერთხელ... ეს ღონისძიება მოითხოვს მეტად დამატულ, უმკაცრეს კონტროლს, მაგრამ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოსმენა შეიძლება ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო გახდეს.

**ლ. ელინი.** უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში რეაბილიტაციის მრავალ შემთხვევას ჰქონდა ადგილი იმათ მიმართ, ვინც „პოლიტიკური“ მუხლებით გაასამართლეს 70-იან და 80-იანი წლების დამდეგს. ბუნებრივია, ისმის კითხვა კომპენსაციის თაობაზე. როგორ წყდება ეს საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებში?

**დ. ეიერი.** მე თითქმის არ მაგონდება რაღაც ამის მსგავსი. თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს ადგილი ჰქონდა, როგორც ახლა გამოაშკარავდა, მასობრივ უკანონობას კალიფორნიაში მცხოვრებ იაპონელების მიმართ, რომლებიც ამერიკის მოქალაქეები იყვნენ. მათზე ეკვიმიტიანეს, რომ ხელს უწყობდნენ ან ხელს შეუწყობდნენ იაპონიის შემოჭრას, ცხადია, ამის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ისინი ბანაკებში მოათავსეს... ჰოდა, რამდენიმე წლის წინ კონგრესმა მიიღო ამ ადამიანებისათვის კომპენსაციის მიცემის გადაწყვეტილება — თითოე-



ულს 20 ათასი დოლარი. საერთო თანხამ, მგონი, ერთნახევარი მილიარდი დოლარი შეადგნა. საერთოდ კი, თუ განაჩენი არასწორად იქნა მიჩნეული და პირი, რომელიც სასჯელს იხდიდა, განთავისუფლდა, კომპენსაციის მიცემის გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს ადგილობრივმა საკანონმდებლო ორგანომ.

**ლ. ელინი.** გონივრულად მიგაჩნიათ თუ არა საწინდარის შეტანის შემდეგ ბრალდებულის პატიმრობიდან გაშვება?

**დ. ეიერი.** უდაოა, რომ ჩვენი სისტემა ისეა მოწყობილი, რათა ყველა ბრალდებული სასამართლომდე თავისუფალი იყოს, ამასთან სულაც არ არის აუცილებელი საწინდრის შეტანა — ამერიკელთა უმრავლესობა უბრალოდ ხელს აწერს ვალდებულებას, რომ სასამართლოში გამოცხადდება და სასამართლომდე არავის არაფერს დაუშევენს. უწინარესად, უნდა გაირკვეს თუ რამდენად არის მოქალაქე „მიბმული“ ამ ადგილთან: აქ ცხოვრობს თუ არა მისი ოჯახი, ჰყავს თუ არა ნათესავები: უნდა გაირკვეს ისიც, ადრე იგი ემალებოდა თუ არა სასამართლოს... ყოველთვის რატომ უნდა იხარჯებოდეს ფული ციხეში მის შენახვაზე?

**ლ. ელინი.** ამერიკელი პოლიციელი უფრო ხშირად ხსნის თავისი პისტოლეტის ბუდეს, ვიდრე საბჭოთა მილიციონერი. მაიამში მონაწილეობა მივიღე ლამის პატრულირებაში ერთ სასიამოვნო ახალგაზრდა ქალთან ერთად, რომელმაც ცოტა ხნის წინ ადამიანი მოკლა. იმ შემთხვევაში მისი სიცოცხლე უეჭველ საფრთხეში იყო... მაგრამ, პრინციპში როგორ განისაზღვრება: გამართლებულია თუ არა კანონის დამცველის მიერ იარაღის გამოყენება?

**დ. ეიერი.** ტარდება გულმოდგინე სამსახურებრივი გამოძიება, ამას გარდა, პოლიციელს შეიძლება უჩივლონ სასამართლოში და წუთყენონ სამოქალაქო უფლებების დარღვევის ბრალდება. ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს, ხდება ხოლმე, ცხადია, როცა პოლიცია ცეცხლის გახსნას ჩქარობს და მიმართავს ზედმეტ ძალმომრეობას, მაგრამ მთლიანობაში ამერიკისათვის ეს არცთუ დიდი პრობლემაა.

„ნოვა ვრემია“, № 17.

რედაქციისაზრან: ბ-ნი ადამიანი ბრანდტი ბერგანის დამოკრბიული რესპუბლიკის იურიდიული შურნალის „ნოი იუსტიც“-ის მთავარი რედაქტორია. მისი წერილი ეძღვნება პრესის და მართლმსაჯულების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. რომელიც თანამედროვე კოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია. წერილში იბრძნობა ერთი მხრივ, სამართალდაცვის სამსახურების და მთლიან მხრივ, საზოგადოებრივების ურთიერთგანსხვავებული მიმართება სასამართლოების დამოუკიდებლობის გაბეგისადმი. პრესის და მართლმსაჯულების ურთიერთობის პრობლემა არაერთ-ზვარტვან ხასიათს იღებს ჩვენშიც. მიგვაჩნია, რომ გვითხველისათვის ინტერესმომკლებული არ უნდა იყოს ჩვენი ბერგანელი კოლეგის კონკრეტული.

ადამიანი ბრანდტი.

## პრესა და მართლმსაჯულება

მოქალაქე თავისი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოებისაგან მოელოს სამართლიანობის უზრუნველყოფას. ამ მოლოდინს იუსტიცია მხოლოდ მაშინ გაამართლებს, როცა სამართალი კი არ დაემორჩილება სახელმწიფოს, არამედ, პირიქით, სახელმწიფო — სამართალს; ე. ი. როცა სახელმწიფო, რომელიც კანონს იღებს, თავად ემორჩილება მას.

ესაა სახელმწიფოსადმი, ასევე იუსტიციის ორგანოებისადმი, მოქალაქის ნდობის უმნიშვნელოვანესი წინამძღვარი. სამართლიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, იუსტიციის ორგანოების საქმიანობაში საგულისხმო მნიშვნელობა ენიჭება საქვეყნოობას. იუსტიციის საქმიანობის განცხადებაში „სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგიერთი ძირითადი საკითხების შესახებ“ (იხ. ურნალი „ნოი იუსტიც“. 1988, № 12) ნათქვამია: „სასამართლო-

ების საქმიანობა უმეტესწილად საზოგადოების თვალწინ უნდა მიმდინარეობდეს“ და „საზოგადოებას უნდა პქონდეს შესაძლებლობა გააკონტროლოს სასამართლო პროცესი“...

კონსტიტუციის 27-ე მუხლით აღიარებული ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სასამართლო რეპორტაჟების და მიმდინარე სასამართლო პროცესების კრიტიკული შეფასების ფართო შესაძლებლობებს ანიჭებს; საუბარია ისეთ პროცესებზეც, რომლებიც ჭერ არ დასრულებულა სასამართლოს კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილებებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რომ ამ უფლებას იყენებენ, ბერლინის იუსტიციამ იგრძნო განხილულ საქმესთან დაკავშირებით. რომელიც ბერლინ-პრენლადერბერგის რაიონის სასამართლოში მიმდინარეობდა ერთ-ერთი სახალხო პოლიციელის ბრალდებისა გამო. პოლიციელს ბრალი ედებოდა მასზედ, რომ 1990 წლის 8 ოქტომბერს, კიბიდან გადაზავდომ კოლიციის ინსპექციაში მოყვანილი მოქალაქე.

ჩემი აზრით, აქ შედგებოდა საუბარი იუსტიციის ორგანოების განსაკუთრებულ გრძნობებზე, სახელმწიფოს სხვა — აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისაგან რომ თავი უკომპრომისოდ გაიმიჯნონ, მათ დაწოლას რომ თამამად გაუწიონ წინააღმდეგობა, იუსტიციის ორგანოებისათვის აუცილებელია საზოგადოებისათვის ღია გახდნენ, მხოლოდ ასე თუ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება ხალხის და არა იუსტიციის ორგანოების სახელით.

სწორედ ეს პრინციპი უნდათ საეკვოდ აქციონ, ჩემი აზრით, მოსამართლეთა შესახებ კანონ-პროექტის ავტორებს, როცა სასამართლოების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ცდილობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აუკრძალონ „სასამართლო რეპორტაჟებში რაიმე შეფასებების შეტანა, რაც მართლმართლად სასამართლოს უფლებაა“ ან „სხვა საშუალებით სასამართლო პროცესის შედეგებზე შემოქმედება“.

თუმცა გაუგებარია, რა შეფასებები არ უნდა შევიდეს სასამართლო რეპორტაჟებში ან რა უნდა გვეხმოდეს „სხვა საშუალებებით შემოქმედების“ ქვეშ. ნათელია ერთი, რომ ასეთი რეპორტაჟები განიხილება როგორც მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კრიტიკა საზოგადოების მხრივ, ერთმანეთს როდი გამორიცხავს, პირიქით, ურთიერთს განაპირობებს. ამასთან საზოგადოების კრიტიკამ უნდა მოიცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უფლება — სასამართლო რეპორტაჟებში შეიტანოს საკუთარი შეფასებები.

სხვა პროფესიული ჯგუფებისაგან განსხვავებით, მოსამართლე, მთელი ცხოვრების მანძილზე, ისედაც განჩხრეკის საგანია, მან ყოველგვარი კრიტიკა გონიერებით უნდა აღიქვას. მართლმსაჯულების განხორციელების თუ განაჩენის გამოტანისას მოსამართლეები შეცდომებისაგან დაზღვეულნი არ არიან; ეს შეცდომები შესაძლოა გასწორდეს იუსტიციის ორგანოების თვითკონტროლის გზით ინსტანციური წესით. ამიტომაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოსამართლისათვის დიდ სირთულეს არ უნდა ქმნიდეს, თუ საზოგადოების ან პრესის მხრივ დამატებით კრიტიკას დაეჭვებდებარება.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ შეიღებება იმით, თუ მომავალში იგი შეეგუება ისეთ სასამართლო რეპორტაჟებს, რომლებიც არა მარტო კონსტრუქციულ კრიტიკას შეიცავენ, არამედ მათი შეხედულებების საწინააღმდეგო შეფასებებსაც.

ცხადია, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ აზრის და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ისეთი თავდასხმების არეაღს იძლევა, რომელიც კომპრომეტაციას გაუწევს საერთოდ მართლმსაჯულებას და საეკვოდ აქცევს მის დამოუკიდებლობას. ამიტომ უთუშცაოდ მათი მიღება არ შეიძლება, რადგან ამით ირყევა საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულებისადმი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოსამართლეთა კავშირი და იუსტიციის ორგანოების წარმომადგენლები მართლმსაჯულების ინტერესებისათვის სთანაოდ პასუხს გასცემენ პრესის მესვეობით გავრცელებულ არაობიექტურ ინფორმაციას. ეს აუცილებელია უკვე იმიტომ, რომ გაკრიტიკებულ განაჩენთან მკითხველს ხელი არ მიუწვდება, იგი იძულებულია საქმის არსი ისე წარმოაჩინოს, როგორც პრესა წარმოაჩენს. ჩვენ გვჭერა, რომ მასობრივი ინფორმაციის მომავალი კანონი თავად აღუდგება წინ არაკონსტრუქციულ კრიტიკას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების, როგორც ეგრეთ წოდებული მეოთხე ხელისუფლების პასუხისმგებლობა იმაში გამოიხატება, რომ მოქალაქეებამდე მიიტანოს სახელმწიფოში ხელისუფლებათა დამოუკიდებლობის იდეა. ეს კიდევ ორგანულად მოიცავს პატრივისციმას და ნოწინებას სასამართლო ხელისუფლებისადმი. შეხებაშია, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ მოსამართლეთა შესახებ კანონში პრესის თავისუფლება წინასწარი ცენზურის შემოღებით შეიზღუდოს.

## მეცნიერებათა მეცნიერება!

მომავალი წლიდან ჩვენი უფროსი ახალი სახელწოდებით გამოვა. საქართველოს იურისტთა კავშირის უკველთვიური ორგანო „სამართალი“ მკითხველს ბევრ საინტერესო მასალას პირდება.

უფროსი სისტემატურად გააზრებას სიახლეებს კანონმდებლობაში. საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს სამართალშემოქმედებით საქმიანობას დაეთმობა სპეციალური რუბრიკა „სამართლის დღიური“. სადაც მკითხველის წინაშე წარსდგებიან იურისტები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, ვისაც მომავალი არჩევნები ეროვნული პარლამენტის წევრის პასუხსაგებ ტვირთს დააკისრებს.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა სხვადასხვა იურიდიული სამსახურის საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკას. გახმაურებული სისხლის და სამოქალაქო საქმეების ანალიზს. სპეციალური რუბრიკა „გამამართლებელი განაჩენი“ მკითხველს ოპერატიულად მიაწვდის სათანადო დოკუმენტურ მასალას, რაც მოქალაქეთა შებღაბული პატივისა და ღირსების აღდგენის ერთგვარ საშუალებად გვესახება. უფროსი კვლავაც გამოჩეულ ადგილს დაუთმობს ქართველი და უცხოელი მეცნიერი იურისტების გამოკვლევებს. გამოჩენილი იურისტების შემოქმედებით პორტრეტებს. პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების, სამართლის ისტორიულ პრობლემებს.

სამწუხაროდ, იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალი წლიდან ძვირდება ქალაქი, სასტამბო და სარეალიზაციო ხარჯები, იზრდება უფროსი ზღვარების ფასი. კერძოდ, „სამართალი“ ღირს მთელი წლით — 12 მანეთი, ნახევარი წლით — 6 მანეთი.

ეს გარემოება ალბათ არ დააბრკოლებს იმათ, ვისთვისაც ჩვენი უფროსი არ არის მოცალეობის უამს საკითხავი, არამედ აქტიური მრჩეველი და მეგზურია.

იმედია, ჩვენი მკითხველი უფროსადეებს კვლავაც არ მოაკლებს ერთადერთ ქართულ იურიდიულ უფროსს „სამართალს“ და დროულად გააფორმებს ზღვარებს, რომელიც უკვე დაიწყო გამოიწერეთ უფროსი „სამართალი“, მასზე ზღვარებსა შეუზღუდავია.

„სახელმწიფო და სამართლის“ რედაქცია.

**«САХЕЛМЩИПО ДА САМАРТАЛИ» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.**  
Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.  
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Орден Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Костава, 14.

622/123

ფანდი 60 კპპ.

ნომერი 76185

